ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“

მარიამ ოქრუაშვილი

საქართველოში გენდერული მულტიუთანასწორობის სტატისტიკური კვლევა

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი

თბილისი 2025

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში გენდერული მულტიუთანასწორობის სტატისტიკურ კვლევას. კვლევის ფარგლებში დამუშავდა სამუშაო ძალის, შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და დროის გამოყენების გამოკვლევის ანონიმიზირებული მონაცემთა ბაზები. საერთაშორისო მეთოდოლოგიების გამოყენებით გაანგარიშდა როგორც ახალი სტატისტიკური მაჩვენებლები, ასევე, მოხდა უკვე არსებული ინდიკატორების სრულყოფა. კვლევის ფარგლებში ძირითადად გამოყენებულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, რაც შესაბამისად უზრუნველყოფს საერთაშორისოდ შესადარისი ინდიკატორების წარმოებას. ძირითად მეცნიერულ სიახლეებს წარმოადგენს სამუშაო ძალის გამოკვლევის (LFS) მონაცემთა ბაზის საფუძველზე შრომის ანაზღაურების საშუალო, მოდალური და მედიანური მნიშვნელობების გაანგარიშება გენდერულ ჭრილში. მედიანური შრომის ანაზღაურების საფუძველზე შეფასებული დაუსაქმებელი მოსახლეობისა და აუნაზღაურებელი შრომის გამო გამოწვეული დანაკარგები და ცალკეული ინდივიდის შემცირებული კეთილდღეობა. დროის გამოყენების გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე გაანგარიშდა SDG 5.4.1 ინდიკატორი აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი სქესისა და რეგიონების მიხედვით, რაც დამატებით შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს როგორც ანაზღაურებადი, ასევე, აუნაზღაურებელი შრომა რეგიონების მიხედვით. მეტი თვალსაჩინოებისათვის მიღებული მაჩვენებლები დატანილია საქართველოს რუკაზე. აგებული რეგრესიის მოდელი განსაზღვრავს აუნაზღაურებელ შრომაზე მიღწეული განათლების დონისა და ამჟამინდელი ფორმალური განათლების საფეხურის გავლენას. ასევე, მთლიანი სამამულო პროდუქტის ურთიერთდამოკიდებულებას სქესის მიხედვით ხელფასებისა და ეკონომიკურად არააქტიურობის დონეს შორის. სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე გაანალიზდა გენდერული უთანასწორობის სხვადასხვა ასპექტი, ასევე განისაზღვრა მისი ურთიერთკავშირი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში უნარების ფლობასთან, რომელიც SDG 4.4.1 ინდიკატორს

წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობებიც გაანგარიშდა სქესის მიხედვით. მნიშვნელოვანია რეგიონული და სექტორული ანალიზის საფუძველზე რეგიონების დაჯგუფება შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის მიხედვით. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, საკანონმდებლო ჩარჩო და მისი ნაკლოვანებები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, გამოწვევები და რეკომენდაციები არსებული მდგომარეობის მინიმიზაციისათვის.

<u>საკვანძო სიტყვები:</u> გენდერული უთანასწორობა, შრომის ბაზარი, დასაქმება და უმუშევრობა, შრომის ანაზღაურება, აუნაზღაურებელი შრომა.

Abstract

The dissertation aims to conduct a statistical analysis of gender-based multidimensional inequality in Georgia. Anonymized databases from the Labour Force Survey, the Survey on Information and Communication Technologies Usage in Households, and the Time Use Survey were processed within the study. Using international methodologies, new statistical indicators were calculated, and existing indicators were refined. The research primarily employed methodologies for calculating indicators aligned with the UN Sustainable Development Goals (SDGs) and the methodological guidelines from the International Labour Organization (ILO), ensuring the production of internationally comparable indicators.

The main scientific novelty lies in the calculation of average, modal, and median labour remuneration by gender based on the Labour Force Survey (LFS) database. Losses caused by unemployment and unpaid labour, along with the resulting reductions in individual well-being, were assessed based on median labour remuneration. Using the Time Use Survey database, SDG Indicator 5.4.1 was calculated, measuring the share of time spent on unpaid care and domestic work by sex and region, providing additional insights into the distribution of both paid and unpaid labour across regions. To enhance understanding, the derived indicators were geographically mapped across Georgia.

A regression model built during the research identified the impact of education level and current formal education stage on unpaid work, as well as the correlation between GDP and gender-based differences in wages and economic inactivity rates. The analysis of the LFS database also covered various aspects of gender inequality, identifying its connection with skills in the field of information and communication technologies (ICT), which corresponds to SDG Indicator 4.4.1. Values for this indicator were also calculated by gender.

A regional and sectoral analysis was conducted to classify regions based on the desirability of labour market conditions. The study evaluated the current state of gender inequality in Georgia, analyzed the legislative framework and its shortcomings, and examined causal relationships, challenges. Finally, it provided recommendations for mitigating existing inequalities.

Keywords: Gender inequality, labour market, employment and unemployment, labour remuneration, unpaid work.

სარჩევი

ცხრილები, დიაგრამები, რუკები 6

აკრონიმები და აბრევიატურები 9

შესავალი 10

თავი I. გენდერული უთანასწორობის კონცეფცია 18

1.1. გენდერული უთანასწორობის თეორიული ასპექტები 18

1.2. გენდერული უთანასწორობის პრობლემის შესწავლის დონე საქართველოში ... 23

1.3. გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ჩარჩო და მისი ნაკლოვანებები .. 50

თავი II. საქართველოში გენდერული უთანასწორობის თანამედროვე მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი 55

2.1. გენდერული უთანასწორობის შერჩევითი კვლევისა და მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია 55

2.2. განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში გენდერული უთანასწორობის სტატისტიკური ანალიზი 64

2.3. შრომის ბაზარზე არსებული გენდერული დისბალანსის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე 69

თავი III. გენდერული მულტიუთანასწორობის სტატისტიკური კვლევა რეგიონულ და სექტორულ დონეზე 83

3.1. დასაქმების გენდერული უთანასწორობა რეგიონულ და სექტორულ ჭრილში . 83

3.2. შრომის ანაზღაურებაში გენდერული უთანასწორობა რეგიონულ და სექტორულ ჭრილში 90

3.3. საქართველოს მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დროის სტატისტიკური ანალიზი გენდერულ ჭრილში 100

დასკვნა და რეკომენდაციები 118

გამოყენებული ლიტერატურა 122

დანართები 127

ცხრილები, დიაგრამები, რუკები

დიაგრამები

დიაგრამა 1: დასაქმების დონე, გენდერულ ჭრილში, % 42

დიაგრამა 2: უმუშევრობის დონე გენდერულ ჭრილში, % 43

დიაგრამა 3: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლების პროცენტული განაწილება სქესის მიხევით, 2023/2024 სასწავლო წელი, % 64

დიაგრამა 4: უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებლების რიცხოვნობა სქესისა და დაკავებული პოზიციის მიხედვით, 2023/2024 სასწავლო წელი, კაცი 65

დიაგრამა 5: ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებულთა პროცენტული განაწილება სქესის მიხევით, 2023 წელი, % 66

დიაგრამა 6: ექიმების პროცენტული განაწილება გენდერულ ჭრილში, 2023 წელი, % 67

დიაგრამა 7: 2023 წელს სამედიცინო კადრების რიცხოვნობა თანამდებობებისა და სქესის მიხედვით, კაცი 68

დიაგრამა 8: საშუალო, მოდალური და მედიანური განკარგვადი შრომის ანაზღაურება, გენდერულ ჭრილში, 2023 წელი, ლარი.....74

დიაგრამა 9: განკარგვადი მედიანური შრომის ანაზღაურება, 2021 წელი, ლარი 81

დიაგრამა 10: დასაქმების დონე რეგიონების მიხედვით გენდერულ ჭრილში, % 84

დიაგრამა 11: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით, ლარი.....90

დიაგრამა 12: კაცისა და ქალის საშუალოთვიურ ნომინალურ ხელფასებს შორის სხვაობა, ლარი 92

დიაგრამა 13: საქართველოს მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დრო, გენდერულ ჭრილში, 2020-2021 წელი.....102

დიაგრამა 14: 24 საათის პროცენტული განაწილება დროის ტიპების მიხედვით ქალებისათვის, % 104

დიაგრამა 15: 24 საათის პროცენტული განაწილება დროის ტიპების მიხედვით კაცებისათვის, %.....105

დიაგრამა 16: საქართველოს მოსახლეობის მიერ აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, 2020-2021 წელი, % 107

დიაგრამა 17: საქართველოში მუშაობა-დასვენების ბალანსი, 2020-2021 წელი.....109
დიაგრამა 18: თბილისში მუშაობა-დასვენების ბალანსი, 2020-2021 წელი.....110
დიაგრამა 19: სხვა ქალაქებში მუშაობა-დასვენების ბალანსი, 2020-2021 წელი.....111
დიაგრამა 20: სოფლებში მუშაობა-დასვენების ბალანსი, 2020-2021 წელი.....111

ცხრილები

ცხრილი 1: 2023 წელს შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, დაკავებული პოზიციების/თანამდებობების მიხედვით, %.....41
ცხრილი 2: მთლიანი სამამულო პროდუქტი და არადასაქმებულთა რიცხოვნობა, გენდერულ ჭრილში.....70
ცხრილი 3: სახლიდან მუშაობა, გენდერულ ჭრილში, %.....72
ცხრილი 4: განკარგვადი შრომის ანაზღაურების პროცენტული განაწილება, გენდერულ ჭრილში, 2023 წელი, %.....72
ცხრილი 5: სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობა გენდერულ ჭრილში და მთლიანი სამამულო პროდუქტი.....75
ცხრილი 6: დასაქმების დონე გენდერულ ჭრილში.....83
ცხრილი 7: 2023 წელს დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და სქესის მიხედვით, ათასი კაცი.....86
ცხრილი 8: 15 წლის და უფროსი ასაკის ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების პროპორციული ოდენობა, რომლებიც ფლობენ უნარებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, უნარების ტიპისა და სქესის მიხედვით, %.....91
ცხრილი 9: შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, დაკავებული პოზიციების/თანამდებობების მიხედვით, 2023 წელი, %.....94
ცხრილი 10: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით, 2023 წელი, ლარი.....95
ცხრილი 11: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების და სქესის მიხედვით, 2023 წელი, ლარი.....96

რუკები

რუკა 1: აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო მომსახურებაზე გაწეული დროის წილი რეგიონებისა და სქესის მიხედვით, %.....116

აკრონიმები და აბრევიატურები:

საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
შშმ პირი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი
UN Women	გაეროს ქალთა ორგანიზაცია United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი United Nations International Children's Emergency Fund
TUS	დროის გამოყენების გამოკვლევა TimeUseSurvey
ICATUS	აქტივობების საერთაშორისო კლასიფიკაცია დროის გამოყენების სტატისტიკისთვის International Classification of Activities for Time Use Statistics
SDG	მდგრადი განვითარების მიზანი Sustainable Development Goal
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია International Labour Organization
LFS	სამუშაო ძალის გამოკვლევა Labour Force Survey
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები Information and Communication technologies

შესავალი

თემის აქტუალობა

გენდერული თანასწორობა არა მარტო ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, არამედ უმნიშვნელოვანესია მშვიდობიანი და მდგრადი სამყაროსთვის. აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობა წარმოადგენს გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზანს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე მსოფლიოში ამ მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესდა, COVID-19 პანდემიის სოციალურმა და ეკონომიკურმა შედეგებმა კიდევ უფრო მეტად გაამწვავა სიტუაცია გენდერული უთანასწორობის ყველა მიმართულებით. ბუნებრივია, აღნიშნული პრობლემის მოგვარებისა და მინიმიზაციისათვის დიდი ძალისხმევაა საჭირო. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ამ მიმართულებით კანონების, პოლიტიკის, ბიუჯეტის და ინსტიტუტების ხელშეწყობა (UN Women, The 17 Goals: Sustainable Development Goals n.d.). უმნიშვნელოვანესია, გენდერული სტატისტიკის განვითარება და სრულყოფა, რადგან მდგომარეობის მონიტორინგისათვის აუცილებელია შესაბამისი მონაცემების არსებობა, არსებული მდგომარეობის ტენდენციის ანალიზი, რაც უზრუნველყოფს პრობლემების იდენტიფიცირებას და დაეხმარება აღნიშნულ საკითხზე მომუშავე პირებს და პოლიტიკის გამტარებლებს შეიმუშაონ შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს გენდერული უთანასწორობის მინიმიზაციასა და აღმოფხვრას. შესაბამისად, ქალებისა და გოგონების მდგომარეობის გაუმჯობესებას როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური მიმართულებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევასა და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას, რაც განაპირობებს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

გენდერული დისბალანსი ყველაზე მწვავედ შრომის ბაზარზე შეინიშნება. არსებული უთანასწორობა არა მარტო ძლიერი სოციალური, არამედ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემაა. შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს უმუშევრობა წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სიღარიბეს, საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და სტაბილურობის დარღვევას. გარდა ამისა, აქტუალური პრობლემაა ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის გენდერული თანაფარდობა, ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის უთანასწორობა და სხვ.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა

საქართველოში გენდერული უთანასწორობის შესახებ სამეცნიერო ნაშრომები ხასიათდება გარკვეული ნაკლოვანებებით, კერძოდ, კვლევები არ არის კომპლექსური და მოკლებულია სიღრმისეულ თვისებრივ და რაოდენობრივ ანალიზს გენდერული უთანასწორობის სხვადასხვა მიმართულებით. გარდა ამისა, არ არსებობს კვლევები, რომელიც განსაზღვრავს გენდერული უთანასწორობის გავლენას ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. კიდევ უფრო დეფიციტურია ნაშრომები აუნაზღაურებელ შრომაზე, რაც განპირობებულია იმით, რომ დროის გამოყენების გამოკვლევა ქვეყანაში პირველად 2020-2021 წლებში ჩატარდა. შესაბამისად, ნაშრომი წინგადადგმული ნაბიჯია გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში გენდერული უთანასწორობის სისტემური და კომპლექსური ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი. კერძოდ, მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული გენდერული დისბალანსის გამოვლენა როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ ჭრილში, არსებული დისპროპორციების მიზეზების დადგენა და ეკონომიკაზე მათი გავლენის შეფასება, გენდერული სტატისტიკის მაჩვენებელთა სრულყოფა და საერთაშორისო მეთოდოლოგიების საფუძველზე ახალი მაჩვენებლების გაანგარიშება, საკანონმდებლო დებულებებში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და მათი მინიმიზაციისათვის პერსპექტივების განსაზღვრა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- გენდერული უთანასწორობის თეორიული ასპექტების შესწავლა;
- გენდერული უთანასწორობის პრობლემის შესწავლის დონის განსაზღვრა საქართველოში. შესაბამისად, გენდერული უთანასწორობის საკითხებზე არსებული პუბლიკაციებისა და ჩატარებული სხვადასხვა გამოკვლევის შედეგების ანალიზი;
- ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს და მისი ნაკლოვანებების განსაზღვრა;

- გენდერული უთანასწორობის მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევების კვლევის დიზაინის, შერჩევითი გამოკვლევის კონცეფციისა და მაჩვენებელთა გაანგარიშების, განსაკუთრებით კი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და საერთაშორისოდ შესადარისი ინდიკატორების წარმოება და სრულყოფა;
- განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში გენდერული უთანასწორობის სტატისტიკური ანალიზი. მძიმე სამუშაო პირობების მიუხედავად, დაბალი შრომის ანაზღაურებისა და პოზიციების მიხედვით დასაქმებულთა გენდერული უთანასწორობის განსაზღვრა;
- შრომის ბაზარზე არსებული გენდერული უთანასწორობის სხვადასხვა ასპექტის შესწავლა და მისი კომპლექსური ანალიზი. რეგრესიის მოდელების აგება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა მთლიან სამამულო პროდუქტსა და სქესის მიხედვით არააქტიურობის დონესა და ხელფასების მიმართ;
- სამუშაო ძალის გამოკვლევის ანონიმიზირებული მონაცემთა ბაზის საფუძველზე საშუალო, მოდალური და მედიანური შრომის ანაზღაურების მნიშვნელობების გაანგარიშება სქესის მიხედვით;
- აუთვისებელი ადამიანისეული კაპიტალის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დანაკარგების შეფასება მედიანური შრომის ანაზღაურების საფუძველზე;
- შრომის ბაზარზე არსებული გენდერული უთანასწორობის პრობლემის იდენტიფიცირება და ანალიზი რეგიონულ და სექტორულ ჭრილში;
- საქართველოს მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დროის სტატისტიკური ანალიზი;
- დროის გამოყენების გამოკვლევის (TUS) ანონიმიზირებული მონაცემთა ბაზის საფუძველზე აუნაზღაურებელი შრომისა და განათლების მიღწეული და ამჟამინდელი ფორმალური განათლების საფეხურის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;
- SDG 5.4.1 ინდიკატორის აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილის გაანგარიშება სქესისა და რეგიონების მიხედვით, მიღებული მაჩვენებლების საქართველოს რუკაზე დატანა;
- შრომის ანაზღაურებაში არსებული გენდერული უთანასწორობის ურთიერთკავშირის განსაზღვრა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

სფეროში უნარების ფლობასთან. შესაბამისად, SDG 4.4.1 ინდიკატორის მაჩვენებლის მნიშვნელობების გაანგარიშება სქესის მიხედვით.

კვლევის ობიექტი და საგანი

კვლევის საგანია საქართველოში გენდერული უთანასწორობის რაოდენობრივი ტენდენციები სხვადასხვა სფეროში, ხოლო კვლევის ობიექტია ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობა (გარდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისა) გენდერულ ჭრილში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია მონაცემთა სამი ბაზა:

1. სამუშაო ძალის გამოკვლევის (LFS) მონაცემთა ბაზა - ყოველკვარტალურად გამოიკითხება 6 400 შინამეურნეობა (საქსტატი, ზოგადი განმარტებები სამუშაო ძალის სტატისტიკის მეთოდოლოგიაზე 1998-დღემდე). აღნიშნული კვლევა ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) საერთაშორისო სტანდარტებს, შესაბამისად, გაანგარიშებული მაჩვენებლები საერთაშორისოდ შესადარისია;
2. დროის გამოყენების გამოკვლევა (TUS) - გამოკვლევამ ქვეყნის მასშტაბით 3 680 შინამეურნეობა მოიცვა, გამოიკითხა 6 074 რესპონდენტი, რომელთაც შეავსეს 5 721 სამუშაო და 5 713 უქმე დღისათვის განკუთვნილი დროის გამოყენების გამოკვლევის დღიური (Guerrero 2020-2021). კვლევის ფარგლებში გაანგარიშდა რეგიონებისა და სქესის მიხედვით SDG 5.4.1 ინდიკატორი: აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი. აღნიშნული ინდიკატორი გაანგარიშდა სტატისტიკური წონების გამოყენებით, შემდეგი მეთოდით:

$$\frac{5}{7} \times \frac{\text{ყველა სამუშაო დღის დღიურში შესაბამის ძირითად აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო}}{\text{სამუშაო დღის დღიურების ჯამური რაოდენობა}} + \frac{2}{7} \times \frac{\text{ყველა უქმე დღის დღიურში შესაბამის ძირითად აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო}}{\text{უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა}}$$

აღნიშნულ აქტივობებზე დახარჯული საათების რაოდენობის შეფარდებით 24 საათთან გამოსახული პროცენტებში. რაც გვიჩვენებს დღე-ღამის განმავლობაში დროის რამდენ პროცენტს ხარჯავს მთლიანი მოსახლეობა (მიუხედავად იმისა, ჩართულია თუ არა აღნიშნულ აქტივობებში) აუნაზღაურებელ შრომაზე.

3. შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე გაანგარიშდა SDG 4.4.1 ინდიკატორი იმ ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების პროპორციული ოდენობა, რომლებიც ფლობენ უნარებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, უნარების ტიპის მიხედვით. ინდიკატორი გაანგარიშდა სქესის მიხედვით. აღნიშნული უნარების ფლობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიით განისაზღვრა იმის მიხედვით, განახორციელა თუ არა პირმა მოცემული აქტივობა ბოლო 3 თვის განმავლობაში.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. რაოდენობრივი მეთოდებიდან - ეკონომეტრიკული და სტატისტიკური მეთოდები, კერძოდ: ეკონომეტრიკული მოდელირებისა და რეგრესიული ანალიზის, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, დროითი მწკრივებისა და ვარიაციული ანალიზის, საინდექსო და შერჩევითი, კორელაციური ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოში არსებული გენდერული მულტიუთანასწორობა. აღსანიშნავია, რომ გენდერული სტატისტიკა ახალი მიმართულებაა, შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია მისი მუდმივი განვითარება და სრულყოფა. აღნიშნული მიმართულებით პრობლემის აქტუალობას ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ ის წარმოადგენს მდგრადი განვითარების მე-5 მიზანს. ვინაიდან ის სტატისტიკის შედარებით ახალი მიმართულებაა, მნიშვნელოვანია მისი უფრო კომპლექსური შესწავლა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მიმართულებით.

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული სიახლეები, კერძოდ:

- სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ თეორიულ სიახლეს წარმოადგენს გენდერული უთანასწორობის კონცეფციისა და საკანონმდებლო ჩარჩოს შესწავლა-განხილვის საფუძველზე ქვეყანაში არსებული გენდერული პრობლემების მინიმიზაციისათვის შესაძლო პერსპექტივების განსაზღვრა;

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის მიღწევის ინდიკატორების გაანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგიის საქართველოს რეალობაში ადაპტირება;
- სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე სახლიდან მუშაობისა და შრომის ანაზღაურების ინტერვალების გაანგარიშება გენდერულ ჭრილში;
- დასაქმების დონის გაანგარიშება რეგიონებისა და სქესის მიხედვით და დასაქმებულთა განაწილების გაანგარიშება საქმიანობის სახეების, რეგიონებისა და სქესის მიხედვით;
- მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობას, ეკონომიკურად არააქტიურობის დონესა და ხელფასებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა სქესის მიხედვით გენდერულ ჭრილში;
- შრომის ანაზღაურების საშუალო, მოდალური და მედიანური მაჩვენებლების გაანგარიშება და დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით რეგიონების დაჯგუფება დონეების მიხედვით, გენდერულ ჭრილში;
- გამოუყენებელი ადამიანისეული კაპიტალისა და აუნაზღაურებელი შრომით გამოწვეული დანაკარგების შეფასება, აუნაზღაურებელი შრომის, განათლების მიღწეული დონისა და ამჟამინდელი ფორმალური განათლების საფეხურის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა სქესის მიხედვით;
- SDG 4.4.1 ინდიკატორის გაანგარიშება გენდერულ ჭრილში;
- SDG 5.4.1 აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილის განსაზღვრა სქესისა და რეგიონების მიხედვით და კარტოგრაფიული მოდელირება.

ნაშრომის პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა

საქართველოში გენდერული მულტიუთანასწორობის სტატისტიკური კვლევა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გენდერული სტატისტიკის, როგორც სტატისტიკის შედარებით ახალი მიმართულების, განვითარებასა და სრულყოფაში.

უპირველეს ყოვლისა, კვლევა ემსახურება აღნიშნული პრობლემის უფრო კომპლექსურ შესწავლას, შესაბამისად, კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოიყენონ

სახელმწიფო უწყებებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, რომელიც აქტიურად მუშაობს ქვეყანაში გენდერული უთანასწორობის შემცირებაზე, სხვადასხვა სოციალურმა საწარმომ, რომელიც ორიენტირებულია ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, სამეცნიერო საზოგადოებამ, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურების სტუდენტებმა, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხის კიდევ უფრო სიღრმისეულად სხვადასხვა ასპექტით შესწავლასა და განვითარებას. გარდა ამისა, აღნიშნული კვლევის შედეგები თავისი პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა საინტერესო იყოს ფართო საზოგადოებისათვის და ამ საკითხზე მომუშავე და დაინტერესებული ყველა პირისათვის.

ნაშრომის გამოყენება ასევე შესაძლებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დამხმარე სახელმძღვანელოდ, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის შესახებ სტუდენტთა (განსაკუთრებით მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურების) ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებას, რაც გარკვეულწილად ამ პრობლემის მოგვარებისათვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია

დისერტაციაში განხილული ძირითადი საკითხები წარმოდგენილია სამ სამეცნიერო კონფერენციაზე, ერთ სახელმძღვანელოში და ოთხ სტატიაში, რომელთაგანაც ორი გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ ჟურნალში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი“ (2022), ასევე საზღვარგარეთ, ჟურნალში ,,Edelweiss Applied Science and Technology“ (2024), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ბაზაში.

გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო განხილვა ჩატარდა თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის სხდომაზე და მას მიეცა საჯაროდ დაცვის რეკომენდაცია.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი A4 ფორმატის 133 გვერდისგან. ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს: ცხრილებს, დიაგრამებს, რუკებს, აკრონიმებსა და აბრევიატურებს, ანოტაციას, შესავალს, 3 თავსა და 9 ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, ასევე, გამოყენებულ ლიტერატურასა და დანართებს.

გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები

1. გელაშვილი ს., ოქრუაშვილი მ. (2020). „შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით“. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თსუ, თბილისი.
2. გელაშვილი ს., ოქრუაშვილი მ. (2022). „გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“. საქართველოს ეკონომისტთა IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ,,მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები“, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. გელაშვილი ს., ჩარექიშვილი ლ., აბესაძე ნ., ოქრუაშვილი მ. (2023). „გენდერული სტატისტიკა“, სახელმძღვანელო, თსუ (ელ. ვერსია).
4. გელაშვილი ს., ოქრუაშვილი მ. (2024). „გენდერული უთანასწორობის პრობლემა და მისი სტატისტიკური შესწავლის დონე საქართველოში“. VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ,,მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები”, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მასალების კრებული.
5. Gelashvili S., Okruashvili M. (2024). ,,Statistical analyses of gender disparities in unpaid work in Georgia“. Journal ,,Edelweiss Applied Science and Technology”, ISSN: 2576-8484; Vol. 8, No. 4, 1144-1156.

თავი I. გენდერული უთანასწორობის კონცეფცია

1.1. გენდერული უთანასწორობის თეორიული ასპექტები

გენდერი არის ფიზიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ქცევითი თავისებურებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ქალისა და კაცის განსხვავებას საზოგადოებაში. აღნიშნული ტერმინი ამ განსაზღვრებით პირველად გამოიყენა 1955 წელს სექსოლოგმა ჯონ მონიმ, რათა ერთმანეთისგან გაემიჯნა ბიოლოგიური სქესი და სოციალური როლები, ამ მნიშვნელობით მოცემული სიტყვა ფემინისტური თეორიების გავლენით ფართოდ გავრცელდა მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან. თუმცა, ბიოლოგიური სქესისა და სქესობრივი როლების განსხვავება მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ეკუთვნის მარგარეტ მიდს, რომელიც მოღვაწეობდა შეერთებულ შტატებში, კულტურული ანთროპოლოგიის მიმართულებით. ის ატარებდა ლექციებსა და გამოსვლებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოცემულ პერიოდში უფრო არატრადიციულად ითვლებოდა. ის, ასევე, მხარს უჭერდა გენდერული როლების მიმართ მკაცრი სოციალური ნორმების შემსუბუქებას (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2016).

ქალის საზოგადოებრივი როლის განსაზღვრის პირველი მცდელობა გვხვდება 325 წელს ჩატარებულ ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაზე, სადაც დადგინდა ქრისტიანობის ძირითადი დოქტრინები. სწორედ ერთ-ერთი მუხლის თანახმად განისაზღვრებოდა ქალთა როლი საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, დღესაც მსოფლიოში ბევრი ქვეყანა ცდილობს ქალსა და კაცს შორის არსებული დისბალანსის შემცირებასა და აღმოფხვრას. განვითარებად ქვეყნებში, სადაც რელიგიური სეგმენტი მნიშვნელოვნად დომინირებს, უფრო მეტად შეინიშნება ქალთა უფლებების დარღვევა, ასევე, მნიშვნელოვნად ეზღუდებათ დასაქმების შესაძლებლობები. შრომის ბაზარზე არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ბრიტანელი სოციოლოგის ჰაკიმის უპირატესობის თეორიის განხილვა, რომელიც ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ ქალთა მიერ ცხოვრების სტილისადმი განსხვავებული მიდგომა მათი დასაქმების უკეთესი საზომია, ვიდრე მათი განათლების დონე. აღნიშნულის საფუძველზე ქალები ცხოვრების ხარისხსა და სამუშაოდან მიღებულ სიამოვნებას უფრო ღირებულად მიიჩნევენ, ვიდრე ხელფასს. ამ მოსაზრებას იზიარებს და კვლევით ადასტურებს ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომისტი არნო შევალიე, მის მიერ

ჩატარებული კვლევით (გამოიკითხა 10 000 ადამიანი) დადგინდა, რომ კაცები უფრო მეტად ამბიციურები არიან და უპირატესობას ანიჭებენ კარიერულ წინსვლასა და ფინანსურ მოგებას, ხოლო ქალებისათვის უფრო მნიშვნელოვანია სამუშაოდან მიღებული კმაყოფილება, მათი სამუშაოს სოციალური მნიშვნელობა და თანამშრომლების კეთილგანწყობა (ბერიშვილი 2017).

გენდერულ თანასწორობაში მოისაზრება თანასწორობა ქალსა და კაცს შორის. რა თქმა უნდა, თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და კაცის იდენტურობას. აღნიშნული გულისხმობს ქალისა და კაცის, გოგონებისა და ბიჭების თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და შესაძლებლობებს, რაც არ არის დამოკიდებული მათ ბიოლოგიურ სქესზე. გენდერული თანასწორობა წარმოადგენს ადამიანის უფლებას, შესაბამისად, ქალებს აქვთ უფლება იცხოვრონ ღირსეულად ყოველგვარი შეზღუდვების, სიღარიბისა და შიშის გარეშე.

საქართველოში ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა, რის საფუძველზეც ქვეყანაში უფრო მეტი ბიჭი იბადება, ვიდრე გოგო. აღნიშნული გენდერული უთანასწორობის უმკაცრესი გამოვლინებაა, რაც დაკავშირებულია კულტურულ, ტრადიციულ, რელიგიურ თუ ქალაქსა და სოფელში ცხოვრების თავისებურებებთან. ზემოაღნიშნული გენდერული უთანასწორობის გარდა, იწვევს დემოგრაფიულ პრობლემებს. ასევე, დაბადებიდანვე ოჯახის წევრების მხრიდან ბიჭისთვის უპირატესობის მინიჭება გარკვეულწილად აყალიბებს მსგავს შეხედულებებს სამომავლოდაც.

აქტუალურია ადრეული ქორწინების პრობლემა, რომლის დროსაც განსაკუთრებით ქალები ზარალდებიან, ასევე ხშირად ფსიქოლოგიურ, სოციალურ, თუ ეკონომიკურ ზარალს განიცდიან. გარდა ამისა, აღნიშნული მნიშვნელოვნად აფერხებს მათი განათლების მიღების შესაძლებლობებს, ამასთან ერთად, ადრეული მშობიარობა ზემოქმედებს როგორც ქალების, ასევე მათი შვილების ჯანმრთელობაზე. ადრეული ქორწინების პრობლემა საკმაოდ კომპლექსურია და შესაბამისად სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს. მნიშვნელოვანია შესაბამისი პოლიტიკისა და კანონმდებლობის უფრო გამკაცრება და კონტროლი. ასევე, საჭიროა ბავშვებისათვის უფრო მეტად ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

გენდერული თანასწორობა წარმოადგენს მდგრადი განვითარების მე-5 მიზანს. აღნიშნულის საფუძველზე გენდერული თანასწორობა არა მარტო ადამიანის

ფუნდამენტური უფლებაა, არამედ უმნიშვნელოვანესია მშვიდობიანი და მდგრადი სამყაროსთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე მსოფლიოში ამ მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესდა, COVID-19 პანდემიის სოციალურმა და ეკონომიკურმა შედეგებმა კიდევ უფრო მეტად გაამწვავა სიტუაცია გენდერული უთანასწორობის ყველა მიმართულებით, როგორებიცაა, მაგალითად, აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ასევე, მსოფლიოს მასშტაბით გაზრდილია ძალადობის შემთხვევები, გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე მოწინავე ადგილს ისევ კაცები ინარჩუნებენ. პრობლემის მოგვარებისა და მინიმიზაციისათვის, დიდი ძალისხმევაა საჭირო. უმნიშვნელოვანესია ამ მიმართულებით კანონების, პოლიტიკის, ბიუჯეტის და ინსტიტუტების ხელშეწყობა (UN Women, The 17 Goals: Sustainable Development Goals n.d.). ზემოაღნიშნულისათვის აუცილებელია გენდერული სტატისტიკის განვითარება და სრულყოფა, რადგან მდგომარეობის მონიტორინგისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი მონაცემების არსებობა, არსებული მდგომარეობის ტენდენციის ანალიზი, რაც უზრუნველყოფს პრობლემების იდენტიფიცირების საშუალებას და დაეხმარება მოცემულ საკითხზე მომუშავე პირებს და პოლიტიკის გამტარებლებს შეიმუშაონ შესაბამისი მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს გენდერული უთანასწორობის მინიმიზაციასა და აღმოფხვრას, შესაბამისად, ქალებისა და გოგონების მდგომარეობის გაუმჯობესებას როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური მიმართულებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევასა და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას, რაც განაპირობებს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე მნიშვნელოვანია გენდერული სტატისტიკის მნიშვნელობისა და აუცილებლობის განხილვა, რომელიც საშუალებას იძლევა აღნიშნული მდგომარეობის რაოდენობრივად გაანალიზებასა და მდგომარეობის ცვლილების შეფასებას. გენდერული სტატისტიკა შესაძლოა განიმარტოს, როგორც სტატისტიკა, რომელიც ასახავს განსხვავებას ქალისა და კაცის მდგომარეობის შესახებ ცხოვრების ყველა სფეროში, ასევე, დამოკიდებულებებს, გენდერულ როლებს და ნებისმიერი სახის უთანასწორობას. მნიშვნელოვანია გენდერული სტატისტიკის სტრატეგიის (2021-2023) ანალიზი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის

მთავრობის მხარდაჭერით (საქსტატი, გენდერული სტატისტიკის სტრატეგია 2021-2023).

გენდერული სტატისტიკის პოპულარიზაციას, ასევე, ახდენენ საერთაშორისო დოკუმენტები: პეკინის სამოქმედო პლატფორმა, კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მდგრადი განვითარების მიზნები და 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი.

პეკინის სამოქმედო პლატფორმა განსაზღვრავს კონკრეტულ ქმედებებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, რაც, შესაბამისად, მიზნის მიღწევის, დაგეგმვისა და შეფასებისთვის სქესის მიხედვით მონაცემების წარმოებას გულისხმობს. რაც შეეხება პეკინის დეკლარაციასა და სამოქმედო პლატფორმას, ის ავალდებულებს მხარეებს ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას დამსაქმებლის მხრიდან. ამასთან ერთად, ავალდებულებს მხარეებს შეიმუშაონ დასაქმებისა და შრომის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა გაძლიერებას, სექსუალური შევიწროებისა და სამუშაო ადგილზე ყველა ტიპის დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ასევე, გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში ქალთა მონაწილეობისა და ლიდერობის გაზრდას (საჯარო სამსახურის ბიურო 2022).

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის 18 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბრიდან. აღნიშნული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით დაუშვებელია დისკრიმინაცია, ადამიანები იბადებიან თანასწორნი და თითოეული მათგანი უნდა სარგებლობდეს ყველა უფლებითა და თანასწორობით განურჩევლად სქესისა და სხვა რიგი მახასიათებლებისა. ამასთან ერთად, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტების მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება ყველა ქალისა და კაცისთვის უზრუნველყონ თანასწორი უფლება ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისა. ასევე, მონაწილე ქვეყნები მხედველობაში იღებენ და ითვალისწინებენ გაეროსა და მისი სპეციალიზებული სააგენტოების მიერ მიღებულ საერთაშორისო კონვენციებს, რეზოლუციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებს ქალთა და კაცთა თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.

მიუხედავად არსებული დოკუმენტებისა, ქალთა დისკრიმინაცია მაინც დიდ გამოწვევად რჩება, ეს კი, ბუნებრივია, ზემოქმედებს არა მარტო ქალთა კეთილდღეობაზე და მათი შესაძლებლობების სრულ გამოვლენაზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე და ცალკეული ინდივიდის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები 2018).

მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) ლოგიკური გაგრძელებაა ათასწლეულის განვითარების მიზნებისა, რომელთა შესრულების პერიოდიც დასრულდა 2015 წელს, ამავე წლის 25 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომელიც მოიცავდა 17 მიზანსა და 169 ამოცანას. 2017 წლის 6 ივლისს დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი (მდგრადი განვითარების მიზნები 2015). მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი მომზადდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ. აღსანიშნავია, ის, რომ მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მიზანს სწორედ გენდერული თანასწორობა წარმოადგენს. ეს კი განსაზღვრავს რაოდენ მნიშვნელოვანი და მწვავეა მოცემული პრობლემა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. აღნიშნული წარმოადგენს მდგრადი განვითარების მე-5 მიზანს „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება“, რომელიც მოიცავს ქვეყნისათვის მისადაგებულ 7 ამოცანასა და 17 სამიზნე ინდიკატორს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია გენდერული სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების პროცესში. საქსტატისათვის ამ მაჩვენებელთა გაანგარიშება არა მარტო ტექნიკური დავალებაა, არამედ უდიდესი სოციალური პასუხისმგებლობაა. ამ მაჩვენებელთა გაანგარიშება მნიშვნელოვანია პოლიტიკის გამტარებლებისათვის, რათა შეიმუშაონ მტკიცებულებებზე და რეალობაზე დაფუძნებული პოლიტიკა, ასევე, უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებულობისა და შესაბამისად, მათი ცნობიერების ამაღლებას. საქსტატმა სტატისტიკის ამ მიმართულებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო 1999 წლიდან, ამას ადასტურებს ყოველწლიური პუბლიკაცია „ქალი და კაცი

საქართველოში“, ასევე, უმნიშვნელოვანესია გენდერული სტატისტიკის პორტალი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გენდერულ ჭრილში - მოსახლეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, შინამეურნეობების, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ბიზნეს სექტორის, სოფლის მეურნეობის, სამართალდარღვევებისა და ხელისუფლების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ჩატარდა გენდერული სტატისტიკით მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის თანახმადაც გამოკითხულთა 60 პროცენტმა დააფიქსირა, რომ გენდერული სტატისტიკა გამოიყენა კვლევისათვის, 59 პროცენტმა - ზოგადი ინფორმაციის მიღების მიზნით, 40 პროცენტმა - ბაზრის ანალიზისათვის, 26 პროცენტმა - პოლიტიკისა და პროგრამების მონიტორინგისა ან/და შემუშავებისათვის და ა. შ. (საქსტატი, მომხმარებელთა კმაყოფილება გენდერული სტატისტიკით 2021). შესაბამისად, კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ გენდერულ სტატისტიკას ჰყავს მომხმარებელთა ფართო წრე, ამიტომ უმნიშვნელოვანესია აღნიშნულ მიმართულებაზე მუდმივი მუშაობა, მისი განვითარება და სრულყოფა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა გამოკვლევის შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს გენდერული სტატისტიკის განვითარებასა და სრულყოფას. უმნიშვნელოვანესია მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე საქართველოში, დროის გამოყენების გამოკვლევა და სხვა.

1.2. გენდერული უთანასწორობის პრობლემის შესწავლის დონე საქართველოში

გენდერული უთანასწორობა გლობალური პრობლემაა, ამიტომ უმნიშვნელოვანესია მისი კომპლექსური შესწავლა და ანალიზი. გენდერული თანასწორობის კონცეფციის მიხედვით გენდერული თანასწორობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ქალებისა და კაცებისათვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს, ასევე, თანაბარ

წარმოჩენასა და მონაწილეობას როგორც საზოგადოებრივ, ისე პირადი ცხოვრების ყველა სფეროში. აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესება გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზანს წარმოადგენს. გარდა ამისა, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ ინდიკატორებს მოიცავს სხვა მიზნებიც, რომელთა სამიზნე მნიშვნელობების მიღწევაც უმნიშვნელოვანესია. აღნიშნული ინდიკატორების მონიტორინგისა და სამიზნე მნიშვნელობების მიღწევის განსაზღვრისათვის უმნიშვნელოვანესია გენდერული სტატისტიკის უფრო მეტად განვითარება და სრულყოფა, ვინაიდან გენდერული სტატისტიკა, სტატისტიკის უფრო თანამედროვე მიმართულებაა, მნიშვნელოვანია მისი უფრო მრავალმხრივი შესწავლა და ანალიზი. აღნიშნული უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, საკანონმდებლო ორგანოსათვის, ამ საკითხებზე მომუშავე პირებისა და ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის. უმნიშვნელოვანესია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის, შესადარისი და რეალური ვითარების ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა და შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშება.

გენდერული თანასწორობის საკითხებით დაინტერესებულია ფართო აკადემიური საზოგადოება, სხვადასხვა პუბლიკაციისა და სტატიის გარდა, უმნიშვნელოვანესია **გენდერული სტატისტიკის** სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ ნაწილს (გელაშვილი, ჩარექიშვილი, და სხვ. 2022).

სახელმძღვანელო უმნიშვნელოვანესია გენდერული სტატისტიკით დაინტერესებული პირებისათვის, რადგან ის იძლევა საკმაოდ დიდ ინფორმაციას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით. აღნიშნული სახელმძღვანელოს საფუძველზე მკითხველი გაეცნობა ქვეყანაში არსებული გენდერული უთანასწორობის სხვადასხვა ასპექტს, მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიებსა და მეთოდებს, ასევე, საშუალება ექნება შეაფასოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და სხვა.

სტატიაში - **„გენდერული დისბალანსისა და ფემინიზმის როლი გლობალურ ბიზნესში“** - განხილულია სხვადასხვა კვლევის შედეგები, ასევე მეცნიერთა შეხედულებები. იგი ასახავს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს გენდერულ

თანასწორობას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობაზე. პრობლემის განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა განვითარებადი ქვეყნები, სადაც პრობლემას კიდევ უფრო მეტად კულტურული და ტრადიციული ფაქტორები ართულებს (ბერიშვილი 2017).

სტატიაში - ,,**ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების გენდერული ასპექტი: ქალები ხელმძღვანელ პოზიციებზე**" - განხილულია გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის, განსაკუთრებით კი მენეჯერულ პოზიციებზე, აღნიშნული ნაშრომი იძლევა მნიშვნელოვან საფუძველს მოცემული საკითხის უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისათვის, რაც კვლევის ფარგლებში განისაზღვრება რეგრესიული ანალიზის საფუძველზე (Sepashvili 2019).

სტატიაში - ,,**საქართველოს შრომის ბაზარი კორონავირუსის პერიოდში**" - მოცემულია შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების სიღრმისეული ანალიზი, ასევე პრობლემის მინიმიზაციისათვის შესაძლო პერსპექტივების განსაზღვრა (Paresashvili, et al. 2020). ჩვენი კვლევის ფარგლებში უფრო კომპლექსურად გაანალიზდება ამ მიმართულებით გენდერული ასპექტების როლი.

სტატიაში - ,,**საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის სტატისტიკური ანალიზი**" - განხილულია საგანმანათლებლო სისტემაში არსებული მდგომარეობა და გაანალიზებულია დასაქმებულებისა და უმუშევრების განათლების დონე გენდერულ ჭრილში (Charekishvili 2015). გარდა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, მნიშვნელოვანია განათლების სექტორში დასაქმებულთა გენდერული თანაფარდობა, განსაკუთრებით კი პოზიციების მიხედვით, რაც ჩვენი კვლევის ფარგლებში უფრო სიღრმისეულადაა ასახული.

სტატიაში - ,,**ქალთა მეწარმეობის განვითარება საქართველოს მაგალითზე**" - მოცემულია საქართველოში არსებული გამოწვევები და როგორც ეკონომიკურ, ასევე, პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის დეფიციტი. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია ქალთა ეკონომიკური სტატუსით, არათანაბარი შესაძლებლობებითა და ნაკლები ნდობის ფაქტორით (Jashi 2004). ჩვენი კვლევის ფარგლებში განხორციელებულია შრომის ბაზარზე ქალთა ჩართულობის უფრო სიღრმისეული სტატისტიკური ანალიზი.

სტატიაში - **„გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“** - განხილულია გენდერული სახელფასო სხვაობების რაოდენობრივი ანალიზი და მისი ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკაზე. გაანალიზებულია როგორც შესწორებული, ასევე, შეუსწორებელი სახელფასო სხვაობები. გამოვლენილია საინტერესო ტენდენციები და კორელაციური ანალიზი (გელაშვილი და ოქრუაშვილი, გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში და მისი გავლენა საქართველოს მაგალითზე 2022). დისერტაციაში ეკონომეტრიკული და სტატისტიკური მეთოდებით მოხდება უფრო ფართო, კომპლექსური და სიღრმისეული ანალიზი, განისაზღვრება შრომის ბაზარზე არსებული გენდერული დისბალანსის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე; ასევე, ანაზღაურებადი სამუშაოს გარდა, როგორ ზემოქმედებს აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის საქმიანობები როგორც მთლიანად ეკონომიკაზე, ასევე ცალკეული ადამიანების კეთილდღეობაზე.

სტატიაში - **„გენდერული უთანასწორობის პრობლემა და მისი სტატისტიკური შესწავლის დონე საქართველოში“** - განხილულია როგორც ქართული, ასევე უცხოური ნაშრომები გენდერული უთანასწორობის მიმართულებით. თუმცა, აღნიშნული პრობლემა სხვადასხვა მიმართულებით იჩენს თავს. ამიტომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს უფრო სიღრმისეულ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ შესწავლას (გელაშვილი და ოქრუაშვილი, გენდერული უთანასწორობის პრობლემა და მისი სტატისტიკური შესწავლის დონე საქართველოში 2024). სადისერტაციო ნაშრომში გენდერული მულტიუთანასწორობა უფრო კომპლექსურად არის შესწავლილი და განხილული როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ასპექტით.

სტატიაში - **„აუნაზღაურებელ შრომაში არსებული გენდერული უთანასწორობის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში“** - განხილულია ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ამ მიმართულებით, გაანალიზებულია აუნაზღაურებელ შრომაზე მოქმედი ფაქტორები და მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, შეფასებულია აუნაზღაურებელი შრომის გავლენა ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე (Gelashvili and Okruashvili, Statistical analyses of gender disparities in unpaid work in Georgia 2024). ჩვენ სადისერტაციო ნაშრომში უფრო კომპლექსურადაა შესწავლილი როგორც აუნაზღაურებელი, ასევე ანაზღაურებადი შრომა, როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე, რეგიონებისა და სექტორების მიხედვით.

სტატიაში - **„გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა: თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები“** - განხილულია გლობალურ გარემოში ადამიანისეული კაპიტალის როლი და მისი ზეგავლენის გაძლიერების მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდისათვის (ბედიანაშვილი, ცარციძე, და სხვ., გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა: თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები 2023). აღნიშნული ნაშრომი უფრო მეტად ცხადყოფს ეკონომიკურ ზრდაზე ადამიანისეული კაპიტალის რაციონალურად გამოყენების საჭიროებებს, განსაკუთრებით გენდერულ ჭრილში. ვინაიდან ქალთა დიდი ნაწილი მიეკუთვნება ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას, ეს აზარალებს როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ასევე, განსაკუთრებით, ხელს უწყობს ქალების კეთილდღეობის შემცირებას.

სტატიაში - **„ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში და მათი გაძლიერებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა“** - გაანალიზებულია გენდერულ ჭრილში შრომის ბაზარზე არსებული უთანასწორობა, როგორიცაა ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობაში, დასაქმებაში, უმუშევრობაში, ანაზღაურებაში და სხვა, გამოვლენილია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და განხილულია არსებული საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო პოლიტიკა (ცხვარიაშვილი 2022). ნაშრომის ფარგლებში უფრო კომპლექსურად არის შესწავლილი შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა სხვადასხვა მიმართულებით, ასევე, განხილულია ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც რეგულირდება გენდერული თანასწორობა.

სტატიაში - **,,შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით“** - განხილულია საქართველოში არსებული მდგომარეობა და გამოვლენილია შრომის ანაზღაურების უთანასწორობა და განსხვავებული ტენდენციები სქესის მიხედვით (გელაშვილი და ოქრუაშვილი, შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით 2020), კვლევის ფარგლებში ხდება შრომის ანაზღაურების გენდერული ასპექტების კომპლექსური შესწავლა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა.

გარდა ამისა, ავტორის მიერ გამოქვეყნებულია არაერთი სტატია, სადაც გაანალიზებულია ქვეყანაში არსებული გენდერული უთანასწორობა, განსაკუთრებით

კი შრომის ბაზარზე, თუმცა, სტატიებში განხილულია ძირითადად ანაზღაურებადი შრომა, რაც ადასტურებს ქვეყანაში აუნაზღაურებელი შრომის მიმართულებით სამეცნიერო ნაშრომების სიმცირეს. სწორედ ამიტომ ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი იქნება საწყისი ნაბიჯები ამ მიმართულებით.

აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა საქართველოში ეფუძნება გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2018 წელს ჩატარებულ კვლევას, რომლის დროსაც რესპონდენტებს სთხოვდნენ დაესახელებინათ სხვადასხვა საოჯახო და ზრუნვის შრომის აქტივობებზე დაახლოებით რამდენ დროს ხარჯავენ. კვლევის შედეგად უმუშევარი ქალები აუნაზღაურებელ შრომაზე მეტ დროს ხარჯავენ, ასევე, დაბალი ეკონომიკური აქტივობის უმთავრეს მიზეზად აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა სახელდება. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა გლობალურია და აუნაზღაურებელი და ანაზღაურებადი შრომის ტვირთი ქალებისათვის უფრო მაღალია მსოფლიოს მასშტაბით, საქართველოში ზემოაღნიშნულს კიდევ უფრო მეტად პატრიარქალური ნორმები და ღირებულებები განსაზღვრავს, რომლის თანახმადაც საოჯახო საქმიანობები როგორც ქალთა, ასევე, კაცთა შეხედულებებით ქალთა ვალდებულებად აღიქმება (UN Women, UNPAID CARE WORK IN GEORGIA 2022). მოცემული ნაშრომი ქმნის ზოგად წარმოდგენას აუნაზღაურებელ შრომაზე როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. ნაშრომი არ იძლევა სიღმისეული ანალიზის საშუალებას, თუ რა ზეგავლენას ახდენს აუნაზღაურებელი შრომა ცალკეული ინდივიდის კეთილდღეობაზე, ასევე, რეპროდუქციული ასაკის გარდა, რა ფაქტორები ზემოქმედებენ აუნაზღაურებელ შრომაზე. შესაბამისად, მოცემული ნაშრომის საფუძველზე აღნიშნულ კითხვებს პასუხი გაეცემა ჩვენს დისერტაციაში საქართველოს მაგალითზე.

ნაშრომში - ,,**ქართველი ქალის ტვირთი: როგორ იმოქმედა პანდემიამ საოჯახო სამუშაოების განაწილებაზე მამაკაცებსა და ქალებს შორის“** - წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია აუნაზღაურებელ შრომაზე, რომელიც საკმაოდ არათანაბრადაა განაწილებული განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ხოლო განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება. შესაბამისად, ასეთ ქვეყნებში მთელი აუნაზღაურებელი შრომის 80.2 პროცენტს ქალები ასრულებენ. ნაშრომში საუბარია, რომ შრომის ბაზარზე არსებული გენდერული უთანასწორობა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მათ სიღარიბეზე, გარდა ამისა,

აუნაზღაურებელი შრომით არის განპირობებული რომ ქალებს განათლებისათვის უფრო ნაკლები დრო რჩებათ (Babych, Mzhavanadze and Keshelava 2021). ჩვენი ნაშრომი წარმოდგენილ შეხედულებებს სრულყოფს და რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოსახავს როგორც ქალებისათვის, ასევე, კაცებისათვის მთლიანი სამამულო პროდუქტის დამოკიდებულებას ეკონომიკურად არააქტიურობის დონესა და ხელფასების მიმართ, ხოლო მეორე რეგრესიული მოდელი განსაზღვრავს აუნაზღაურებელი შრომისა და როგორც მიღწეული, ასევე ამჟამინდელი ფორმალური განათლების საფეხურის გავლენას. ასევე, ნაშრომში მოცემულია კლებადი დამოკიდებულება სქესის მიხედვით სიღარიბესა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის. გარდა ამისა, ნაშრომში აღნიშნულია, რომ პანდემიის პირობებში საქართველოს მეზობელ ქვეყანაში - თურქეთში - აუნაზღაურებელი შრომა კაცებისათვის დაახლოებით 5-ჯერ გაიზარდა, რაც განპირობებული იყო დისტანციური მუშაობით, მაშინ როდესაც, საქართველოში პანდემიის პირობებში ქალების მიერ გაწეული აუნაზღაურებელი შრომა განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე უფრო მაღალია და შესაბამისად, მთლიანი შრომის 82.7 პროცენტს შეადგენს.

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაშრომები აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის საქმიანობებზე ძალიან აქტუალურია. ამიტომ აღნიშნული საკითხის უფრო სიღრმისეული შესწავლა საქართველოს მაგალითზე ეფუძნება ძირითადად უცხოურ ლიტერატურას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია ანტონოპულოსის - **ანაზღაურებად და აუნაზღაურებელ სამუშაოს შორის ბალანსი**. კვლევა ფოკუსირებულია აუნაზღაურებელ მოვლის საქმიანობებზე და განსაზღვრავს მის გავლენას გენდერულ თანასწორობაზე. იგი ხაზს უსვამს ინდივიდის არჩევანის უნარს, თუ როგორ აისახება შრომის დანაწილება ანაზღაურებად სამუშაოსა და აუნაზღაურებელი მოვლის საქმიანობებს შორის. გარდა ამისა, რა გავლენას ახდენს ეკონომიკურ შედეგებზე. აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობები, რომელიც ხშირად გადაეცემა ქალებს რჩება დაუფასებელი, რაც იწვევს სისტემურ უთანასწორობას. იგი ხაზს უსვამს აუნაზღაურებელი მოვლის საქმიანობის ფარულ ეკონომიკურ წვლილს და ქალების გაძლიერების მიზნით მოუწოდებს სოციალური აღიარებისა და პოლიტიკის ცვლილებებს ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ნაშრომი ასევე ასახავს დროის გამოყენების გამოკვლევის მნიშვნელოვან როლს გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით

საქართველოს შრომის ბაზრის შესწავლა და შესაბამისად ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის კავშირების დადგენა და მისი გავლენის შეფასება ქვეყნის ეკონომიკასა და ინდივიდთა კეთილდღეობაზე (Antonopoulos 2009).

Unece-სა და Un Women-ის კოლაბორაციით შექმნილი ნაშრომი განსაზღვრავს ქალთა გაძლიერებას აუნაზღაურებელი შრომის შემცირების საფუძველზე. ანგარიშში გაანალიზებულია აუნაზღაურებელი შრომა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, მათ შორისაა საქართველოს მეზობელი ქვეყნები: აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი (Cantillon and Teasdale 2021). შესაბამისად, საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზი მოცემულ ანგარიშს უფრო მეტად სრულყოფს. ანგარიშში შეფასებულია აუნაზღაურებელი შრომის წილი მთლიან შიგა პროდუქტში. აღნიშნული მაჩვენებლები კვლევის ფარგლებში გაანალიზდება საქართველოს მაგალითზე. გარდა ანგარიშში მოცემული ინფორმაციისა, საინტერესოა დროის გამოყენების გამოკვლევის ფარგლებში გაანგარიშებული SDG 5.4.1 ინდიკატორი **„აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი“** სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, როგორც ქვეყნის, ასევე დასახლების ტიპისა და რეგიონების მიხედვით, აუნაზღაურებელ შრომაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და სხვ.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პუბლიკაციის - **„სამსახური და ოჯახური ურთიერთობები აზერბაიჯანში“** - თანახმად, აზერბაიჯანში, საქართველოს მსგავსად, კულტურული და ტრადიციული ფაქტორები დომინირებს. ქვეყანაში მოქმედი შრომის კოდექსი შეფასებულია როგორც ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით მეგობრული (International Labour Organization 2010), თუმცა, აღნიშნული პუბლიკაციის თანახმად, არსებული ხელშეწყობა ძირითადად ორიენტირებულია ქალებზე. მეზობელი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში არსებული ხელშეწყობით შეუძლია ისარგებლოს ორივე მშობელმა, თუმცა, მიუხედავად ამისა, გენდერული უთანასწორობა საქართველოში 1.7-ჯერ უფრო მაღალია აზერბაიჯანთან შედარებით.

„აუნაზღაურებელი ზრუნვის საქმიანობები, როგორც შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის გაუთვალისწინებელი ფაქტორი“ მიეკუთვნება გაელე ფერანტის, ლუკა მარია პესანდოსა და კეიკო ნოვაცკას სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც აანალიზებს აუნაზღაურებელ ზრუნვასა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონესა

და ხელფასებს შორის დამოკიდებულებას, ასევე განათლების დონის გავლენას აუნაზღაურებელ ზრუნვის საქმიანობებზე. ნაშრომში გრაფიკულადაა გამოსახული კლებადი დამოკიდებულება აუნაზღაურებელ შრომასა და აქტიურობის დონეს შორის (Ferrant, Pesando and Nowacka 2014). თუმცა, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოცემული ფაქტორები როგორ ზემოქმედებენ მთლიან შიგა პროდუქტზე. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ აუნაზღაურებელ შრომაში გენდერული უთანასწორობა საკმაოდ მაღალია განათლების დონის მიუხედავად, მნიშვნელოვანია უფრო სიღრმისეული ანალიზი აუნაზღაურებელ შრომაზე განათლების მიღწეული დონის გარდა, როგორ ზემოქმედებს ამჟამინდელი ფორმალური განათლების საფეხური, რაც აღნიშნულ კვლევაში გამოისახება რეგრესიული ანალიზის საფუძველზე.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. მათი კვლევის საფუძველზე მომზადდა პუბლიკაცია **„გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები”.** აღნიშნული წარმოადგენს ღირებულ დოკუმენტს არა მარტო პარლამენტის საქმიანობისათვის, არამედ უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, ამ საკითხზე მომუშავე ნებისმიერი პირისათვის, სამეცნიერო საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ანგარიშში წარმოდგენილია ამ მიმართულებით ექსპერტების მიერ დამუშავებული მონაცემები, განხილულია საკანონმდებლო ბაზა და ბარიერები, გამოწვევების შესაძლო გადაჭრის გზები და პერსპექტივები კონკრეტული რეკომენდაციების შესრულებისათვის (გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭო 2017).

გენდერული უთანასწორობის საკითხებზე მუდმივად მუშაობს გაეროს ქალთა ორგანიზაცია, რომელსაც არაერთი უმნიშვნელოვანესი პუბლიკაცია აქვს აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად შესწავლასა და ანალიზზე. ერთ-ერთი მათგანია „ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პროფილი“. აღნიშნულ პუბლიკაციაში განხილულია პეკინის სამოქმედო პლატფორმის 12 ძირითადი მიმართულება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და პოლიტიკა, ეროვნული მონაცემები, რაც მთავარია შეჯამება და აღნიშნული პრობლემის მინიმიზაციისა და აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. აღნიშნული მიმართულებებია:

- ქალების გაძლიერების ხელშემწყობი ინსტიტუციური მექანიზმები;
- ქალები, სიღარიბე და სოციალური გარიყულობა;
- ქალების განათლება და სწავლება;
- ქალები და ჯანმრთელობა;
- ქალთა მიმართ ძალადობა;
- ქალები და შეიარაღებული კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოება;
- ქალები და ეკონომიკა;
- ქალები გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა ქალებისთვის, ქალები და მედია;
- ქალები სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვაში;
- გოგოების უფლებები;
- ქალთა უფლებები.

აღსანიშნავია, რომ მე-12 მიმართულება ქალთა უფლებები მოიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თერთმეტივე მიმართულებას (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო 2021).

აღნიშნული საკითხების კომპლექსური ანალიზი უმნიშვნელოვანესია, თუმცა ზემოაღნიშნულის გარდა გენდერული უთანასწორობის პრობლემები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტითაც საჭიროებს ანალიზს. გარდა ამისა, მაგალითად, როდესაც განისაზღვრება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, გარდა მობილური ტელეფონის, კომპიუტერისა და ინტერნეტის ფლობისა და გამოყენებისა, უმნიშვნელოვანესია გენდერულ ჭრილში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში უნარების ფლობის ანალიზი და მისი ზემოქმედების განსაზღვრა პირთა ცხოვრების დონესა და კეთილდღეობაზე, რადგან ამ უნარების ფლობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინდივიდთა დასაქმების სტატუსს, რაც კვლევის ფარგლებში სიღრმისეულად არის გაანალიზებული.

გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია პუბლიკაციციები, რომლებიც მომზადდა სხვადასხვა კვლევის ფარგლებში. მაგალითად, **„ზრუნვის დროა: ქალების აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა და უთანასწორობის კრიზისი საქართველოში“,** რომელიც დაიწერა დროის გამოყენების გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია, რომ ზრუნვის პასუხისმგებლობების ასეთი მაღალი უთანასწორობა გამოწვეულია ძირითადად გენდერული როლებითა და სტერეოტიპებით. აღნიშნული პრობლემა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კიდევ უფრო მწვავეა იმის გამო, რომ ბაზისურ ინფრასტრუქტურასა და საჯარო სერვისებზე წვდომა უფრო შეზღუდულად აქვთ, ასევე, სამუშაო ძალაში მონაწილეობის უფრო მაღალი გენდერული უთანასწორობაა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შეფასებით ეკონომიკურად არააქტიურ ქალთა 41 პროცენტი სწორედაც ამ ვალდებულებების გამო არ მონაწილეობს სამუშაო ძალაში. რაც საკმაოდ დიდი ბარიერია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართულობის. ეს კი არა მარტო ქალების, არამედ მთლიანი საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია. პუბლიკაციაში მოცემულია ასევე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ქალთა ჩართვას შრომის ბაზარზე და შესაბამისად, მათ ეკონომიკურ გაძლიერებას. შრომის ბაზარზე უფრო მეტად სამართლიანი შედეგებისათვის მნიშვნელოვანია ზრუნვის პოლიტიკაში ინვესტირება, რაც ქალებს შეუმსუბუქებს აუნაზღაურებელი შრომით მიღებულ შედეგებს. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია დროითი სიღარიბის ცნების შემოღება, რომელიც განსაზღვრავს გახანგრძლივებული მუშაობის გამო, ეს იქნება ანაზღაურებადი თუ აუნაზღაურებელი შრომა, დროის უქონლობას დასვენებისა და გართობისთვის. შემოღებულია დროითი სიღარიბის სამი კატეგორია, ესენია: დაბალი დროითი სიღარიბე, რაც გულისხმობს კვირაში 60 საათზე მეტ სამუშაო დროს, რომელიც ფიქსირდება ქალების - 52.0 პროცენტისათვის, ხოლო კაცების 40.9 პროცენტისათვის, ზომიერი დროითი სიღარიბე, რომელიც განისაზღვრება შესაბამისად, კვირაში ნამუშევარი 71 საათზე მეტი დროით, რომელიც ქალებისათვის - 29.6 პროცენტია, ხოლო კაცებისათვის 20.9 პროცენტი და მაღალი დროითი სიღარიბე, რომელიც კვირაში 82.5 საათზე მეტი სამუშაო დროით განისაზღვრება და შესაბამისად, ქალებისათვის 11.3 პროცენტია, ხოლო კაცებისათვის 8.9 პროცენტი (გელაშვილი და ოქრუაშვილი, გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში და მისი გავლენა საქართველოს მაგალითზე 2022).

გაეროს ბავშვთა ფონდისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მომზადდა პუბლიკაცია ,,**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები და ბავშვები**

საქართველოში: მონაცემთა მიმოხილვა“. აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციას ცხოვრების ყველა ასპექტში აწყდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, განსაკუთრებით კი ქალები და ბავშვები, რომლებიც საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია. აღნიშნული პრობლემა დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია და უმნიშვნელოვანესია მისი კომპლექსური ანალიზი, რაც შესაძლოა საფუძველი იყოს მოცემული პრობლემის მინიმიზაციისა და აღმოფხვრის. საქართველოს მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, რომელიც ჩატარდა 2014 წელს, ქვეყანაში მოსახლეობის 5.0 პროცენტს აქვს ფუნქციური შეზღუდული შესაძლებლობები. შესაბამისად, ქალთა 5.6 პროცენტს, ხოლო კაცთა 4.3 პროცენტს.

რაც შეეხება შშმ პირების განათლებას, დაწყებითი განათლების მიღების მაჩვენებლებში ბიჭებსა და გოგოებს შორის არსებითი განსხვავება არ არის. თუმცა, განსხვავებები შეინიშნება უფრო მაღალ საფეხურზე. მაგალითად, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სრული ზოგადი განათლების მიღების ალბათობა ბიჭებისთვის უფრო მაღალია, შესაბამისად, ბიჭების - 60.3, ხოლო გოგოების - 55.8 პროცენტი, ხოლო უმაღლესი განათლების შემთხვევაში სურათი საპირისპიროა, შესაბამისად, ქალების - 16.4, ხოლო კაცების - 13.3 პროცენტი. სამუშაო ძალაში ჩართულობისა და დასაქმების მაჩვენებლებში, შშმ პირების შემთხვევაში, კიდევ უფრო თვალსაჩინოა გენდერული უთანასწორობა. სამუშაო ძალაში ჩართულობა ქალებისათვის 34.6-ს, ხოლო კაცებისათვის 54.1 პროცენტს შეადგენს.

დასაქმების დონე ქალებისათვის 31.5, ხოლო კაცებისათვის 49.8 პროცენტია. აღნიშნული მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავეა ქალაქის ტიპის დასახლებაში, სადაც სამუშაო ძალაში შშმ ქალების 18.1, ხოლო კაცების 31.1 პროცენტია ჩართული, თუმცა, ასეთი უთანასწორობა გარკვეულწილად გამოწვეულია სამუშაო ძალის სტატისტიკის წარმოების წინა მეთოდოლოგიით, რომლის თანახმადაც საკუთარ მამულში მომუშავე პირი, რომელიც საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებდა პროდუქციას, თვითდასაქმებულად ითვლებოდა.

შშმ პირებზე საუბრისას უმნიშვნელოვანესია ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის საკითხების შესწავლა. შშმ ქალთა რიცხოვნობა აღემატება კაცებისას, თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებული მონაცემების თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოემსახურა 26 000 კაცს,

რაც გაცილებით აღემატება ქალთა რიცხოვნობას, რომელიც შესაბამისად შეადგენს 15 000.

შშმ პირებზე საუბრისას ჯანდაცვის საკითხის გარდა, არანაკლებ მწვავეა დანაშაულისა და უსაფრთხოების საკითხები, აღსანიშნავია, რომ შშმ პირები დანაშაულის მსხვერპლნი უფრო ხშირად არიან. შშმ კაცთა 2.6, ხოლო ქალთა 5.7 პროცენტი იყო ძარცვის ან თავდასხმის მსხვერპლი. აღნიშნული მაჩვენებელი არა შშმ პირების შემთხვევაში გაცილებით უფრო მცირეა და ქალებისათვის 1.6-ს, ხოლო კაცებისათვის 0.8 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალადობის მსხვერპლნი, ეს იქნება სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობა, შშმ ქალები უფრო ხშირად არიან (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, იუნისეფი 2021).

მნიშვნელოვანი პუბლიკაციაა **„საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში"**, რომელიც მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კვლევის ფარგლებში. გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, გენდერული თანასწორობა დაცული უნდა იყოს შრომით ურთიერთობებში. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია საჯარო სამსახურებში დასაქმებულთა გენდერული სტატისტიკის განხილვა. 165 საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა 70.7 პროცენტს კაცები შეადგენენ, ხოლო 29.3 პროცენტს ქალები. აღნიშნული უთანასწორობა გამოწვეულია ძალოვან სტრუქტურებში კიდევ უფრო მაღალი გენდერული უთანასწორობით, სადაც დასაქმებულთა 86.2-ს კაცები, ხოლო 13.8 პროცენტს ქალები წარმოადგენენ. 166 საჯარო დაწესებულების მიხედვით ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებულთა 78.3 პროცენტი კაცია, ხოლო 21.7 პროცენტი ქალი. გენდერული უთანასწორობა გაცილებით უფრო მაღალია ძალოვან სტრუქტურებში, სადაც ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა უმრავლესობას 92.6-ს კაცები, ხოლო 7.4 პროცენტს ქალები შეადგენენ. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ მრავალშვილიანი მშობლები ნაკლებად არიან დასაქმებულნი საჯარო დაწესებულებებში, თუმცა, მათ უმრავლესობას 77.7 პროცენტს კაცები, ხოლო 22.3 პროცენტს ქალები წარმოადგენენ (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი 2013).

აღნიშნული პუბლიკაცია უმნიშვნელოვანესია, თუმცა, ის გვიჩვენებს 2013 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებს, რაც, რა თქმა უნდა, მოძველებულია და საჭიროებს მუდმივ განახლებას, რათა უფრო თვალსაჩინო იყოს თანამედროვე მდგომარეობა და

შესაძლებელი იყოს გენდერული უთანასწორობის ცვლილების ტენდენციების ანალიზი.

გენდერული სტატისტიკის მუდმივი განვითარება და სრულყოფა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. საქსტატის მიერ შემუშავებულია ორი ძირითადი პროდუქტი, ესენია: გენდერული სტატისტიკის პორტალი და პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში“, აღნიშნული პროდუქტები მოიცავს უმნიშვნელოვანეს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა ინდიკატორს გენდერულ ჭრილში.

გენდერული უთანასწორობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მეტ-ნაკლებად შეინიშნება. თუმცა, ზოგი მიმართულებით ეს პრობლემა გაცილებით მწვავეა და მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქალთა კეთილდღეობაზე. გენდერული უთანასწორობის ყველაზე მკაცრი გამოვლინებაა ბავშვთა სასურველობის განსაზღვრა სქესის მიხედვით. ბოლო წლებში ცოცხლად დაბადებულთა შორის ბიჭთა პროცენტული წილი 52 პროცენტს შეადგენს, რაც განპირობებულია იმით, რომ ქვეყანაში ნამდვილად არსებობს მსგავსი სტერეოტიპები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის 52 პროცენტს ქალები შეადგენენ, რაც თავის მხრივ, განპირობებულია ქალთა უფრო მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობით.

უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა გამოკვლევის შედეგები, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს გენდერული სტატისტიკის განვითარებასა და სრულყოფას. უმნიშვნელოვანესია მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა მონაცემები ქალთა სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, ცნობები ქალის შესახებ, ნაყოფიერების, ბოლო ბავშვის სასურველობის, დედისა და ახალშობილი ბავშვის ჯანმრთელობის, მშობიარობის შემდგომი დაკვირვების, კონტრაცეფციის, შეწყვეტილი ორსულობის, ვიქტიმიზაციის, ქორწინება/კავშირის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ გადაწყვეტილებაზე, ქალის ფუნქციონირებაზე, აივ/შიდსზე, ცხოვრებით კმაყოფილებასა და სხვა.

ზემოაღნიშნული გამოკვლევის შედეგების თანახმად, 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც სმენიათ შიდსის შესახებ 90.8 პროცენტს შეადგენს.

აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია საქალაქო ტიპის დასახლებებში, შესაბამისად, 96.0 პროცენტს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 81.3 პროცენტს შეადგენს. რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტად ინფორმირებულნი არიან ამ ასაკობრივი ჯგუფის თბილისში მცხოვრები ქალები (97.0 პროცენტი), ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ქვემო ქართლში (69.7 პროცენტი). რაც შეეხება ყოვლისმომცველი ინფორმაციის ცოდნას შიდსის გადაცემის შესახებ ფლობს გამოკითხულ ქალთა 16.1 პროცენტი, ქალაქის ტიპის დასახლებაში 20.0 პროცენტი, ხოლო სოფლის - 9.2 პროცენტი. რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალია თბილისში - 22.1 პროცენტი, ხოლო ყველაზე მცირე სამცხე-ჯავახეთში - 7.8 პროცენტი. რაც შეეხება უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხულ ქალთა 98.0 პროცენტს სმენია შიდსის შესახებ, ხოლო 25.5 პროცენტს აქვს ყოვლისმომცველი ცოდნა აივ-ის გადაცემის შესახებ.

რაც შეეხება გამოკითხული 15-49 წლის კაცების 86.7 პროცენტს სმენია შიდსის შესახებ, ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრებთა 93.4 პროცენტს, ხოლო სოფლის - 76.1 პროცენტს. რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისში, ხოლო ყველაზე დაბალია ქვემო ქართლში, შესაბამისად, 94.2 და 66.0 პროცენტი. აივ-ის გადაცემის შესახებ ყოვლისმომცველი ცოდნა აქვთ გამოკითხული კაცების 15.3 პროცენტს, ქალაქის ტიპის დასახლებაში 20.2 პროცენტს, ხოლო სოფლის - 7.5 პროცენტს. რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისში, შესაბამისად, 22.6 პროცენტი, ხოლო ყველაზე დაბალია სამცხე-ჯავახეთში - 4.7 პროცენტი. განათლების დონის მიხედვით ყველაზე ინფორმირებულნი იყვნენ უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხული კაცები, რომელთა 95.2 პროცენტს სმენია შიდსის შესახებ, ხოლო ყოვლისმომცველი ცოდნა ჰქონდა 25.2 პროცენტს (საქსტატი, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა 2018).

ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლებზე საუბრისას უმნიშვნელოვანესია რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირებული/ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის ანალიზი. აღსანიშნავია, რომ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს უფლებას წარმოადგენს. ის ასევე მიეკუთვნება მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის 5.6.1 ინდიკატორს „15-49 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, ვინც სექსუალურ ურთიერთობებთან, კონტრაცეპტივების

გამოყენებასთან და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს“. აღნიშნული მაჩვენებელი გაანგარიშდა სამი კითხვის საფუძველზე:

1. შეუძლია თუ არა ქალს უარი უთხრას მეუღლე/პარტნიორს სქესობრივ კავშირზე, თუ მას არ სურს;
2. არის თუ არა კონტრაცეპტივების გამოყენება/არგამოყენება ძირითადად ქალის ან მეუღლე/პარტნიორთან ერთად მიღებული გადაწყვეტილება;
3. შეუძლია თუ არა ქალს საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება თვითონ ან მეუღლე/პარტნიორთან ერთად.

15-49 წლის დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები ქალები, რომლებმაც ზემოთ ჩამოთვლილ სამივე კითხვაზე უპასუხეს „დიახ“, მიეკუთვნებიან ქალებს, რომლებიც თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს: სექსუალურ ურთიერთობებზე, კონტრაცეპტივების გამოყენებასა და ჯანმრთელობის შესახებ.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ მოცემულ პერიოდში დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-49 წლის ქალების 83.8 პროცენტს შეუძლია უარი უთხრას მეუღლეს/პარტნიორს სქესობრივ კავშირზე, გამოკითხულ ქალთა 95.7 პროცენტის შემთხვევაში ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ძირითადად მეუღლის/პარტნიორის მიერ არ არის მიღებული. ხოლო კონტრაცეპტივების გამოყენება/არ გამოყენება ძირითადად მეუღლე/პარტნიორის მიერ არ არის გადაწყვეტილი 98.6 პროცენტის შემთხვევაში. რაც შეეხება 5.6.1 ინდიკატორს, რომელშიც მოისაზრება ინფორმირებული/ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება საკუთარი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, რომელიც გულისხმობს სამივე კითხვაზე დადებითი პასუხის დაფიქსირებას შეადგენს 79.2 პროცენტს. აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავებულია დასახლების ტიპის მიხედვით. ქალაქის ტიპის დასახლებისათვის - 82.8 პროცენტი, ხოლო სოფლის - 73.2 პროცენტია. რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალია შიდა ქართლში (87.0 პროცენტი), ხოლო ყველაზე დაბალია სამცხე-ჯავახეთში 48.8 პროცენტი, აღნიშნული ძირითადად განპირობებულია აღნიშნულ რეგიონში იმით, რომ ქალთა მხოლოდ 50.2 პროცენტს შეუძლია უთხრას უარი მეუღლე/პარტნიორს სქესობრივ კავშირზე. ზემოაღნიშნულზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ადრეული ქორწინების ფაქტორი, 20-24 წლის ქალების 13.9 პროცენტი დაქორწინებულია 18 წლამდე (საქსტატი, მრავალინდიკატორული

კლასტერული კვლევა 2018), აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია საქართველოს მეზობელ ქვეყანაში, 2023 წლის კვლევის შედეგების თანახმად, აზერბაიჯანში 20-24 წლის ქალთა 15.0 პროცენტი დაოჯახებული იყო 18 წლამდე (UNICEF 2023).

რაც შეეხება განათლებას, სკოლის მოსწავლეებში ჭარბობენ ბიჭები, ხოლო როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გოგოები. კურსდამთავრებულთა რიცხოვნობაში გოგოების წილი უფრო მაღალია, თუმცა, ზოგიერთი პროგრამის კურსდამთავრებულის უმრავლესობას ბიჭები წარმოადგენენ, ასეთია, მაგალითად, საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები.

პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა, 2015-2023 წლებში როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის, ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, 2023 წელს დახმარებების მიმღებთა 64 პროცენტს ქალი წარმოადგენდა. ყველაზე მაღალი გენდერული უთანასწორობა ვლინდება პენსიის მიმღებებში. აღნიშნული პაკეტის მოსარგებლე ქალების რიცხოვნობა კაცებისას აღემატება დაახლოებით 146 პროცენტით. ეს გამოწვეულია რიგი ფაქტორებით, რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანესია ქალთა უფრო მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა, გარდა ამისა, ქალებისათვის დანიშნული უფრო დაბალი საპენსიო ასაკი და სხვა.

შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის პრობლემა საკმაოდ მწვავეა, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, შესაბამისად, უარყოფითად ზემოქმედებს ცალკეული ინდივიდისა თუ ოჯახის კეთილდღეობაზე. მიუხედავად არსებული კანონმდებლობისა, შრომის ბაზარზე პირდაპირ თუ ირიბად მაინც ხდება დისკრიმინაცია სქესის მიხედვით. უთანასწორობის გამომწვევი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია აუნაზღაურებელი საქმიანობა, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში ქალები გასწევენ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული დროის გამოყენების გამოკვლევის თანახმად, ქალები დღეში საშუალოდ 2-3-ჯერ მეტ დროს უთმობენ აუნაზღაურებელ სამუშაოს, კაცებთან შედარებით. ეს მაჩვენებელი საქართველოში გაცილებით მაღალია და 4.8-ს შეადგენს, აღნიშნული განსაზღვრავს თუ რამდენჯერ მეტ დროს ხარჯავენ ქალები, კაცებთან შედარებით აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე. აუნაზღაურებელი როგორც საოჯახო, ასევე ზრუნვის

საქმიანობებში მაღალი ჩართულობით გამოწვეულია ის, რომ ქალთა დიდი ნაწილი მიეკუთვნება ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას, ასევე, მათი დიდი ნაწილი, რომელიც დასაქმებულია ძირითად სამუშაოზე, აქვს ნაკლები ნამუშევარი ჩვეულებრივი საათები. 2023 წლის მონაცემების საფუძველზე კაცები კვირაში დაახლოებით 15.4 პროცენტით მეტ საათს მუშაობენ (საქსტატი, დასაქმება და უმუშევრობა 2023). აღნიშნული შრომის ანაზღაურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორია, გარდა ამისა, ხელფასებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს დაკავებული თანამდებობები და პოზიციები, აღსანიშნავია, რომ მაღალ თანამდებობებზე ქვეყანაში უმეტესად დასაქმებულნი არიან კაცები.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე გენდერული დისბალანსი შრომის ანაზღაურებაში საკმაოდ მაღალია. 2023 წლისათვის კაცის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 47.3 პროცენტით აღემატებოდა ქალებისას. ზოგიერთ საქმიანობაში არსებული უთანასწორობა უფრო მაღალია. მაგალითად, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში - 98.6 პროცენტით, აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმიანობაში ხელფასები როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის საკმაოდ მაღალია.

გენდერული სახელფასო სხვაობა განსაზღვრავს ქალებისა და კაცების მიერ შრომის საათობრივ ანაზღაურებას შორის განსხვავებას. ნედლსა და შესწორებულ გენდერულ სახელფასო სხვაობას შორის უფრო სამართლიან სურათს გვაძლევს შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, რომელშიც გათვალისწინებულია პიროვნების განათლება, სამუშაო გამოცდილება და სამუშაოსთან დაკავშირებული რიგი სხვა მახასიათებლები. თუმცა, ბუნებრივია, რომ ყველა მახასიათებლის გათვალისწინება ფაქტობრივად შეუძლებელია. შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა შესაძლოა არ ითვალისწინებდეს, მაგალითად, პიროვნულ თუ შრომის ბაზრის სხვადასხვა მახასიათებელს, ასევე, ისეთ არადაკვირვებად მახასიათებლებს, როგორიცაა, მოტივაცია, თავდადება, ყურადღება, სამუშაოსადმი დამოკიდებულება, კავშირები და სხვა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაანგარიშებულია საათობრივი და ყოველთვიური შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა. 2023 წლისათვის შესწორებული გენდერული სხვაობა ყოველთვიურის შემთხვევაში 20.9 პროცენტს შეადგენდა, რაც გაცილებით ნაკლებია უკვე ზემოთ აღნიშნულ შეუსწორებელ გენდერულ სხვაობაზე.

ყოველთვიურ სახელფასო სხვაობასთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებია საათობრივი სახელფასო სხვაობა, რომელიც 13.2 პროცენტს შეადგენდა. აღნიშნული განსხვავება კი, ბუნებრივია, გამოწვეულია იმით რომ ქალების მიერ ნამუშევარი საათები კაცებთან შედარებით უფრო მცირეა, თუმცა, აღნიშნულიც გარკვეულწილად გამოწვეულია სხვადასხვა გენდერული სტერეოტიპის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, დაკავებული პოზიციების/თანამდებობების მიხედვით.

ცხრილი 1: 2023 წელს შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, დაკავებული პოზიციების/თანამდებობების მიხედვით, %

	საათობრივი სახელფასო სხვაობა	ყოველთვიური სახელფასო სხვაობა
სპეციალისტი-პროფესიონალები	18.7	19.2
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	23.4	25.2
ოფისის დამხმარე პერსონალი	19.3	18.2
მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	5.0	12.9
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	39.3	41.6
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	24.4	37.0

წყარო: საქსტატი.

ზემოაღნიშნული ცხრილის საფუძველზე გენდერული უთანასწორობა დაკავებული პოზიციების/თანამდებობების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია. თვიური სახელფასო სხვაობა უმეტეს პოზიციისა და თანამდებობის დროს აღემატება საათობრივს, რაც, ბუნებრივია, და გამოწვეულია კაცების მიერ უფრო მეტი ნამუშევარი საათით, თუმცა, მაგალითად, ოფისის დამხმარე პერსონალისათვის საათობრივი სახელფასო სხვაობა კიდევ უფრო მაღალია, რასაც უფრო თვალსაჩინო გენდერულ უთანასწორობამდე და დისკრიმინაციამდე მივყავართ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გენდერული სახელფასო სხვაობა 2023).

2023 წელს 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალების რიცხოვნობა 16.6 პროცენტით აღემატება ამავე ასაკობრივი ჯგუფის კაცების რიცხოვნობას. მიუხედავად ამისა, დასაქმებული კაცების რიცხოვნობა 23.2 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს. აღნიშნული უთანასწორობა კი ძირითადად გამოწვეულია სამუშაო

ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობით, რომელთა 65.6 პროცენტს ქალები შეადგენენ, სწორედ ეს არის უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რომ უმუშევრობის დონე ქალებისათვის გაცილებით უფრო ნაკლებია, კაცებთან შედარებით (საქსტატი, დასაქმება და უმუშევრობა 2023).

დასაქმების დონე, რომელიც განისაზღვრება დასაქმებულთა რიცხოვნობისა და 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის თანაფარდობით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ სქესობრივ ჭრილში (იხ. მომდევნო დიაგრამა 1):

დიაგრამა 1: დასაქმების დონე, გენდერულ ჭრილში, %



წყარო: საქსტატი.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2015-2023 წლებში კაცებისათვის დასაქმების დონე აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს. უთანასწორობა კიდევ უფრო მეტად იზრდება 2020-2023 წლებში. დასაქმების დონე ყველაზე დაბალი როგორც ქალებში, ასევე კაცებში 2021 წელსაა. ქალებში 2021 წელს 2015 წელთან შედარებით უფრო მეტად არის შემცირებული, ვიდრე კაცებისათვის, შესაბამისად, 3.6 და 2.2 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია უმუშევრობის დონე 2015-2023 წლებში, გენდერულ ჭრილში.

დიაგრამა 2: უმუშევრობის დონე გენდერულ ჭრილში, %



წყარო: საქსტატი.

რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, როგორც გრაფიკიდან ჩანს 2015-2023 წლებში, ყოველწლიურად კაცების უმუშევრობის დონე აღემატება ქალებისას. უმუშევრობის დონის უთანასწორობა სქესის მიხედვით გამოწვეულია ძირითადად იმით, რომ ქალები, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი მათი უმრავლესობა მიეკუთვნება სამუშაო ძალის გარეთ მყოფ მოსახლეობას, შესაბამისად, ისინი აღარ აკმაყოფილებენ უმუშევრობის კრიტერიუმებს: არ იყვნენ დასაქმებულნი გამოკითხვის მომენტის დროს გასული 7 დღის განმავლობაში, არ ეძებდნენ სამსახურს გასული 4 კვირის განმავლობაში ან მზად არ იყვნენ სამსახურის პოვნის შემთხვევაში მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში. 2015-2023 წლებში უმუშევრობის დონე ქალებისათვის ყოველწლიურად საშუალოდ 0.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებისათვის 0.7 პროცენტული პუნქტით მცირდება.

ტექნოლოგიების ეპოქაში უმნიშვნელოვანესია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების განსაზღვრა და ასევე, მათზე ხელმისაწვდომობა გენდერულ ჭრილში.

6 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის 82.7 პროცენტმა გამოიყენა ინტერნეტი ბოლო 3 თვის განმავლობაში. შესაბამისად, ქალთა - 83.0 პროცენტმა, ხოლო კაცების - 82.3 პროცენტმა. უმთავრესი მიზანი ინტერნეტის გამოყენებისა ორივე სქესისათვის იყო სოციალური ქსელები, შესაბამისად, 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალთა 96.1

პროცენტისათვის, ხოლო კაცების 95.0 პროცენტისათვის. ინტერნეტის გამოყენების ძირითადი მიზნებიდან ყველაზე მაღალია გენდერული უთანასწორობა ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიების კატეგორიაში, აღნიშნული მიზნით ინტერნეტი ბოლო 3 თვეში 2023 წელს ქალების - 61.3 პროცენტმა, ხოლო კაცების 37.7 პროცენტმა გამოიყენა.

რაც შეეხება 6 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას, რომელმაც გამოიყენა კომპიუტერი ბოლო 3 თვის განმავლობაში 52.3 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ქალთა - 51.7 პროცენტმა, ხოლო კაცთა 53.0 პროცენტმა. როგორც ჩანს როგორც ქალები, ასევე კაცები ინტერნეტს უფრო მეტად იყენებენ, ეს გამომწვეულია იმით, რომ 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 94.6 პროცენტი იყენებს მობილურ ტელეფონს, შესაბამისად, ქალების 94.3, ხოლო კაცების 94.9 პროცენტი (საქსტატი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში 2023).

გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა უთანასწორობა აქტივების ფლობაში, რაც განაპირობებს ქალთა ცუდ ეკონომიკურ მდგომარეობას. იმისათვის, რომ აქტივების დოკუმენტირებული და განცხადებული მფლობელობა განსაზღვრულიყო სქესის მიხედვით ჩატარდა პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე (EDGE). კვლევამ მოიცვა 2 783 შინამეურნეობა, შესაბამისად, ქალაქში - 1 495, ხოლო სოფელში - 1 288. თითოეულ შერჩეულ შინამეურნეობაში გამოიკითხა მაქსიმუმ სამი სრულწლოვანი წევრი. გენდერული უთანასწორობის შესწავლის დროს უმნიშვნელოვანესია გენდერულ ჭრილში აქტივების ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის შესაძლებლობების განსაზღვრა, რადგან ის მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ცალკეული ინდივიდის კეთილდღეობაზე. პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე აჩვენებს უთანასწორობებს მოცემული მიმართულებით და განსაზღვრავს მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის მეხუთე ამოცანას „5.ა ზომების განხორციელება და ჩვეულებითი პრაქტიკის შეცვლა ეკონომიკურ რესურსებზე ქალების თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, მიწისა და სხვა ფორმის ქონების და მემკვიდრეობის ფლობაზე და კონტროლზე“.

კვლევის საფუძველზე დადგინდა აქტივების როგორც დოკუმენტირებული, ასევე განცხადებული მფლობელობა. აღსანიშნავია, რომ საცხოვრისის განცხადებული

მფლობელია 80 პროცენტამდე კაცი და 76 პროცენტამდე ქალი, უთანასწორობა კიდევ უფრო მაღალია დოკუმენტირებულ მფლობელობაში, შესაბამისად, ქალების 33 პროცენტი, ხოლო კაცების 46 პროცენტი. უთანასწორობა ყველაზე მაღალია სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობაში, განსაკუთრებით კი დოკუმენტირებულ მფლობელობაში. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწას დოკუმენტირებულად დაახლოებით 2-ჯერ მეტი კაცი ფლობს. რაც შეეხება განცხადებულ მფლობელობას, გენდერული განსხვავება 14 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. სხვა უძრავი ქონების შემთხვევაშიც როგორც დოკუმენტირებული, ასევე განცხადებული მფლობელობა კაცებში უფრო მაღალია. განცხადებული მფლობელობა კაცებში 16 პროცენტს, ხოლო ქალებში 10 პროცენტს შეადგენს, ხოლო დოკუმენტირებული მფლობელობა, სხვა აქტივების მსგავსად უფრო ნაკლებია ორივე სქესისათვის, შესაბამისად, ქალებისთვის 6 პროცენტი, ხოლო კაცებისათვის 11 პროცენტია (საქსტატი, პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე 2018).

გენდერული უთანასწორობის ყველაზე მწვავე ფორმაა ქალებზე ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონმდებლობით ისჯება, ეს პრობლემა მაინც საკმაოდ აქტუალურია, დღესაც არიან ქალები როგორც სექსუალური, ასევე, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლნი. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017 წელს ჩატარდა, აღნიშნული გამოკვლევა საქსტატისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით 2022-2023 წლებშიც ჩატარდა. კვლევის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია მეუღლე/პარტნიორისა და არაპარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებისა და მისი ფორმების შესახებ, ქალთა მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულებების, მეუღლე/პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავლენაზე ქალის ფიზიკურ, ფსიქიკურ, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ბავშვთა კეთილდღეობაზე, მეუღლის პარტნიორის მხრიდან ძალადობასა და სექსუალურ ძალმომრეობაზე ქალთა რეაგირებისა და დაძლევის სტრატეგიებზე.

კვლევის შედეგების თანახმად გამოკითხული 15-64 წლის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და მეუღლე/პარტნიორის მხრიდან გამოსცადეს სხვადასხვა ფორმის ძალადობა სიცოცხლის მანძილზე 5.5 პროცენტმა დააფიქსირა, რომ გამოსცადა

ფიზიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან, 2.3 პროცენტმა გამოსცადა სექსუალური ძალადობა, ხოლო 6 პროცენტმა გამოსცადა ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა. ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სილის გაწნა ან რაიმე ნივთის სროლა, რომელიც დაასახელა გამოკითხულთა 5 პროცენტმა, ხელის კვრა - 4 პროცენტმა, ხოლო რაც შეეხება მუშტით ან რაიმე სხვა მძიმე საგნით დარტყმა დააფიქსირა 2 პროცენტმა. გარდა ძალადობის ამ ფორმებისა ქალები განიცდიან ძალადობის ისეთ მძიმე შემთხვევებსაც, როგორებიცაა, მაგალითად, დახრჩობა ან განზრახ დაწვა, დამუქრება ან დანისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება და სხვ.

რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას გამოკითხულ ქალთა 2.3 პროცენტს მეუღლის/პარტნიორის მხრიდან სიცოცხლის მანძილზე გამოუცდია სექსუალური ძალადობა, ხოლო ბოლო 12 თვის მანძლზე გამოკითხულთა 0.4 პროცენტს. სექსუალური ძალადობა მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ძირითადად განხორციელდა ფიზიკური ძალის გამოყენებით, ქალთა თითქმის იგივე რაოდენობა აფიქსირებს, რომ მას ეშინოდა რომ მეუღლე/პარტნიორი მას რამეს დაუშავებდა, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობა აფიქსირებს, რომ მას მეუღლე/პარტნიორმა აიძულა რაიმე სხვა სექსუალური ხასიათის ქმედება, რომელიც დამამცირებლად ან შეურაცხმყოფელად მიაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ძალადობის შემთხვევები უმეტეს შემთხვევაში განმეორებით ხასიათს ატარებს და არ არის ერთჯერადი. ოდესმე მეუღლე/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა ბევრჯერ განუცდია ქალების 0.3 პროცენტს, გამოკითხული ქალების 2.2 პროცენტი აფიქსირებს, რომ მხოლოდ ფიზიკური ძალადობა განიცადა რამდენჯერმე, ხოლო ერთხელ განიცადა გამოკითხული ქალების 1.9 პროცენტმა. რაც შეეხება მხოლოდ სექსუალურ ძალადობას, გამოკითხული ქალების 0.3 პროცენტმა დააფიქსირა, რომ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ოდესმე განუცდია ძალადობა რამდენჯერმე, ხოლო 0.2 პროცენტმა დააფიქსირა, რომ ასეთი შემთხვევა მოხდა მხოლოდ ერთხელ.

ძალადობის უფრო ხშირი გამოვლინებაა ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს როგორც ემოციურ ძალადობას, ასევე მაკონტროლებელ ქცევას. აღსანიშნავია, რომ ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 13 პროცენტს განუცდია ფსიქოლოგიური ძალადობა, ხოლო გასული 12 თვის განმავლობაში გამოკითხული ქალების 3.2 პროცენტს. ფსიქოლოგიური ძალადობის

ყველაზე გავრცელებული ფორმაა მეუღლე/პარტნიორის მიერ ქალის საზოგადოებაში დამცირება, აღნიშნული შესაბამისად, დააფიქსირა გამოკითხულ ქალთა 8.5 პროცენტმა, შეურაცხყოფის მიყენება და ისე მოქცევა, რომ ქალს საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენა შეექმნას დააფიქსირა გამოკითხულთა 8.3 პროცენტმა, გამოკითხულ ქალთა 5.7 პროცენტის შემთხვევაში მეუღლე/პარტნიორმა დააფრთხო ან დააშინა, 4.2 პროცენტის შემთხვევაში გაანადგურა/დაამტვრია საგნები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ხოლო 3 პროცენტის შემთხვევაში მეუღლე/პარტნიორი ემუქრებოდა, რომ ზიანს მიაყენებდა მას ან მისთვის ძვირფას ადამიანებს.

რაც შეეხება მაკონტროლებელ ქცევებს გამოკითხულ ქალთა 5.2 პროცენტი თავს ყოველთვის კონტროლის ან შიშის ქვეშ გრძნობდა, 3.3 პროცენტს არ აძლევდნენ ქალი მეგობრების ნახვის საშუალებას, 2.1 პროცენტს შეზღუდული ჰქონდა კონტაქტი ოჯახთან, ხოლო 0.5 პროცენტს მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლიდა ესარგებლა სამედიცინო მომსახურებით.

ფსიქოლოგიურ ძალადობასთან ერთად საკმაოდ გავრცელებულია ეკონომიკური ძალადობა, რომელშიც მოისაზრება მეუღლის მიერ სამსახურის ან ფულის შოვნის დაშლა, საკუთარი შემოსავლის წართმევა, ასევე, შესაძლოა მეუღლე/პარტნიორი ქალს უარს ეუბნებოდა შინამეურნეობის ხარჯების დასაფარად ფულის მიცემაზე, მაშინ, როდესაც სხვა საგნების შესაძენად ფული ჰქონდა. აღნიშნული შემთხვევებიდან სულ მცირე 1 დააფიქსირა გამოკითხულ ქალთა 9.6 პროცენტმა. ყველაზე ხშირი იყო მუშაობისა და ფულის შოვნის აკრძალვა (5.4 %), შინამეურნეობის ხარჯებისათვის ფულის მიცემაზე უარის თქმა (4.9 %), ხოლო საკუთარი შემოსავლის წართმევას აფიქსირებს გამოკითხულ ქალთა 2.3 პროცენტი.

მნიშვნელოვანია ნებისმიერი ძალადობის განხილვა რეგიონულ ჭრილში. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ძალადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება სამცხე-ჯავახეთში - 21 პროცენტი, ხოლო თბილისში - 20 პროცენტი, თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თბილისში დაფიქსირდა როგორც სექსუალური (4 %), ასევე ფიზიკური (8 %) ძალადობის ყველაზე მაღალი მნიშვნელობები (საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2017). რეგიონების ასეთი დიფერენციაცია გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, სამცხე-ჯავახეთში ასეთი მაღალი ძალადობის შემთხვევები შესაძლოა გამოწვეული იყოს ეთნიკური უმცირესობების სიჭარბით, ხოლო რაც შეეხება თბილისს, გამოწვეულია ქალაქში მოსახლეობის უფრო მაღალი ცნობიერებით

აღნიშნულ საკითხებზე. შესაბამისად, მოსახლეობა უფრო ღიად პასუხობს აღნიშნულ კითხვებს და სურათიც უფრო რეალურია, სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია, აღნიშნული საკითხებით მოსახლეობის უფრო მეტად ინფორმირება, ასევე, ამ კუთხით არსებული კანონმდებლობების გაცნობა, შესაძლო დახმარებების გამოყენების შესაძლებლობები და სხვა. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია, ძალადობა გამოვლილი ქალების ეკონომიკურად გაძლიერება, ვინაიდან ძალიან ხშირად ქალები ეკონომიკურად დამოკიდებულები არიან მოძალადეებზე, რის გამოც აგრძელებენ ცხოვრებას მათთან (Abesadze, Abesadze, et al. 2024). 2022 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევის თანახმად ნებისმიერი სახის ძალადობა ცხოვრების მანძილზე განიცადა გამოკითხულ ქალთა 50.1 პროცენტმა, ხოლო ბოლო 12 თვის მანძილზე - 18.2 პროცენტმა. 15 წლის და უფროსი ასაკის ქალებისა და გოგოების პროცენტული წილი, რომელთა მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან, ბოლო 12 თვის მანძილზე შეადგენდა 10.1 პროცენტს, რაც მდგრადი განვითარების მიზნების SDG 5.2.1 ინდიკატორს წარმოადგენს (საქსტატი და გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022). ქვეყნისათვის თითოეული ადამიანის სიცოცხლე უმნიშნელოვანესია. საქართველოში არსებული მდგომარეობა ცხადყოფს რომ ეს პრობლემა საკმაოდ მწვავეა, მოძალადეთა და მსხვერპლთა რიცხვი ზრდადია. განსაკუთრებით კი ხშირია ყოფილი მეუღლე/პარტნიორის მხრიდან არსებული სექსუალური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები (Abesadze, Paresashvili and Kinkladze, VIOLENCE AGAINST WOMEN: STEREOTYPED OR NEW CHALLENGE OF SOCIETY 2019).

დროის გამოყენების გამოკვლევა განხორციელდა საქსტატისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. გამოკვლევისათვის შეირჩა ქვეყნის მასშტაბით 3 680 შინამეურნეობა და გამოიკითხა 6 074 რესპონდენტი, რომელთაც შეავსეს დროის გამოყენების 2 დღიური, 1 სამუშაო დღისათვის, შესაბამისად, ორშაბათი-პარასკევი დღეებიდან ერთ-ერთზე, ხოლო მეორე უქმე დღეებისათვის, შესაბამისად, შაბათს ან კვირას. სამუშაო დღისათვის შეივსო 5 721, ხოლო უქმე დღეებისათვის 5 713 დღიური. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დრო, მაგალითად, ანაზღაურებად და აუნაზღაურებელ შრომაზე, საოჯახო საქმეებზე,

ზრუნვაზე, მგზავრობაზე და სხვა აქტივობებზე. აღსანიშნავია, რომ აქტივობები კლასიფიცირდება 9 ძირითად ჯგუფად. ესენია, დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები, პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის, შინამეურნეობებისა და ოჯახის წევრებისათვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის მომსახურება, სტაჟირება, მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა, სწავლა, სოციალიზაცია და კომუნიკაცია, სათემო და რელიგიურ აქტივობებში მონაწილეობა, კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა, საკუთარ თავზე ზრუნვა და მოვლა. აღნიშნული კვლევის შედეგად გაანგარიშდა მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის 5.4.1 ინდიკატორი **„აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით“.** გარდა ამისა, აღნიშნული კვლევის შედეგები უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების სხვა ინდიკატორების შესახებ ინფორმაციის უფრო მეტად სრულყოფას, რაც თავისთავად განაპირობებს გენდერული სტატისტიკის განვითარებას (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქსტატი 2020-2021).

კვლევა ჩატარდა 2020-2021 წლებში, კორონავირუსის პანდემიის დროს. მკაცრი შეზღუდვების პირობებში ყველა აქტივობის შესრულების პერიოდიც და ამ აქტივობებში ჩართულობაც განსხვავებულია. შეცვლილი იყო სწავლების ფორმაც, როგორც სკოლები, ასევე უნივერსიტეტები უმეტესად გადასულნი იყვნენ დისტანციურ რეჟიმზე, გარდა ამისა, სამსახურების უმრავლესობაც. დაწესებული იყო მკაცრი შეზღუდვები გადაადგილებაზე, კომენდანტის საათი, მინიმუმამდე იყო დაყვანილი სოციალიზაციაც, ამ და რიგმა სხვა ფაქტორებმა იმოქმედა კვლევის შედეგებზე.

გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია პანდემიის გავლენა დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. რადგან კორონავირუსმა მნიშვნელოვნად გააუარესა ცალკეული შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა. ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევის პირველი ტალღის შედეგების თანახმად, რომელიც ჩატარდა 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში 2020 წლის მარტიდან გამოკითხული შინამეურნეობების 53.0 პროცენტს შეუმცირდა შემოსავალი. შემოსავლის შემცირება უმეტეს წილად დამოკიდებული იყო პანდემიით, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი შემოსავლის შემცირებისა სამსახურის დაკარგვაა, რაც

გამოკითხულთა 31.8 პროცენტმა დააფიქსირა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, პანდემიით გამოწვეულმა შედეგებმა, ამ აქტივობების განხოციელებასა და ჩართულობაზეც მნიშვნელოვნად იმოქმედა (Unicef, Geostat 2020). ზემოაღნიშნულის საფუძველზე პანდემიამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე, პანდემიის პირობებში კი გენდერული უთანასწორობა შრომის ბაზარზე კიდევ უფრო მეტად გამწვავდა, რადგან საწარმოების დახურვით განსაკუთრებით დასაქმებული ქალები დაზარალდნენ (Abesadze, Paresashvili, et al., GENDER IMBALANCES IN THE GEORGIAN LABOR MARKET AND PECULIARITIES OF THE IMPACT OF THE COVID-19 PANDEMIC 2022). მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გენდერული ასპექტები ბოლომდე შესწავლილი არ არის, ერთმნიშვნელოვანი შეფასებით, პანდემიის უარყოფითი შედეგები უფრო მეტად ქალებს შეეხო (გელაშვილი და თოდრაძე, დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით 2020).

1.3. გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ჩარჩო და მისი ნაკლოვანებები

საქართველოში გენდერული თანასწორობა რეგულირდება საქართველოს კანონით გენდერული თანასწორობის შესახებ, აღნიშნული კანონი უზრუნველყოფს ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების გარანტიებს. გარდა ამისა, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა შესაბამის სფეროში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს. აღნიშნული კანონის მიზანია თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას ყველა სახის დისკრიმინაცია, ასევე, სათანადო პირობები შეუქმნას ყველა ქალსა და კაცს ჰქონდეს თანასწორი უფლებები, თავისუფლება და მათი შესაძლებლობების რეალიზაციას შეუწყოს ხელი.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია შესაძლოა იყოს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი. პირდაპირი დისკრიმინაციის დროს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, განსხვავებული სქესის წარმომადგენლები არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან ან თანაბარ მდგომარეობაში არიან უთანასწორო პირობებში მყოფი პირები. რაც შეეხება ირიბ დისკრიმინაციას, ამ დროს

მდგომარეობა ფორმით ნეიტრალურია, თუმცა, არსით დისკრიმინაციული (საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ 2010).

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის გარდა, არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც უზრუნველყოფს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას. მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციასა და აღკვეთას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ ქალთა და კაცთა თანასწორუფლებიანობა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ქალებსა და კაცებს შორის ძალთა უთანასწორობა იწვევს კაცების მიერ ქალთა დისკრიმინაციასა და მათზე დომინირებას. ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი უმეტეს შემთხვევაში, ქალები არიან, თუმცა, არანაკლებ ფსიქოლოგიურ თუ ემოციურ სტრესს განიცდიან ბავშვებიც, რომლებიც ხშირად ამ ძალადობის მოწმეები არიან, თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არ არის გამორიცხული ოჯახში ძალადობის მსხვერპლი კაცი აღმოჩნდეს.

აღნიშნული კონვენციის მიზანია ქალების დაცვა ყოველგვარი ძალადობისგან, მათ შორის, ოჯახში ძალადობისგან, ასევე, ხელი შეუწყოს ყველანაირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას, განაპირობებს ქალებისათვის მეტი შესაძლებლობების მიცემას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს უთანასწორობის შემცირებას, შეიმუშაოს შესაბამისი ზომები ძალადობაგამოვლილი ქალების დაცვისა და დახმარებისათვის, ორგანიზაციებსა და სამართალდამცავ ორგანოებს მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს, რათა შემუშავდეს კომპლექსური მიდგომა ქალების დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია 2017).

ქალთა უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 22: საქართველოს სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა უცხო ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, რომელიც განსაკუთრებით ორიენტირებულია ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ და

ზოგადად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაზე (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2006).

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის (ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის უფლებებისა და თავისუფლების აღკვეთას, ასევე ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ თუ ეკონომიკურ ძალადობას) აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირად ცხოვრებაში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ საფუძვლებს, გარდა ამისა, იძლევა გარანტიებს მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების. ამ კანონის მიზანია ოჯახის ყველა წევრის უფლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფა, ასევე, თავისუფლების დაცვა და ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა. აგრეთვე, მიზანია შეიქმნას საკანონმდებლო მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის აღკვეთასა და თავიდან აცილებას, მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა, მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია, ასევე, უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა ინსტიტუტს შორის თანამშრომლობა.

არანაკლებ საყურადღებოა ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების დღეების რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება 730 დღით, რომელთაგანაც ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო ტყუპების ყოლის ან ორსულობის/მშობიარობის გართულების შემთხვევაში 200 კალენდარული დღე. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში, სადაც ოჯახების უმრავლესობა ძირითადად მიეკუთვნება დაბალ და საშუალო შემოსავლიანებს რთულია ოჯახის რომელიმე წევრმა ისარგებლოს აუნაზღაურებელი შვებულებით, რომელთა შემოსავალიც უმეტეს შემთხვევაში აუცილებელია მათივე პირველადი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასეთ დროს უმეტეს შემთხვევაში ოჯახი იძულებულია, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, დედამ აიღოს აუნაზღაურებელი შვებულება ან აიყვანოს ძიძა, რომლის ანაზღაურებაც ხშირ შემთხვევაში შესაძლოა დედის ანაზღაურებასაც აღემატებოდეს, თუმცა, განსაკუთრებით კერძო სექტორში დასაქმებული ქალები ხშირად სამსახურის დაკარგვის შიშის გამო იძულებულნი არიან ასეთ კომპრომისზეც წავიდნენ. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვებს ზრდიან ოჯახის სხვა წევრები, მაგალითად, უმეტეს შემთხვევაში ბებიები,

რომლებიც აქამდე უფრო მეტად დაბალ ანაზღაურებად სამსახურებში იყვნენ დასაქმებულნი და ძიძის აყვანის ნაცვლად ამჯობინეს სამსახურის დატოვება და ბავშვის აღზრდა. თუმცა, სადაოა რამდენად მართებულია, რომ ოჯახის რომელიმე წევრმა საკუთარ შემოსავალზე უარი თქვას და გასწიოს საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო აუნაზღაურებელი საქმიანობა. ქვეყანაში ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია, სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალშობილი ბავშვების მშობლებს. ეს იქნება ისეთი დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს 6 თვისა და უფროსი ასაკის ბავშვების მოვლასა და აღზრდას, მშობლების სამსახურში ყოფნის დროს, რასაკვირველია, ასეთი მომსახურების ღირებულება, თუ ის ფასიანი იქნება, უნდა იყოს მინიმალური და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ასევე, საჯარო ბაღების სამუშაო საათები ემთხვევა მშობლების სამუშაო საათებს, რაც ერთმანეთთან შეუსაბამობაშია, ზოგ საჯარო დაწესებულებაში შინაგანაწესის მიხედვით ბავშვის მშობლებს აქვთ უფლება ისარგებლონ ნახევარ საათიანი შეღავათით ერთჯერადად დილას ან საღამოს, რაც ცხადია არ არის საკმარისი, კერძო სექტორში დასაქმებულთათვის კი ეს შეღავათი უმეტეს შემთხვევაში საერთოდ არ არის, რაც კიდევ უფრო აუარესებს არსებულ პრობლემას. ასევე, კორონავირუსის პანდემიამ აჩვენა, რომ სამსახურების უმრავლესობას თავისუფლად შეუძლია ფუნქციონირება დისტანციურ რეჟიმში, სწორედ ამიტომ შესაძლებელია, რომ ახალშობილი ბავშვის მშობლებს, ამ კუთხითაც შეეწყოს ხელი. ამ პრობლემის მოგვარება უმნიშვნელოვანესია არა მარტო გენდერული უთანასწორობის შესამცირებლად, არამედ ცალკეული ოჯახის კეთილდღეობის ასამაღლებლად, გარდა ამისა, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციულ ღონისძიებებს უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურის ორგანოები და სასამართლო ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში (საქართველოს

საკანონმდებლო მაცნე, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ 2006).

გარდა ზემოაღნიშნულისა, უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა და მათი ძალისხმევა დისკრიმინაციისა და ძალადობის აღკვეთაზე. ქვეყანაში დღეს 24 საათიანი რეჟიმით მუშაობს ცხელი ხაზი (309903), რომლის მიზანიცაა ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და დაზარალებულთა დახმარება, მნიშვნელოვანია, ასევე, კრიზისული ცენტრების როლი, რომელიც მომსახურებას უწევს ქალებს, რომლებიც ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობისა თუ ტრეფიკინგის მსხვერპლნი არიან, თუმცა, მსხვერპლის სტატუსი არ აქვთ, ის სრულიად უფასოდ სთავაზობს ასეთ პირებს ყველა სახის დახმარებას, გარდა ამისა, არსებობს თავშესაფრები, რომლებიც ეხმარება ძალადობაგამოვლილ ქალებს.

მნიშვნელოვანია ასევე ეროვნული კამპანია საქართველოსთვის სპეციფიკური ოჯახში ძალადობის დასასრულებლად, რომლის მიზანიცაა აღნიშნულ საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მგრძნობელობის გაზრდა.

თავი II. საქართველოში გენდერული უთანასწორობის თანამედროვე მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი

2.1. გენდერული უთანასწორობის შერჩევითი კვლევისა და მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია

გენდერული თანასწორობა არა მარტო ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, არამედ აუცილებელი პირობაა მშვიდობიანი და მდგრადი სამყაროსათვის. სწორედ ამიტომ, გენდერული თანასწორობა მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში ამ მიმართულებით სიტუაცია გაუმჯობესდა. თუმცა, კორონავირუსის პანდემიამ არსებული მდგომარეობა უფრო მეტად გაამწვავა, შესაბამისად, მსოფლიოს კიდევ უფრო მეტად გაუჭირდება 2030 წლისათვის აღმოფხვრას გენდერული უთანასწორობა.

პანდემიის სოციალურმა და ეკონომიკურმა შედეგებმა გენდერული უთანასწორობა ბევრი მიმართულებით გაზარდა. მათ შორის, გაუარესდა სიტუაცია ქალთა ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე, რაც გამოწვეული იყო პანდემიით, ასევე, კვლავ აღმოუფხვრელ პრობლემად რჩება ქალებზე ძალადობა, ეს იქნება ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობა. აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის საქმიანობებით ძირითადად ქალები არიან დაკავებულნი, პანდემიამ, რომლის შეზღუდვებიც თანაბრად გავრცელდა ორივე სქესზე, აუნაზღაურებელ შრომაში ქალთა ჩართულობა კიდევ უფრო მეტად გაზარდა. აღნიშნული უთანასწორობა განსაზღვრავს რაოდენ მნიშვნელოვანია პროგრესის დასაჩქარებლად მოქმედება. უპირველეს ყოვლისა, პრობლემის აღმოსაფხვრელად ყველაზე მნიშნელოვანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. ასევე, მნიშვნელოვანია გენდერული დისბალანსის შემცირება კანონების, შესაბამისი პოლიტიკის, ინსტიტუტების ხელშეწყობით. გარდა ამისა, აუცილებელია გენდერული სტატისტიკის განვითარება და სრულყოფა, რათა მოხდეს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის მონიტორინგი.

სოციალური სტატისტიკის და, მათ შორის, გენდერული სტატისტიკის განვითარებისა და სრულყოფისათვის უმნიშვნელოვანესია დამატებითი კვლევების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს ამა თუ იმ ინდიკატორის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სრული მოცვით კვლევების განხორციელება ბევრ

სირთულესთან და დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამის გამო, ხშირად შერჩევით გამოკვლევას მიმართავენ. შერჩევა არის პოპულაციის ქვესიმრავლე, ხოლო პოპულაცია თავის მხრივ არის დაკვირვების ქვეშ მყოფი ყველა ელემენტის ერთობლიობა, ხოლო რაც შეეხება ელემენტს, ის არის ობიექტი, რომლის მიხედვითაც გროვდება მონაცემები. რაც შეეხება შერჩევის ჩარჩოს ის არის ელემენტთა ერთობლიობა, რის მიხედვითაც პოპულაციიდან ხდება ელემენტების ამორჩევა.

სასრული პოპულაციის დროს მიზანშეწონილია ალბათური შემთხვევითი შერჩევის განხორციელება, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს ვალიდური სტატისტიკური დასკვნები. შემთხვევითი შერჩევის ყველაზე მარტივ სახეს წარმოადგენს მარტივი შემთხვევითი შერჩევა, ამ დროს შერჩევის თითოეულ ელემენტს აქვს ამორჩევის თანაბარი შანსი. მარტივი შემთხვევითი შერჩევის განხილვის დროს იგულისხმება, რომ ეს შერჩევაა შენაცვლების გარეშე (განუმეორებელი შერჩევა), თუმცა, არსებობს შენაცვლებითი (განმეორებითი) შერჩევა, როდესაც წინა შემთხვევაში გამოყენებული შემთხვევების ხელმეორედ შერჩევა შესაძლებელია.

ხშირად პოპულაცია ასახავს უწყვეტ პროცესს, რაც გულისხმობს იმას, რომ ის შედგება წევრთა უსასრულო რაოდენობისგან, რომლის წევრთა რაოდენობაც უცნობია, ამიტომ პოპულაციის საერთო ზომაზე ინფორმაცია არ არის, შესაბამისად, ვერ გამოიყენება მარტივი შერჩევა, ვინაიდან ვერ დგინდება შერჩევის ჩარჩო, ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია შემთხვევითი შერჩევის გამოყენება. შემთხვევითი შერჩევის დროს თითოეული ელემენტი აღებულია საერთო პოპულაციიდან და თითოეული მათგანი უნდა შეირჩეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

ცალკეული უპირატესობებით მარტივ შემთხვევით შერჩევასთან შედარებით გამოირჩევა: სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევა, კლასტერული შერჩევა და სისტემური შერჩევა.

სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევა საუკეთესო ვარიანტია, ისეთ შემთხვევაში, როდესაც თითოეული სტრატის ელემენტების დისპერსია შედარებით მცირეა. ამ ტიპის შერჩევის დროს პოპულაციის ელემენტები იყოფა ჯგუფებად ეგრეთ წოდებულ სტრატებად. პოპულაციის ყოველი ელემენტი მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ერთ სტრატას. შერჩევის ამ ტიპის გამოყენება ყველაზე მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც სტრატის ელემენტები ერთმანეთისგან მაქსიმალურად

განსხვავდება. ასეთ დროს შედარებით მცირე შერჩევის ზომა იძლევა სტრატის მახასიათებლების კარგ შეფასებას.

კლასტერული შერჩევა საუკეთესო ვარიანტია, როდესაც თითოეული კლასტერის ზომა პოპულაციის ზომასთან შედარებით მცირეა. უპირველეს ყოვლისა, დაიყოფა პოპულაციის ელემენტები კლასტერებად. აღსანიშნავია, რომ თითოეული ელემენტი მიეკუთვნება მხოლოდ ერთ კლასტერს, ამის შემდეგ კი ხდება შემთხვევითი შერჩევა კლასტერებიდან. კლასტერული შერჩევის დროს მიღებული მნიშვნელობები დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად ასახავს კლასტერი საერთო პოპულაციის ელემენტების თვისებებს. თუ კლასტერები ერთმანეთისგან განსხვავებულია, კლასტერის ელემენტების მცირე ნაწილის შერჩევა პოპულაციის პარამეტრების კარგ შეფასებას იძლევა.

სისტემური შერჩევა მარტივი შემთხვევითი შერჩევის ალტერნატიული შერჩევის მეთოდია. ამ მეთოდის გამოყენების დროს პირველი ელემენტი შემთხვევით შეირჩევა. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც პოპულაციის ელემენტების წყობა შემთხვევითია.

ხელმისაწვდომი შერჩევა არაალბათური შერჩევის მეთოდია, აღნიშნული გულისხმობს შერჩევის შესაძლებლობისა და სიმარტივიდან გამომდინარე ელემენტების ამორჩევას. ამ შემთხვევაში შერჩევისათვის გამოიყენება ის პოპულაცია, რომელთან დაკავშირებაც ყველაზე მარტივია და დაკავშირებულია ყველაზე ნაკლებ ხარჯებთან. ამ შერჩევის მეთოდის გამოყენების ყველაზე დიდი უპირატესობა მონაცემთა მარტივად შეგროვებაა. თუმცა, სადაოა რამდენად რეპრეზენტატულია აღნიშნული შერჩევის შესაბამისობა მთლიანი პოპულაციის ტენდენციის ასახვისათვის.

მიზანმიმართული შერჩევა არაალბათური შერჩევის კიდევ ერთი მეთოდია. ამ დროს გადამწყვეტია მკვლევარის შეხედულება, ის შერჩევისათვის იღებს იმ ელემენტთა ერთობლიობას, რომელიც მისი შეხედულებით ყველაზე უკეთ ასახავს მთლიან პოპულაციას. აღსანიშნავია, რომ საფრთხილოა, როდესაც ხელმისაწვდომი შერჩევის მსგავსად მიზანმიმართული შერჩევით მიღებული შედეგები უნდა გავრცელდეს მთლიან პოპულაციაზე (ანდერსენი, სვინი და უილიამსი 2014).

შერჩევის მეთოდის განსაზღვრის შემდეგ მნიშვნელოვანია სტატისტიკური წონების დადგენა. სტატისტიკური წონა არის მაჩვენებელი, რომელზე გამრავლებითაც

და მიღებული შედეგების შეჯამებით მიიღება გენერალური ერთობლიობა, ასევე, წონა წარმოადგენს შერჩევაში ელემენტის მოხვედრის ალბათობის შებრუნებულ მაჩვენებელს. უმნიშვნელოვანესია შერჩევის მეთოდის გათვალისწინება. მაგალითად, თუ შერჩევის დროს შემთხვევითად შეირჩა კლასტერები, მონაცემები უნდა შეიწონოს კლასტერის დონეზე და ა. შ.

სოციალურ სტატისტიკაში და, მათ შორის, გენდერულ სტატისტიკაშიც, გამოიყენება ძირითადად 2 სახის წონა, ესენია: შინამეურნეობისა და მოსახლეობის წონა. პირველის შემთხვევაში მონაცემების აგრეგირება ხდება ქვეყანაში მცხოვრები შინამეურნეობების საერთო რაოდენობაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე. შინამეურნეობის ზომისა და წონის ნამრავლის ჯამი გვაძლევს მოსახლეობის რიცხოვნობას, ხოლო შინამეურნეობისა და სულზე გაანგარიშებული მაჩვენებლების თანაფარდობით მიიღება შინამეურნეობის საშუალო ზომა.

სანამ გარკვეული მიზნებისათვის მოხდება ეკონომიკური მაჩვენებლების ინტერპრეტაციისა და სასურველი პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაზე მსჯელობა, უმნიშვნელოვანესია სტატისტიკური მაჩვენებლების ვალიდაცია, რისთვისაც გამოიყენება ფარდობითი ზღვრული ცდომილება, რომლის მნიშვნელობაც უმჯობესია 10 პროცენტზე ნაკლები იყოს, თუმცა, ვითარებიდან გამომდინარე შესაძლოა იყოს მისი შედარებით მაღალი მნიშვნელობაც (გელაშვილი, მაკალათია და მიქელაძე, ცხოვრების დონის სტატისტიკა 2022).

„გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერება“ მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მეხუთე მიზანს წარმოადგენს. მოცემული მიზნის 5.1 ამოცანაა „ყველა ადგილას ყველა ქალისა და გოგონას მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის შემცირება“, ხოლო მისი შესაბამისი 5.1.1 ინდიკატორია თანასწორობისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის არარსებობის ხელშეწყობის, აღსრულებისა და მონიტორინგის მიზნით საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა, აღნიშნული ინდიკატორი გაანგარიშდა 2019 წელს და შეადგინა 88.37 პროცენტი, რაც სამიზნე 100 პროცენტიან მნიშვნელობას ჩამორჩება, ეს კი გულისხმობს, იმას, რომ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობაც საჭიროებს სრულყოფას, რათა გენდერული უთანასწორობა მაქსიმალურად აღმოიფხვრას. 5.1.1 ინდიკატორი განსაზღვრავს ქვეყანაში მოქმედი

კანონმდებლობის შეფასებას, რომელიც ეფუძნება სპეციალურად შემუშავებულ კითხვარს (დანართი 1).

აღნიშნული საკანონმდებლო ჩარჩო უზრუნველყოფს ქალისა და კაცის თანაბარ უფლებებს და ითვალისწინებს სქესის მიხედვით ყველა სახის დისკრიმინაციის აკრძალვას. თავის მხრივ, ის მოიცავს კანონებს, მექანიზმებს, პოლიტიკას და გეგმებს, რაც უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, აღსრულებასა და მონიტორინგს. აღნიშნული კითხვები შედგენილია კონვენციის საფუძველზე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), მას ჰყავს 189 მონაწილე სახელმწიფო და პეკინის სამოქმედო პლატფორმა.

მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის 5.2 ამოცანაა „ყველა ქალისა და გოგონას მიმართ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა“, რომელიც მოიცავს 2 ინდიკატორს: 5.2.1 15 - 64 წლის იმ ქალებისა და გოგონების პროპორციული რაოდენობა ძალადობის ფორმის და ასაკის მიხედვით, რომელთაც ჰყოლიათ პარტნიორი და რომელთა მიმართ ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას. ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს 15 – 64 წლის ქალებისა და გოგოების პროცენტულ წილს, რომელთაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლე/პარტნიორისგან განუცდიათ ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ძალადობა. აღსანიშნავია, რომ ქალთა მიმართ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა მოიცავს ნებისმიერ შეურაცხყოფას, რომელიც ჩადენილია ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლე/პარტნიორის მიერ ქორწინების, თანაცხოვრების ან სხვა ფორმალური ან არაფორმალური კავშირის დროს.

ფიზიკური ძალადობა არის შემთხვევა, როდესაც მსხვერპლი ფიზიკურად დაზარალებულია და მოიცავს, თუმცა, არ შემოიფარგლება ისეთი ქმედებებით, როგორებიცაა, მაგალითად, დარტყმა, წიხლით, მუშტით ან მყარი საგნით, დახრჩობა ან მცდელობა, დაწვა, მუქარა ან თავდასხმა რაიმე სახის იარაღით და სხვ.

სექსუალური ძალადობა არის ნებისმიერი სახის მავნე ან არასასურველი სექსუალური ქცევა, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს ფიზიკური ძალის გამოყენებით, დაშინებით ან იძულებით.

ფსიქოლოგიური ძალადობა არის ნებისმიერი სახის შიშისა თუ ემოციური სტრესის გამომწვევი ქმედება, ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, დამცირება, დაშინება, მაკონტროლებელი ქცევები და სხვ.

აღნიშნულ მაჩვენებელზე ინფორმაცია მიიღება ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევიდან, რომელიც საქსტატის მიერ გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით ქვეყანაში პირველად 2017 წელს, ხოლო მეორედ 2022 წელს ჩატარდა.

რაც შეეხება 5.2 ამოცანის მეორე ინდიკატორს 5.2.2 15-64 წლის იმ ქალებისა და გოგონების პროპორციული რაოდენობა ასაკის და ძალადობის ადგილის მიხედვით, რომელთა მიმართ არაინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია სექსუალურ ძალადობას. აღნიშნული ინდიკატორი განსაზღვრავს 15-64 წლის ქალების პროცენტულ წილს, რომელთაც განიცადეს სექსუალური ძალადობა გასული 12 თვის მანძლზე არაინტიმური პარტნიორის მხრიდან.

შემდეგი ამოცანაა 5.3 ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორიცაა ბავშვთა ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინება. აღნიშნული ამოცანა მოიცავს ორი ინდიკატორის გაანგარიშებას: 5.3.1 - 20-24 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ, ან სამოქალაქო კავშირში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლამდე. აღნიშნული ინდიკატორი გაანგარიშდა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის საფუძველზე.

5.3.2 ინდიკატორი განსაზღვრავს 15-49 წლის ქალებისა და გოგოების პროცენტულ წილს, რომლებმაც განიცადეს სასქესო ორგანოს დასახიჩრება.

მდგრადი განვითარების მიზნის 5.4 ამოცანის - **„აუნაზღაურებელი ზრუნვის და საოჯახო შრომის აღიარება და დაფასება საჯარო მომსახურებების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფით და შინამეურნეობაში და ოჯახში გაზიარებული პასუხისმგებლობის წახალისებით“** - მონიტორინგისათვის მნიშვნელოვანია 5.4.1 ინდიკატორის განსაზღვრა „აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით“. აღნიშნული ინდიკატორი გაანგარიშდა შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურებისა და ზრუნვის მომსახურების განსაზღვრით.

5.5.1 პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა - აღნიშნული ინდიკატორი განსაზღვრავს ქალების მიერ დაკავებული ადგილების პროცენტულ წილს პარლამენტსა და ადგილობრივ ხელისუფლებაში.

5.5.1.1 პირდაპირი წესით არჩეული ქალი მერების პროპორციული რაოდენობა - პირდაპირი წესით არჩეული ქალი მერების პროცენტული წილია.

5.5.1.2 დანიშნული ქალი სახელმწიფო რწმუნებულის პროპორციული რაოდენობა - სახელმწიფო რწმუნებულად დანიშნული ქალების პროცენტული წილი.

5.5.2 ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული ოდენობა - ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნული ქალების პროცენტული წილი.

5.5.2.1 ქალების წილი I და II რანგის მოხელის თანამდებობებზე - I და II რანგის მოხელის თანამდებობებზე დანიშნული ქალების პროცენტული წილი.

5.5.2.2 სასამართლო სისტემაში გადაწყვეტილებათა მიმღებ პოზიციებზე (პოზიციები რეგიონულ/საქალაქო სასამართლოებში, სააპელაციო სასამართლოებსა და უზენაეს სასამართლოში) ქალთა პროპორციული ოდენობა - სასამართლო სისტემაში გადაწყვეტილებათა მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული წილი.

5.5.2.3 განსხვავება ხელფასებში გენდერული ნიშნით განისაზღვრება გენდერული სახელფასო სხვაობით, რაც გულისხმობს ქალებისა და კაცების მიერ შრომის საათობრივ ანაზღაურებას შორის განსხვავებას. არსებობს ნედლი და შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა. შესაბამისად, ნედლში არ არის გათვალისწინებული პიროვნებების ინდივიდუალური მახასიათებლები, მაგალითად, როგორიცაა განათლება, სამუშაო გამოცდილება და სამუშაოსთან დაკავშირებული რიგი სხვა მახასიათებლები, ხოლო შესწორებულში აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებითაა გაანგარიშებული სახელფასო სხვაობა. თუმცა, ყველა მახასიათებლის გათვალისწინება ფაქტობრივად შეუძლებელია. შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა შესაძლოა არ ითვალისწინებდეს, მაგალითად, პიროვნულ თუ შრომის ბაზრის სხვადასხვა მახასიათებელს, ასევე ისეთ არადაკვირვებად მახასიათებლებს, როგორიცაა მოტივაცია, თავდადება, ყურადღება, სამუშაოსადმი დამოკიდებულება, კავშირები და სხვ.

გენდერული სახელფასო სხვაობა გაიანგარიშება როგორც კაცებისა და ქალების საშუალო საათობრივი ანაზღაურების სხვაობის შეფარდება კაცების საშუალო საათობრივ ანაზღაურებასთან გამოხატული პროცენტებში.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების გარდა მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების განხილვა, როგორებიცაა ნაკლები ინვესტიცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში, საოჯახო საქმეებზე დახარჯული მეტი დრო და დაბალი პროფესიული მიღწევები, თუმცა, ეს შესაძლოა დისკრიმინაციის ნაწილი კი არა, არამედ ქალების პიროვნული და ნებაყოფლობითი არჩევანი იყოს (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე 2020).

5.6.1 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, ვინც სექსუალურ ურთიერთობებთან, კონტრაცეპტივების გამოყენებასთან და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს - აღნიშნული ინდიკატორი განსაზღვრავს 15-49 წლის ქალების პროცენტულ წილს (დაქორწინებული ან კავშირში მყოფი), რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას საკუთარ ჯანმრთელობაზე; კონტრაცეფციის გამოყენებაზე, ასევე, შეუძლიათ უარი თქვან ქმართან ან პარტნიორთან სქესობრივ კავშირზე, თუ არ სურთ. აღსანიშნავია, რომ ეს ინდიკატორი გვიჩვენებს იმ ქალთა პროცენტულ წილს, რომლებიც სამივე ზემოაღნიშნულზე აფიქსირებენ „დიახ“ პასუხს.

5.6.2 ეროვნული კანონები და რეგულაციები უზრუნველყოფს 15-49 წლის ქალებისათვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე, ინფორმაციასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობას - აღნიშნული ინდიკატორი განსაზღვრავს თუ რამდენად უზრუნველყოფს ეროვნული კანონები და რეგულაციები 15-49 წლის ქალებისათვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე, ინფორმაციასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობას.

5.ა.1. ა) სოფლად მცხოვრები იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით, რომელსაც აქვს საკუთრების ან გარანტირებული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე;

ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების ან გარანტირებული უფლების მქონე მოსახლეობას შორის ქალთა წილი.

აღნიშნული ინდიკატორი ახასიათებს სქესის მიხედვით დოკუმენტირებულ და განცხადებულ მფლობელობას სასოფლო-სამეურნეო მიწაზე.

მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების გაანგარიშებისა და ანალიზის გარდა, უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის შეფასება საერთაშორისო ინდექსების საშუალებით.

გენდერისა და განვითარების ინდექსი (GDI) ადამიანის განვითარების ინდექსის მსგავსად მოიცავს შემდეგ კომპონენტებს, ესენია: განათლება, ჯანმრთელობა და შემოსავალი. თუმცა, GDI გაანგარიშებულია მხოლოდ ქალთა შესაბამისი მაჩვენებლების საფუძველზე. შესაბამისად, სქესის მიხედვით დათვლილ ინდექსთა შორის განსხვავება გვიჩვენებს გენდერულ უთანასწორობას.

გენდერული გაძლიერების საზომი (GEM) განსაზღვრავს ქალების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას, ასევე, აფასებს ეკონომიკური რესურსების ფლობას.

ზემოაღნიშნული ორი მაჩვენებელი მოგვიანებით ჩაანაცვლა გენდერული უთანასწორიბის ინდექსმა (GII), რომელიც ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გაძლიერებისა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის შეფასებისკენაა მიმართული.

გენდერული სხვაობის ინდექსი (GGI) გვიჩვენებს გენდერულ უთანასწორობას ეკონომიკაში მონაწილეობის, განათლების, ჯანმრთელობისა და პოლიტიკაში ჩართულობის მიხედვით.

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერის ინდექსი (SIGI) განსაზღვრავს განვითარებად ქვეყნებში ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გავლენას გენდერულ თანასწორობაზე. ის ზომავს შემდეგ კრიტერიუმებს: შეზღუდული რესურსები და მემკვიდრეობა, დისკრიმინაციული ოჯახური კოდექსი, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება, შეზღუდული სამოქალაქო უფლებები.

ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი (WEOI) - ქალების ეკონომიკური მდგომარეობა განისაზღვრება, როგორც კანონების, პრაქტიკების, რეგულაციების, დამოკიდებულებებისა და ჩვევების ერთობლიობა, რომელიც ქალებს კაცების მსგავსად აძლევს უფლებასა და საშუალებას ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობასა და სამუშაო ძალაში (ბენდელიანი 2012).

2.2. განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში გენდერული უთანასწორობის სტატისტიკური ანალიზი

გენდერული უთანასწორობა მნიშვნელოვნად ვლინდება განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით 2023 წლის შედეგების საფუძველზე საკმაოდ დაბალია განათლების სფეროში, კაცთა ხელფასი აღემატება ქალებისას (6.5 პროცენტით). თუმცა, ანაზღაურების გარდა, უფრო მეტად თვალსაჩინოა ამ სფეროში დასაქმებულთა გენდერული უთანასწორობა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2023/2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით.

დიაგრამა 3: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლების პროცენტული განაწილება სქესის მიხევით, 2023/2024 სასწავლო წელი, %



წყარო: საქსტატი

ზემოაღნიშნული დიაგრამის საფუძველზე შეინიშნება დასაქმებულების მკაფიო გენდერული დისბალანსი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, აღსანიშნავია, რომ მთლიანი მასწავლებლების რიცხოვნობის 87.5 პროცენტს ქალები შეადგენენ.

უთანასწორობა შედარებით შემცირებულია უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ მასწავლებლებში. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2023/2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა სქესისა და დაკავებული პოზიციის მიხედვით.

დიაგრამა 4: უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებლების რიცხოვნობა სქესისა და დაკავებული პოზიციის მიხედვით, 2023/2024 სასწავლო წელი, კაცი



წყარო: საქსტატი

ზემოაღნიშნულის საფუძველზე უმაღლეს სასწავლებლებში უფრო მაღალ პოზიციაზე დასაქმებულებში კაცები ჭარბობენ. შესაბამისად, პროფესორების 59.3 პროცენტს კაცები წარმოადგენენ, ხოლო ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორებში ქალების ხვედრითი წილი იზრდება და შესაბამისად, 57.7 პროცენტსა და 67.8 პროცენტს შეადგენს. 2023/2024 სასწავლო წელს 2022/2023 სასწავლო წელთან შედარებით ქალთა რიცხოვნობა 4.0, ხოლო კაცების 1.5 პროცენტითაა გაზრდილი, თუმცა, აღნიშნული ძირითადად განპირობებულია ასისტენტ-პროფესორის პოზიციაზე ქალთა რიცხოვნობის 7.2 პროცენტით გაზრდით, ხოლო კაცთა რიცხოვნობა მოცემულ პოზიციაზე პირიქით 7.7 პროცენტით შემცირდა.

ზოგადსაგანმათლებლო და უმაღლეს სასწვალებლებში დასაქმებულებთან შედარებით კიდევ უფრო მკაფიო გენდერული დისბალანსი შეინიშნება ადრეულ და სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებულებში. 2023 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ამ სფეროში დასაქმებულების საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 434.8 ლარს შეადგენდა. ასეთი დაბალი შრომის ანაზღაურების გათვალისწინებით საინტერესოა ამ სფეროში დასაქმებულთა პროცენტული განაწილება გენდერულ ჭრილში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებულთა პროცენტული განაწილება გენდერულ ჭრილში.

დიაგრამა 5: ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებულთა პროცენტული განაწილება სქესის მიხევით, 2023 წელი, %



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

დიაგრამის საფუძველზე თვალსაჩინოა რომ ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებულთა უმრავლესობას 93.1 პროცენტს ქალები წარმოადგენენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს რომ შედარებით დაბალ ანაზღაურებად სფეროებში ქალები უფრო მეტად არიან დასაქმებულნი.

განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანების გარდა, რომელთაც საკმაოდ დაბალი შრომის ანაზღაურება აქვთ მნიშვნელოვანია განვიხილოთ რა მდგომარეობაა ჯანდაცვის სფეროში. კორონავირუსის პანდემიის დროს, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული ადამიანები აღმოჩნდნენ. ამიტომ მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულთა განაწილების განხილვა სქესის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ექიმების პროცენტული განაწილება გენდერულ ჭრილში, 2023 წელს.

დიაგრამა 6: ექიმების პროცენტული განაწილება გენდერულ ჭრილში, 2023 წელი, %



წყარო: საქსტატი.

გენდერული თანაფარდობა შედარებით მცირე იყო კორონავირუსის დროს. ქალ ექიმთა რიცხოვნობა 2019 წელს 72.2 პროცენტით აღემატებოდა კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს, მაშინ, როდესაც აღნიშნული თანაფარდობა 2022 წელს გაცილებით გაიზარდა და ქალ ექიმთა რიცხოვნობა 3-ჯერ და კიდევ უფრო მეტად აღემატებოდა კაცებისას, ხოლო 2023 წელს - 2.9-ჯერ.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამედიცინო კადრების რიცხოვნობა თანამდებობებისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა 7: 2023 წელს სამედიცინო კადრების რიცხოვნობა თანამდებობებისა და სქესის მიხედვით, კაცი



წყარო: საქსტატი.

ზემოაღნიშნული დიაგრამის საფუძველზე ჯანდაცვის სფეროშიც შეინიშნება მკვეთრი გენდერული დისბალანსი განსაკუთრებით კი თანამდებობების მიხედვით, განათლების სფეროში დასაქმებულთა მსგავსად, ჯანდაცვის სფეროშიც უფრო დაბალ და ნაკლებად ანაზღაურებად თანამდებობებზე დასაქმებულნი არიან ქალები. ხოლო უფრო მაღალანაზღაურებად პოზიციებზე კაცები, მაგალითად, 2023 წელს ქირურგების 64.4 პროცენტს კაცები წარმოადგენენ. მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა 2022 წელსაც, ქირურგების 63.3 პროცენტი კაცები იყვნენ. აღნიშნული უთანასწორობის ზრდა კი განპირობებულია ძირითადად იმით, რომ 2023 წელს ექიმთა რიცხოვნობა

ორივე სქესისათვის გაზრდილია, თუმცა, კაცების შემთხვევაში ზრდა ყველაზე მეტად სწორედ ქირურგის თანამდებობაზეა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე აღნიშნულ სფეროებში საკმაოდ დიდი გენდერული დისბალანსია. განათლების სფეროში, სადაც ყველაზე დაბალი ხელფასებია დასაქმებულთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ, კაცთა რიცხოვნობა კი იზრდება უფრო მაღალ პოზიციებზე, მსგავსი მდგომარეობაა ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულთათვისაც.

2.3. შრომის ბაზარზე არსებული გენდერული დისბალანსის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე

შრომის ბაზარზე არსებული გენდერული დისბალანსი არა მარტო ძლიერ სოციალურ, არამედ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს. შრომის ბაზარზე არსებული პრობლემებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს უმუშევრობა წარმოადგენს. რაც მნიშვნელოვანი განმაპირობებელია სიღარიბის, საზოგადოებრივი კეთიდღეობისა და სტაბილურობის დარღვევის. შრომის ბაზრის გენდერული ასპექტების ანალიზისას ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის გენდერული უთანასწორობა წარმოადგენს.

ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხშირად განსაზღვრავს დანაშაულების ჩადენის რაოდენობას, ჩადენილი დანაშაულების დიდი ნაწილი ხშირად გამოწვეულია ფინანსური მოტივით, ამას ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ ყველაზე მეტი მსჯავრდებული ორივე სქესისათვის არის ქურდობის გამო.

აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია ქვეყანაში მაღალი უმუშევრობით, თუმცა, გენდერულ უთანასწორობაზე საუბრისას მიზანშეწონილია მოცემულის არადასაქმებულებთა რიცხოვნობასთან (უმუშევართა და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის ჯამი) დამოკიდებულება.

ცხრილი 2: მთლიანი სამამულო პროდუქტი და არადასაქმებულთა რიცხოვნობა, გენდერულ ჭრილში

წელი	მშპ ($)	არადასაქმებული, ათასი		გენდერული თანაფარდობა
		ქალი	კაცი	
2010	3,281.2	1151.6	795.6	1.4
2011	4,120.8	1145.6	759.5	1.5
2012	4,530.7	1122.0	723.1	1.6
2013	4,711.8	1094.6	744.5	1.5
2014	4,829.9	1062.5	714.2	1.5
2015	4,085.1	1022.6	688.0	1.5
2016	4,143.5	1017.7	697.2	1.5
2017	4,420.3	1014.6	710.8	1.4
2018	4,804.0	1035.0	703.0	1.5
2019	4,741.4	1036.3	704.9	1.5
2020	4,300.8	1067.1	709.6	1.5
2021	5,083.6	1072.9	720.0	1.5
2022	6,731.2	1036.7	668.5	1.6
2023	8,284.0	1015.4	647.1	1.6

წყარო: საქსტატი.

აღსანიშნავია, რომ ორივე სქესისათვის, მთლიანი სამამულო პროდუქტი მეტ-ნაკლებად ზრდადი, ხოლო არადასაქმებულთა რიცხოვნობა მეტ-ნაკლებად კლებადი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, 2023 წელს 2010 წელთან შედარებით არადასაქმებულ კაცთა რიცხოვნობა უფრო მეტად (18.7 პროცენტით) შემცირდა, ვიდრე არადასაქმებულ ქალთა რიცხოვნობა (11.8 პროცენტით).

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მთლიან სამამულო პროდუქტის სიდიდესა და არადასაქმებულ კაცთა რიცხოვნობას შორის დამოკიდებულება უფრო მაღალია, ვიდრე ქალთა. შესაბამისად, კაცების შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი -0.75-ია, რაც უფრო ძლიერ უარყოფით დამოკიდებულებას ასახავს, ვიდრე ქალების შემთხვევაში მიღებული კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა, რომელიც უფრო

სუსტ უარყოფით კავშირს ასახავს და შესაბამისად, -0.45-ს შეადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არადასაქმებულთა რიცხოვნობა, განსაკუთრებით კი გენდერულ ჭრილში უთანასწორობა, საკმაოდ მაღალია, რაც უარყოფითად აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე მოსახლეობის ზოგად კეთილდღეობაზე. აღნიშნულს განსაზღვრავს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი. ის, რომ ქვეყანაში მაღალია უმუშევრობის დონე, ასევე ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა, გარდა ამისა, ძალიან მაღალია სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის გენდერული თანაფარდობა, რაც ნაწილობრივ დამოკიდებულია ქალთა მაღალი ჩართულობით საოჯახო და ზრუნვის საქმიანობებში, ყურადღება უნდა გამახვილდეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებზე, როდესაც მშობლები, უმეტეს შემთხვევაში დედები ვერ ახერხებენ მუშაობას, იმის გამო, რომ მათ ჰყავთ 2 წლამდე ბავშვ(ებ)ი, რომელიც ვერ შეჰყავთ ბაღში, რადგან ამ ასაკის ბავშვებს ბაღი არ იღებს, ხოლო ძიძის აყვანის ხარჯები საკმაოდ მაღალია და დედებს აღარ უღირთ სამსახურში გასვლა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების დასრულების შემდეგ, ვინაიდან ალტერნატიული დანახარჯი მიღებულ სარგებელს ვერ აღემატება, ამ პრობლემის მოგვარება უმნიშვნელოვანესია, რადგან ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ მიმართულებით გენდერულ დისბალანსს.

პრობლემის გარკვეულწილად მოგვარება შესაძლებელია, თუ ხელმისაწვდომი იქნება ისეთი მომსახურებები, რომელიც უზრუნველყოფს 2 წლამდე ბავშვების მოვლას, ბუნებრივია, ის ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. გარდა ამისა, კორონავირუსის პანდემიამ აჩვენა, რომ სამსახურების ნაწილს არ ექმნება პრობლემა დისტანციურად მუშაობის გამო, ამიტომ ძალიან კარგი გამოსავალია დედებს ამ კუთხითაც შეეწყოს ხელი.

სამუშაო ძალის გამოკვლევის თანახმად მნიშვნელოვანია გაანალიზდეს გამოკითვის მომენტისათვის გასული 4 კვირის განმავლობაში ქვეყანაში დასაქმებულთა რა ნაწილი მუშაობდა სახლიდან პანდემიამდელ, პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდებში.

ცხრილი 3: სახლიდან მუშაობა, გენდერულ ჭრილში, %

	2018		2020		2023	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
დიახ, სამუშაო დღეების ნახევარი ან მეტი	3.1	1.7	8.3	3.0	5.0	2.4
დიახ, სამუშაო დღეების ნახევარზე ნაკლები	3.0	1.3	2.6	1.6	1.7	1.0
არა	94.0	96.9	89.1	95.4	93.3	96.6

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

პანდემიამდელ პერიოდში გამოკითხული დასაქმებულებიდან გასული 4 კვირის განმავლობაში სახლიდან მუშაობდა ქალების 6.1 პროცენტი, ხოლო კაცების 3.0 პროცენტი. პანდემიის დროს, ბუნებრივია, აღნიშნული მაჩვენებელი ორივე სქესისათვის გაიზარდა და შესაბამისად, ქალებისათვის 10.9 პროცენტი, ხოლო კაცებისათვის 4.6 პროცენტი შეადგინა, პანდემიის შემდგომ პერიოდში მიუხედავად იმისა, რომ, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, აღნიშნული პრობლემას არ უქმნის დასაქმებულებს დისტანციურად საკუთარი სამუშაოს შესრულებაში აღნიშნული მაჩვენებელი მაინც შემცირდა და 2023 წელს ქალებისათვის 6.7 პროცენტს, ხოლო კაცებისათვის 3.4 პროცენტს შეადგენდა. ორივე სქესისათვის აღნიშნული მაჩვენებელი პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით გაზრდილია, რაც წინგადადგმული ნაბიჯია. ამ პრობლემის გარდა მნიშვნელოვანია შრომის ანაზღაურების გენდერული უთანასწორობა.

ცხრილი 4: განკარგვადი შრომის ანაზღაურების პროცენტული განაწილება, გენდერულ ჭრილში, 2023 წელი, %

განკარგვადი შრომის ანაზღაურება		
	ქალი	კაცი
100 ლარი ან ნაკლები	39.2	60.8
101-150 ლარი	61.1	38.9
151-200 ლარი	69.4	30.6
201-300 ლარი	63.6	36.4
301-400 ლარი	71.3	28.7

401-500 ლარი	66.0	34.0
501-600 ლარი	65.7	34.3
601-800 ლარი	56.7	43.3
801-1000 ლარი	41.6	58.4
1001-1500 ლარი	37.7	62.3
1501-2000 ლარი	25.1	74.9
2000 ლარზე მეტი	33.1	66.9

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

აღნიშნული ცხრილის საფუძველზე დაბალი შრომის ანაზღაურება 800 ლარამდე აქვს გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (56.3 პროცენტი), თუმცა, ამ გამოკითხულებიდან 63.2 პროცენტი ქალი იყო და შესაბამისად, 36.8 პროცენტი კაცი. ანაზღაურების ზრდასთან ერთად იზრდება კაცთა ხვედრითი წილი, რაც შრომის ბაზარზე არსებული გენდერული უთანასწორობიდან ერთ-ერთი უმთავრესია.

სქესის მიხედვით შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადების გამოკლებით) გაანგარიშებულია სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზებიდან (2023 წელი), ქალებისათვის საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 706.1 ლარს, ხოლო კაცებისათვის 949.2 ლარს წარმოადგენს, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოდალური შრომის ანაზღაურება ორივე სქესისათვის, ყველაზე მეტმა ქალმა დააფიქსირა, რომ მისი შემოსავალი 601-800 ლარის ინტერვალშია, რომლისთვისაც მოდალური მნიშვნელობა 703.6 ლარია, ხოლო კაცების ყველაზე დიდმა ნაწილმა დააფიქსირა რომ მისი ანაზღაურება 1001-1500 ლარის ფარგლებში მერყეობს, რომლისთვისაც მოდალური მნიშვნელობა 1100.1 ლარია. მდგომარეობას საუკეთესოდ ასახავს მედიანური შრომის ანაზღაურება, რომელიც, შესაბამისად, ქალებისათვის 602.1 ლარს, ხოლო კაცებისათვის 871.4 ლარს შეადგენს.

დიაგრამა 8: საშუალო, მოდალური და მედიანური განკარგვადი შრომის ანაზღაურება, გენდერულ ჭრილში, 2023 წელი, ლარი



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

ორივე სქესისათვის ძირითადი საქმიანობიდან ბოლო ნამუშევარ თვეში მიღებული შრომის ანაზღაურება ყველაზე მცირეა მედიანური შრომის ანაზღაურების დროს. გენდერული თანაფარდობა სამივე შემთხვევაში საკმაოდ მაღალია. საშუალო შრომის ანაზღაურების დროს კაცის ანაზღაურება 34.4 პროცენტით, მოდალურის დროს 56.4 პროცენტით, ხოლო მედიანურის დროს 44.7 პროცენტით აღემატება. სამივე შემთხვევაში როგორც ქალებისათვის, ისე კაცებისათვის ანაზღაურება გაზრდილია 2022 წელთან შედარებით. საშუალო განკარგვადი შრომის ანაზღაურება ქალებისათვის 2023 წელს გაზრდილია 12.0, ხოლო კაცებისათვის 10.0 პროცენტით, მოდალური ანაზღაურება ქალებისათვის - 2.3, ხოლო კაცებისათვის 4.8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ყველაზე მეტად ორივე სქესისათვის გაიზარდა მედიანური შრომის ანაზღაურების მნიშვნელობა, შესაბამისად, ქალებისათვის 13.1, ხოლო კაცებისათვის 12.0 პროცენტით. უთანასწორობა შემცირებულია საშუალო და მედიანური მნიშვნელობების დროს, შესაბამისად, 2.4 და 1.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო მოდალური შრომის ანაზღაურების მნიშვნელობის შემთხვევაში გაზრდილია 3.8 პროცენტული პუნქტით.

გარდა ამისა, ზოგიერთ სამუშაო ადგილზე მკვეთრი გენდერული უთანასწორობა შეინიშნება. მაგალითად, 2023 წელს საკუთარი შინამეურნეობის საცხოვრისში დასაქმებულთა 71.5 პროცენტს, ოფისში დასაქმებულთა 61.1 პროცენტს, ხოლო მაღაზიაში, ჯიხურში, ყავახანაში, რესტორანში და სასტუმროში 61.0 პროცენტს

ქალები წარმოადგენენ. მაშინ როდესაც, მაგალითად, სამშენებლო მოედნებზე დასაქმებულთა სრულ უმრავლესობას 99.6 პროცენტს, წყალსატევებზე, ტბაზე, მდინარეზე, ზღვაზე დასაქმებულთა 99.3 პროცენტს, ხოლო ტრანსპორტში დასაქმებულთა 95.3 პროცენტს კაცები წარმოადგენენ. აღნიშნული გენდერული დისბალანსი ნაწილობრივ გამოწვეულია სხვადასხვა სტერეოტიპის გამო, განსაკუთრებით კი, ქალისა და კაცის შესაფერისი სამუშაო გარემოს, განსხვავებული შესაძლებლობების და სხვა მიზეზით.

მსგავსი უთანასწორობები ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს. მაღალი უმუშევრობა კი სიღარიბის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელია. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მთლიანი სამამულო პროდუქტისა და სქესის მიხედვით არსებული სიღარიბის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა.

ცხრილი 5: სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობა გენდერულ ჭრილში და მთლიანი სამამულო პროდუქტი

წელი	სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი (%)[1]		მშპ[2]
	ქალი	კაცი	
2010	36.8	37.9	3,281.2
2011	34.0	34.3	4,120.8
2012	30.0	30.1	4,530.7
2013	25.8	26.7	4,711.8
2014	23.3	23.7	4,829.9
2015	21.3	22.0	4,085.1
2016	21.2	22.9	4,143.5
2017	21.6	22.4	4,420.3
2018	20.2	20.0	4,804.0
2019	19.4	19.6	4,741.4
2020	20.9	21.7	4,300.8
2021	17.1	17.9	5,083.6
2022	15.3	15.8	6,731.2
2023	11.5	12.2	8,284.0

[1] წყარო: აბსოლუტური სიღარიბე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

[2] წყარო: მთლიანი შიდა პროდუქტი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ცხრილის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სიღარიბე ორივე სქესისათვის მეტ-ნაკლებად კლებადი, ხოლო მთლიანი სამამულო პროდუქტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რაც განსაზღვრავს მათ შორის უარყოფით დამოკიდებულებას.

აღსანიშნავია, რომ პირსონის კორელაციის კოეფიციენტიც ორივე სქესის შემთხვევაში უარყოფითია. როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის -0.7, რაც გამოხატავს ამ ორ ცვლადს შორის ძლიერ უარყოფით კორელაციურ კავშირს, თუმცა, კაცების შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი 1.2 პროცენტით აღემატება. რაც გულისხმობს იმას, რომ კაცების შემთხვევაში სიღარიბის მატება უფრო მეტად ზემოქმედებს მთლიანი სამამულო პროდუქტის შემცირებაზე და პირიქით, სიღარიბის შემცირება მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს შრომის ბაზრის ფუნქციონირება. წრფივი რეგრესიის მოდელში შედეგობრივი ცვლადის როლში აღებულია მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, ხოლო ფაქტორულ ცვლადებად ეკონომიკურად არააქტიურობის დონე და ხელფასები. მოდელი აგებულია ქალისა და კაცისათვის ცალ-ცალკე. პირველის მიმართ მთლიანი სამამულო პროდუქტის დამოკიდებულება კლებადი, ხოლო მეორე ცვლადის შემთხვევაში კი ზრდადია.

ქალების შემთხვევისათვის აგებული ეკონომეტრიკული მოდელი განსაზღვრავს მთლიანი სამამულო პროდუქტის რეგრესიას ეკონომიკურად არააქტიურობის დონესა და ხელფასების მიმართ. რეგრესიის განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$\hat{y}_t = 10\,475.3 - 183.4x_{1t} + 5.5x_{2t}$$

სხვა თანაბარ პირობებში b_1 ანუ (-183.4) გვიჩვენებს x_{1t} ანუ ქალების არააქტიურობის დონის ერთეული ცვლილების შედეგად შედეგობრივი y_t ცვლადის საშუალო მნიშვნელობის ნაზრდს, როდესაც x_{2t}-ის მნიშვნელობა ფიქსირებულია, ხოლო b_2 ანუ 5.5 ასახავს x_{2t} ანუ ხელფასის ერთეული ნაზრდის წმინდა გავლენას y_t ცვლადის საშუალო მნიშვნელობაზე, როდესაც x_{1t} ცვლადი მუდმივია. შესაბამისად არააქტიურობის დონის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს მთლიანი სამამულო

პროდუქტის 183.4 ერთეულით შემცირებას, ხოლო ხელფასის ერთი ერთეულით ზრდა მთლიანი სამამულო პროდუქტის 5.5 ერთეულით ზრდას.

კოეფიციენტების მნიშვნელოვნების დასაბუთებისათვის გამოყენებულია t ტესტი, სტიუდენტის განაწილების ცხრილში 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისათვის $t_{\text{კრ}} = 2.37$–ს. შესაბამისად, მხოლოდ $t_{b_2} > t_{\text{კრ}}$, რაც გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ ამ კოეფიციენტის არამნიშვნელოვნებასთან დაკავშირებით ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილი.

აღნიშნული კოეფიციენტებისათვის 95%-იანი ნდობის ინტერვალის საზღვრები შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$-3\,734 < B_0 < 24\,684.5$$

$$-453.2 < B_1 < 86.4$$

$$3.3 < B_2 < 7.7$$

მიღებული შუალედებიდან რიცხვთა ღერძზე მხოლოდ მე-3 არ ფარავს ნულს. შესაბამისად, მხოლოდ ამ კოეფიციენტისთვისაა ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილი. როგორც წესი არამნიშვნელოვანი ცვლადები განტოლებიდან უნდა გამოირიცხოს. თუმცა, ცვლადის ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე მიზანშეწონილია აღნიშნული ცვლადების დატოვება მოდელში, რადგან ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის დონის ზრდა უარყოფითად აისახება მთლიან სამამულო პროდუქტზე მოსახლეობის ერთ სულზე.

b_1 და b_2 კოეფიციენტებზე მსჯელობისას ნათლად ჩანს, რომ x_{1t} ცვლადი უფრო მეტად ზემოქმედებს y_t-ზე, ვიდრე x_{2t}. თუმცა, ამ შემთხვევაში რეგრესიის კოეფიციენტები ერთმანეთისთვის არაშესადარისია, ვინაიდან რეგრესიის განტოლებაში ფაქტორები სხვადასხვა ზომის ერთეულებშია წარმოდგენილი, ამისათვის კი საჭიროა რეგრესიის კოეფიციენტები გამოისახოს სტანდარტიზებულ ერთეულებში.

რეგრესიის განტოლებას სტანდარტიზებულ მასშტაბში აქვს შემდეგი სახე:

$$W_t = -0.29z_{1t} + 1.06z_{2t}$$

აღნიშნულის საფუძველზე მთლიან სამამულო პროდუქტზე, პირიქით, ხელფასის ცვლილება უფრო მეტად ზემოქმედებს, ვიდრე ეკონომიკურად არააქტიურობის დონე.

მიუხედავად იმისა, რომ რეგრესიის განტოლებაში სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი ცვლადებიც დარჩა, მნიშვნელოვანია შეფასდეს მრავლობითი რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნება. მრავლობითი რეგრესიის დროს შესაძლოა ცალკეული კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ხოლო რეგრესიის განტოლება არა, ასევე, პირიქით შესაძლოა კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი, ხოლო განტოლება მთლიანობაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

მრავლობითი რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნების შეფასებისათვის გამოყენებულია - ფიშერის ტესტი, დეტერმინაციის კოეფიციენტი და დეტერმინაციის კორექტირებული კოეფიციენტი. F ტესტის საფუძველზე შეფასებული რეგრესიის მოდელი, რომლის თანახმადაც $F = 19.6$, ხოლო $F_{კრ} = 4.74$, მიჩნეულია მნიშვნელოვნად. შესაბამისად, მრავლობითი რეგრესიის მოდელით შედეგობრივი ცვლადის გაფანტულობის ახსნა მნიშვნელოვანია და მთლიანობაში მიღებული განტოლება ვარგისია გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად. დეტერმინაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს რეგრესიით ახსნილი გაფანტულობის წილს შედეგობრივი ცვლადის მთლიან გაფანტულობაში. აღნიშნული რეგრესიის განტოლებისათვის დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.9-ის ტოლია, R^2-ის 1-თან სიახლოვე კი შესაბამისად, მრავლობითი რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს. დეტერმინაციის კოეფიციენტის გამოყენების აბსოლუტიზება რეგრესიის მოდელის ხარისხის შეფასებისათვის არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან დეტერმინაციის კოეფიციენტი ამხსნელ ცვლადთა რიცხვის მიმართ არაკლებადი ფუნქციაა. ამიტომ, ფაქტორთა რიცხვის ზრდით წარმოქმნილი ეფექტის ნეიტრალიზაციისათვის მიზანშეწონილია დეტერმინაციის კოეფიციენტის კორექტირება. შესაბამისად, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.8-ის ტოლია, რაც მიანიშნებს დეტერმინაციის კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობის დამოკიდებულებას ამხსნელ ცვლადთა რაოდენობაზე. თუმცა, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტიც მრავლობითი რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნებაზე მიანიშნებს (დანართი 2), გარდა ამისა, მოდელში არ შეინიშნება ნარჩენობით წევრებში ჰეტეროსკედასტურობის

პრობლემა, უაიტის ტესტის საფუძველზე მიიღება 5%-იანი მნიშვნელოვნების დონით ჰიპოთეზა ჰომოსკედასტურობის შესახებ. ამასთან ერთად, მოდელში ნარჩენობითი წევრებიც ნორმალურად არის განაწილებული, რასაც ადასტურებს ჯაკ-ბერას ტესტის საფუძველზე მიღებული შედეგი 10%-იანი მნიშვნელოვნების დონით.

კაცების შემთხვევისათვისაც აგებული ეკონომეტრიკული მოდელი განსაზღვრავს მთლიანი სამამულო პროდუქტის რეგრესიას ეკონომიკურად არააქტიურობის დონესა და ხელფასების მიმართ. შესაბამისად, რეგრესიის განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$\hat{y}_t = 7\,179.0 - 198.2x_{1t} + 3.7x_{2t}$$

სხვა თანაბარ პირობებში, b_1 ანუ (-198.2) გვიჩვენებს x_{1t} ანუ კაცების არააქტიურობის დონის ერთეული ცვლილების შედეგად შედეგობრივი y_t ცვლადის საშუალო მნიშვნელობის ნაზრდს, როდესაც x_{2t}-ის მნიშვნელობა ფიქსირებულია, ხოლო b_2 ანუ 3.7 ასახავს x_{2t} ხელფასის ერთეული ნაზრდის წმინდა გავლენას y_t ცვლადის საშუალო მნიშვნელობაზე, როდესაც x_{1t} ცვლადი მუდმივია. შესაბამისად, არააქტიურობის დონის 1 ერთეულით ზრდა გამოიწვევს მთლიანი სამამულო პროდუქტის 198.2 ერთეულით შემცირებას, ხოლო ხელფასის ერთი ერთეულით ზრდა მთლიანი სამამულო პროდუქტის 3.7 ერთეულით ზრდას.

კოეფიციენტების მნიშვნელოვნების დასაბუთებისათვის გამოვიყენოთ t ტესტი სტიუდენტის განაწილების ცხრილში 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისათვის $t_{კრ} = 2.37$. შესაბამისად, მხოლოდ $t_{b_2} > t_{კრ}$, რაც გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ ამ კოეფიციენტისთვისაა ნულოვანი ჰიპოთეზა კოეფიციენტის არამნიშვნელოვნებასთან დაკავშირებით უარყოფილი.

აღნიშნული კოეფიციენტებისათვის 95%-იანი ნდობის ინტერვალის საზღვრები შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$-1\,304.6 < B_0 < 15\,662.6$$

$$-439.8 < B_1 < 43.4$$

$$2.5 < B_2 < 4.9$$

როგორც მოსალოდნელი იყო, მიღებული შუალედებიდან რიცხვთა ღერძზე მხოლოდ მე-3 არ ფარავს ნულს. შესაბამისად, მხოლოდ ამ კოეფიციენტისთვისაა ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილი. თუმცა, მიზანშეწონილია როგორც ქალების, ასევე

კაცების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლადები დარჩეს მოდელში, რადგან ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის დონის ზრდა უარყოფითად აისახება მთლიან სამამულო პროდუქტზე მოსახლეობის ერთ სულზე.

b_1 და b_2 კოეფიციენტებზე საუბრისას ნათლად ჩანს, რომ x_{1t} ცვლადი უფრო მეტად ზემოქმედებს y_t-ზე, ვიდრე x_{2t}. თუმცა, ამ შემთხვევაშიც რეგრესიის კოეფიციენტები ერთმანეთისთვის არაშესადარისია, ამიტომ რეგრესიის კოეფიციენტები უნდა გამოისახოს სტანდარტიზებულ ერთეულებში.

რეგრესიის განტოლებას სტანდარტიზებულ მასშტაბში აქვს შემდეგი სახე:

$$W_t = -0.26z_{1t} + 0.96z_{2t}$$

აღნიშნულის საფუძველზეც მთლიან სამამულო პროდუქტზე კაცების შემთხვევაშიც პირიქით ხელფასის ცვლილება უფრო მეტად ზემოქმედებს, ვიდრე ეკონომიკურად არააქტიურობის დონისა.

მრავლობითი რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნების შეფასებისათვის ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია დეტერმინაციის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს რეგრესიით ახსნილი გაფანტულობის წილს შედეგობრივი ცვლადის მთლიან გაფანტულობაში. აღნიშნული რეგრესიის განტოლებისათვის დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.9-ის ტოლია, ხოლო კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.85-ის ტოლია, შესაბამისად, კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტიც საბოლოო ჯამში მრავლობითი რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს.

მრავლობითი რეგრესიის განტოლების მნიშვნელოვნება შეფასებულია ფიშერის ტესტის საფუძველზე. კაცების შემთხვევაში აგებული რეგრესიის მოდელისათვის F ტესტის მნიშვნელობა 26.0-ის ტოლია, რაც აღემატება $F_{კრ} = 4.74$-ს, დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.9-ის ტოლია, ხოლო კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი - 0.85-ის, რაც ადასტურებს მრავლობითი რეგრესიის განტოლების ვარგისიანობას დასკვნების გასაკეთებლად (დანართი 3). გარდა ამისა, კაცების შემთხვევისათვის აგებულ მოდელშიც არ შეინიშნება ნარჩენობით წევრებში ჰეტეროსკედასტურობის პრობლემა, უაიტის ტესტის საფუძველზე მიიღება 5%-იანი მნიშვნელოვნების დონით ჰიპოთეზა ჰომოსკედასტურობის შესახებ. ამასთან ერთად, მოდელში ნარჩენობითი

წევრებიც ნორმალურად არის განაწილებული, რასაც ადასტურებს ჯაკ-ბერას ტესტის საფუძველზე მიღებული შედეგი 10%-იანი მნიშვნელოვნების დონით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ადამიანისეული კაპიტალის არარაციონალურად გამოყენება მნიშვნელოვნად აზარალებს ქვეყნის ეკონომიკას და ცალკეული ინდივიდის კეთილდღეობას. დროის გამოყენების გამოკვლევისა და სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის გამოყენებით შეფასდა დაახლოებით როგორ ზარალდება ქვეყნის ეკონომიკა ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის ასეთი მაღალი რიცხოვნობის გამო. დროის გამოყენების გამოკვლევა ჩატარდა 2020-2021 წლებში, შესაბამისად, ანალოგიური მაჩვენებლები გაანგარიშდა სამუშაო ძალის გამოკვლევის 2021 წლის მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021 წლისათვის განკარგვადი მედიანური შრომის ანაზღაურება.

დიაგრამა 9: განკარგვადი მედიანური შრომის ანაზღაურება, 2021 წელი, ლარი



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

აღნიშნული მაჩვენებელი ქალებისათვის 450.9 ლარს, ხოლო კაცებისათვის 632.5 ლარს წარმოადგენდა. ეკონომიკურად არააქტიურ ქალთა რიცხოვნობა 2021 წელს - 956 902, ხოლო კაცთა 519 750-ს შეადგენდა. შესაბამისად, მედიანური შრომის ანაზღაურების გათვალისწინებით ქალები თვეში დაახლოებით 431.4 მლნ ლარით, ხოლო კაცები 328.7 მლნ ლარით ზარალდებიან. მიუხედავად იმისა, რომ კაცთა მედიანური შრომის ანაზღაურება 40.3 პროცენტით აღემატება ქალებისას, დაკარგული შემოსავლები ქალების შემთხვევაში 31.2 პროცენტით მეტია. რაც შეეხება

არადასაქმებული მოსახლეობით გამოწვეულ დანაკარგებს, ქალების შემთხვევაში აღნიშნული 483.7 მლნ ლარს, ხოლო კაცების - 455.4 მლნ ლარს შეადგენდა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს აუნაზღაურებელი შრომით გამოწვეულ დანაკარგებზე. ძირითად სამუშაოზე კვირაში ნამუშევარი ჩვეულებრივი საათების საშუალო რაოდენობა 2021 წელს 38.2 საათს ქალებისათვის, ხოლო 44.0 საათს კაცებისათვის შეადგენდა (საქსტატი, დასაქმება და უმუშევრობა 2021). ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია სრული დროით დასაქმებული პირების მიერ გაწეული აუნაზღაურებელი შრომა, რომელიც ქალებისათვის დღეში 2.7 საათია, ხოლო კაცებისათვის 0.5 საათი (Guerrero 2020-2021). შესაბამისად, ქალებისათვის კვირაში 18.9 საათს, ხოლო კაცებისათვის 3.5 საათს შეადგენდა. ქალების ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა კვირაში 57.1 საათია, რაც დაახლოებით 20.2 პროცენტით აღემატებოდა კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (47.5 საათი).

მედიანური შრომის ანაზღაურების გათვალისწინებით სრული დროით დასაქმებული ქალი აუნაზღაურებელი შრომის გამო, თვეში დაახლოებით 223.3 ლარის ოდენობის შემოსავალს კარგავდა, ხოლო კაცებისათვის ანალოგიური მაჩვენებელი 50.3 ლარს შეადგენს. დასაქმებულთა რიცხოვნობის გათვალისწინებით ქალების მიერ დაკარგული შემოსავალი თვეში 119.8 მლნ ლარს, ხოლო კაცებისათვის - 34.3 მლნ ლარს წარმოადგენდა. აღნიშნული გენდერული დისბალანსი აქაც მკაფიოდ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურება კაცების შემთხვევაში გაცილებით მაღალია, ქალების დანაკარგი 249.6 პროცენტით აღემატებოდა კაცებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნათლად ჩანს, თუ რამხელა დანაკარგს განიცდის მოსახლეობა ადამიანისეული კაპიტალის არარაციონალურად გამოყენების გამო, რომლის აღმოფხვრა შეუძლებელია, თუმცა, მინიმიზაციის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის საერთო მდგომარეობა.

თავი III. გენდერული მულტიუთანასწორობის სტატისტიკური კვლევა რეგიონულ და სექტორულ დონეზე

3.1. დასაქმების გენდერული უთანასწორობა რეგიონულ და სექტორულ ჭრილში

შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, აღნიშნული გენდერულ უთანასწორობას კიდევ უფრო მეტად ზრდის და მნიშვნელოვნად აუარესებს განსაკუთრებით ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობასა და კეთილდღეობას. დასაქმების დონე, რომელიც განისაზღვრება დასაქმებულთა რიცხოვნობისა და 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის ფარდობით სქესის მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია და 2023 წელს შესაბამისად, ქალებისათვის - 37.1-ს, ხოლო კაცებისათვის 53.2 პროცენტს შეადგენდა. არსებული უთანასწორობა რეგიონების მიხედვით კიდევ უფრო თვალსაჩინოა. თუმცა, სანამ აღნიშნული მაჩვენებელი რეგიონებისა და სქესის მიხედვით გაანალიზდება, მიზანშეწონილია გენდერულ ჭრილში დასაქმების დონის დინამიკის განხილვა.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია დასაქმების დონის დინამიკა სქესის მიხედვით, ასევე, გაანგარიშებულია გენდერული სხვაობის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს რამდენი პროცენტული პუნქტით აღემატება კაცების დასაქმების დონე ქალებისას და ორივე სქესისათვის აბსოლუტური მატების მაჩვენებლები.

ცხრილი 6: დასაქმების დონე გენდერულ ჭრილში

წელი	ქალი	კაცი	გენდერული სხვაობა (პროცენტული პუნქტი)	აბსოლუტური მატება (ქალი)	აბსოლუტური მატება (კაცი)
2010	31.8	44.2	12.3	-	-
2011	32.3	45.6	13.3	0.4	1.4
2012	33.0	47.7	14.7	0.7	2.1
2013	33.3	46.7	13.4	0.2	-1.0
2014	35.0	48.8	13.8	1.8	2.2
2015	36.9	50.8	13.8	1.9	1.9
2016	36.8	50.2	13.4	-0.2	-0.6
2017	37.0	49.3	12.4	0.2	-0.9
2018	36.4	50.0	13.6	-0.5	0.7
2019	36.2	50.1	13.8	-0.2	0.1
2020	33.9	49.5	15.6	-2.3	-0.6

2021	33.3	48.6	15.3	-0.5	-0.9
2022	35.4	51.7	16.2	2.1	3.1
2023	37.1	53.2	16.2	1.6	1.6

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

ზემოთ მოტანილი ცხრილის საფუძველზე გენდერული სხვაობა ყველაზე მაღალი 2022-2023 წლებშია, კაცების დასაქმების დონე 16.2 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალებისას, რაც გამოწვეულია იმით, რომ დასაქმების დონის აბსოლუტური მატება ორივე სქესისათვის ყველაზე მაღალი 2022 წელს იყო, თუმცა კაცებისათვის გასულ წელთან შედარებით დასაქმების დონე 3.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო ქალებისათვის შედარებით ნაკლებით - 2.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2023 წელს ორივე სქესისათვის აბსოლუტური მატება 1.6 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა. რაც შეეხება საშუალო აბსოლუტურ მატებას, ქალებისათვის 0.4-ს შეადგენს, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველწლიურად დასაქმების დონე ქალებისათვის დაახლოებით 0.4 პროცენტული პუნქტით იზრდება, ხოლო კაცებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 0.7-ს შეადგენს, რაც დასაქმების დონის ყოველწლიურად უფრო მეტად მატებაზე მიგვანიშნებს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამუშაო ძალის მაჩვენებლები სქესის მიხედვით 2023).

სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე გაანგარიშდა დასაქმების დონე რეგიონებისა და სქესის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2023 წლის დასაქმების დონე რეგიონებისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა 10: დასაქმების დონე რეგიონების მიხედვით გენდერულ ჭრილში, %



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

ზემოთ მოტანილი დიაგრამის მიხედვით დასაქმების დონის გენდერული უთანასწორობა რეგიონების მიხედვით კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოა. თუმცა, უთანასწორობა 2023 წელს 2022 წელთან შედარებით, თითქმის ყველა რეგიონში შემცირდა გარდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისა, სადაც უთანასწორობა გაიზარდა 14.2 პროცენტული პუნქტით, ქვემო ქართლში - 8.1, სამცხე-ჯავახეთში - 3.1, ხოლო გურიაში - 0.8. 2023 წლის მაჩვენებლების საფუძველზე შედგენილია რეგიონების სამი ჯგუფი, როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისთვის:

- რეგიონები დასაქმების დაახლოებით საშუალო დონით;
- რეგიონები დასაქმების საშუალოზე მაღალი დონით;
- რეგიონები დასაქმების საშუალოზე დაბალი დონით.

ამ კლასიფიკაციით, პირველი ჯგუფი მოიცავს ისეთ რეგიონებს, სადაც დასაქმების დონე დაახლოებით საშუალო დონის ტოლია.

ქალების შემთხვევაში ეს რეგიონებია - რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი, გურია, ხოლო კაცების შემთხვევაში- სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, თბილისი და შიდა ქართლი.

მეორე ჯგუფი მოიცავს ისეთ რეგიონებს, სადაც დასაქმების დონე საშუალოზე უფრო მაღალია.

ქალების შემთხვევაში ეს რეგიონებია - აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, ხოლო კაცების შემთხვევაში - კახეთი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი.

მესამე ჯგუფი მოიცავს ისეთ რეგიონებს, სადაც დასაქმების დონე საშუალოზე უფრო დაბალია.

ქალების შემთხვევაში ეს რეგიონებია - ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ხოლო კაცების შემთხვევაში - რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი.

მნიშვნელოვანია, ასევე, გენდერული უთანასწორობის ანალიზი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წელს დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და სქესის მიხედვით.

ცხრილი 7: 2023 წელს დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და სქესის მიხედვით, ათასი კაცი

	ქალი	კაცი
სულ	597.8	736.8
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	84.3	136.4
მრეწველობა	56.0	107.1
მშენებლობა	5.3	112.6
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	100.1	106.3
ტრანსპორტი და დასაწყობება	10.0	75.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	30.6	19.9
ინფორმაცია და კომუნიკაცია	8.8	12.1
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	18.8	12.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	0.6	3.1
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	10.6	12.0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	9.9	14.2
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	29.2	63.0
განათლება	128.9	24.9
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	56.5	14.1
ხელოვნება, გართობა და დასვენება	15.9	14.6
სხვა სახის მომსახურება	14.6	7.1
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	17.0	0.2
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0.8	1.5

წყარო: საქსტატი.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით უთანასწორობა კიდევ უფრო მაღალია. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ქალი დასაქმებულია განათლების სფეროში, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში და სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სექტორში. რაც შეეხება კაცებს, მათი ყველაზე დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სფეროში, მშენებლობისა და მრეწველობის სექტორში.

რაც შეეხება გენდერულ უთანასწორობას, ყველაზე მაღალია შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის ამ სფეროში დასაქმებულთა 98.9 პროცენტი ქალია. ასევე, მაღალია უთანასწორობა მშენებლობის სექტორში, სადაც დასაქმებული კაცები 21.4-ჯერ აღემატებიან ამავე

სექტორში დასაქმებულ ქალებს. ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულ კაცთა რიცხოვნობა 7.6-ჯერ აღემატება ქალებისას, ხოლო რაც შეეხება განათლებისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობებს, დასაქმებულ ქალთა რიცხოვნობა, აღემატება კაცებისას, შესაბამისად, 5.2 და 4.0-ჯერ.

ზემოაღნიშნულის გარდა, კიდევ უფრო თვალსაჩინოა გენდერული უთანასწორობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და რეგიონების მიხედვით. მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ცალკეული რეგიონის მიხედვით რა მდგომარეობაა სხვადასხვა სფეროში, ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზა (2023 წელი) და შესაბამისად, გაანგარიშებულია რეგიონების მიხედვით შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა საქმიანობის სახეებისა და სქესის ჭრილში.

თბილისში დასაქმებულ ქალთა 19.8 პროცენტი დასაქმებულია განათლების სექტორში, 19.5 პროცენტი საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, ხოლო 12.2 პროცენტი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობებში. კაცების შემთხვევაში 20.7 პროცენტი დასაქმებულია საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, 14.3 პროცენტი მშენებლობის სექტორში, ხოლო 10.7 პროცენტი ტრანსპორტირებისა და დასაწყობების საქმიანობებში.

აჭარაში დასაქმებულ ქალთა 20.8 პროცენტი დასაქმებულია განათლების სექტორში, 15.8 პროცენტი სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობაში, საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში 13.5 პროცენტი. დასაქმებულ კაცთა 18.5 პროცენტი დასაქმებულია მშენებლობის სექტორში, 17.7 პროცენტი - ტრანსპორტირებასა და დასაწყობებაში, ხოლო 15.0 პროცენტი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში.

გურიაში დასაქმებულ ქალთა 36.0 პროცენტი დასაქმებულია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობაში, 24.4 პროცენტი - განათლების სექტორში, საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში - 10.5 პროცენტი. დასაქმებულ კაცთა 36.6 პროცენტი დასაქმებულია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში, 10.5 პროცენტი - საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, 10.1 პროცენტი - მშენებლობის სექტორში.

იმერეთში დასაქმებულ ქალთა 25.8 პროცენტი დასაქმებულია განათლების სექტორში, 19.8 პროცენტი - საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, ხოლო 11.0 პროცენტი - ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობებში. დასაქმებულ კაცთა 19.9 პროცენტი დასაქმებულია მშენებლობის, 15.8 პროცენტი - საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის, ხოლო 10.0 პროცენტი - ტრანსპორტირებისა და დასაწყობების საქმიანობებში.

კახეთში დასაქმებულ ქალთა 31.6 პროცენტი დასაქმებულია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობებში, 19.6 პროცენტი - განათლების, ხოლო 16.0 პროცენტი - საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, დასაქმებულ კაცთა 46.0 პროცენტი დასაქმებულია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობებში, 11.6 პროცენტი - მშენებლობის, ხოლო 9.9 პროცენტი - საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში.

მცხეთა-მთიანეთში დასაქმებულ ქალთა 28.4 პროცენტი დასაქმებულია განათლების, 14.4 პროცენტი - საბითუმო და საცალო ვაჭრობისა და ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, 12.9 პროცენტი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სექტორში, დასაქმებულ კაცთა 20.9 პროცენტი დასაქმებულია მშენებლობის, 15.3 პროცენტი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის, ხოლო ტრანსპორტირებისა და დასაწყობების საქმიანობაში დასაქმებულია 12.8 პროცენტი.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დასაქმებულ ქალთა 34.7 პროცენტი დასაქმებულია განათლების სექტორში, 11.6 პროცენტი - წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და გასუფთავების საქმიანობებში, 11.2 პროცენტი - სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვის საქმიანობების სექტორში, დასაქმებულ კაცთა 18.9 პროცენტი დასაქმებულია წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და გასუფთავების საქმიანობებში, 16.3 პროცენტი - სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა, 15.9 პროცენტი კი - მშენებლობის სექტორში.

სამეგრელო-ზემო სვანეთში დასაქმებულ ქალთა 24.1 პროცენტი დასაქმებულია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობაში, 22.6 პროცენტი - განათლების, 14.6 პროცენტი კი - საბითუმო და საცალო ვაჭრობისა და ავტომობილებისა და

მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, ხოლო დასაქმებულ კაცთა 31.5 პროცენტი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის, 13.2 პროცენტი - ტრანსპორტირებასა და დასაწყობებაში, ხოლო 11.4 პროცენტი - სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის, სავალდებულო სოციალური დაცვის საქმიანობითაა დაკავებული.

სამცხე-ჯავახეთში დასაქმებულ ქალთა 52.1 პროცენტი დასაქმებულია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობაში, 22.5 პროცენტი - განათლების, 6.8 პროცენტი კი - საბითუმო და საცალო ვაჭრობისა და ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, ხოლო დასაქმებულ კაცთა 46.6 პროცენტი დასაქმებულია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობაში, 16.4 პროცენტი - მშენებლობის, ხოლო 8.6 პროცენტი - სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის; სავალდებულო სოციალური დაცვის სექტორში.

ქვემო ქართლში დასაქმებულ ქალთა 20.4 პროცენტი დასაქმებულია განათლების, 17.7 პროცენტი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობაში, 16.7 პროცენტი კი - საბითუმო და საცალო ვაჭრობისა და ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, ხოლო დასაქმებულ კაცთა 19.9 პროცენტი - მშენებლობის, 18.9 პროცენტი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის, ხოლო 14.4 პროცენტი კი - საბითუმო და საცალო ვაჭრობისა და ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში.

შიდა ქართლში დასაქმებულ ქალთა 20.9 პროცენტი დასაქმებულია განათლების, 20.9 პროცენტი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობაში, 16.9 პროცენტი კი - საბითუმო და საცალო ვაჭრობისა და ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, ხოლო დასაქმებულ კაცთა 34.3 პროცენტი სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის, 13.9 პროცენტი - საბითუმო და საცალო ვაჭრობისა და ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის საქმიანობებში, ხოლო 12.2 პროცენტი კი - მშენებლობის.

3.2. შრომის ანაზღაურებაში გენდერული უთანასწორობა რეგიონულ და სექტორულ ჭრილში

შრომის ბაზარზე არსებული გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი. მიუხედავად ქვეყანაში არსებული კანონმდებლობისა, რომელიც კრძალავს ყველანაირ დისკრიმინაციას, მათ შორის, დისკრიმინაციას სქესის მიხედვით, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობისა, უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში მაინც საკმაოდ მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა გაწევრიანდა თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციაში, რომლის მიზანიც ქვეყანაში თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების აუცილებლობაა 2023 წელს დაქირავებით დასაქმებულ კაცთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 47.3 პროცენტით აღემატებოდა ქალებისას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით.

დიაგრამა 11: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით, ლარი



წყარო: საქსტატი.

დიაგრამა 11-დან ჩანს, რომ 2015-2023 წლებში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება ორივე სქესისათვის. აღნიშნული

წლებისათვის საშუალო აბსოლუტური მატება ქალებისათვის 91.6 ლარს, ხოლო კაცებისათვის 128.2 ლარს შეადგენდა. მატება ყველაზე მაღალი იყო 2022 წელს, ქალებისათვის საშუალოდ 192.2 ლარი, ხოლო კაცებისათვის - 289.1 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური ნაზრდი საკმაოდ განსხვავებულია, ქალებისათვის გასულ წელთან შედარებით ხელფასი 18.2 პროცენტით, ხოლო კაცებისათვის 18.8 პროცენტითაა გაზრდილი, რაც მიუთითებს იმაზე რომ ხელფასის პროცენტული ნაზრდი ორივე სქესისათვის თითქმის თანაბარი იყო.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასზე საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში სხვადასხვა უნარის ფლობა. აღნიშნული წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნის 4.4.1 ინდიკატორს, რომლის გაანგარიშება ხდება შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის საფუძველზე.

აღნიშნული კვლევის ანონიმიზირებული მონაცემთა ბაზის საფუძველზე გაანგარიშდა მოცემული ინდიკატორი სქესის მიხედვით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 15 წლის და უფროსი ასაკის ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების პროპორციული ოდენობა, რომლებიც ფლობენ უნარებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, უნარების ტიპისა და სქესის მიხედვით.

ცხრილი 8: 15 წლის და უფროსი ასაკის ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების პროპორციული ოდენობა, რომლებიც ფლობენ უნარებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, უნარების ტიპისა და სქესის მიხედვით, %

	2023	
	ქალი	კაცი
ელექტრონული ფაილების ან საქაღალდეების კოპირება ან გადაადგილება	31.5	31.6
კოპირების (copy-paste) გამოყენება მონაცემების დუბლირებისა და გადაადგილებისთვის ერთი დოკუმენტის ფარგლებში	31.5	32.1
ელ. ფოსტის გაგზავნა მიმაგრებული ფაილებით (დოკუმენტები, ფოტოები და ა.შ.)	37.2	38.2
ძირითადი არითმეტიკული ფორმულების გამოყენება ელექტრონული ცხრილების მეშვეობით	8.5	9.4
ახალი მოწყობილობების მიერთება და დაინსტალირება კომპიუტერში	13.2	17.2

პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების მოძიება, ჩამოტვირთვა, დაყენება და სასურველი პარამეტრების დაყენება	12.0	13.6
ელექტრონული პრეზენტაციების შექმნა პრეზენტაციებისთვის განკუთვნილი პროგრამების მეშვეობით (ფოტოების, ხმოვანი/ ვიდეო ფაილებისა და დიაგრამების ჩათვლით)	12.1	9.8
ფაილების გადატანა კომპიუტერებსა ან/და სხვა მოწყობილობებს შორის	22.0	24.3

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის ანონიმიზირებული მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ კაცების პროპორციული ოდენობა ცალკეული უნარების ფლობის მიხედვით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს, გარდა ელექტრონული პრეზენტაციების შექმნა პრეზენტაციებისთვის განკუთვნილი პროგრამების მეშვეობით, სადაც ქალთა პროპორციული ოდენობა 23.5 პროცენტით აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს. ყველაზე მაღალი გენდერული დისბალანსი ფიქსირდება ახალი მოწყობილობების მიერთება და დაინსტალირება კომპიუტერში, შესაბამისად, კაცთა პროპორციული ოდენობა 30.3 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს. 2022 წელთან შედარებით მდგომარეობა ორივე სქესისათვის ყველაზე მეტად გაუმჯობესდა - ელ. ფოსტის გაგზავნა მიმაგრებული ფაილებით (დოკუმენტები, ფოტოები და ა. შ.).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულ კაცთა და ქალთა საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასებს შორის სხვაობა სქესის მიხედვით.

დიაგრამა 12: კაცისა და ქალის საშუალოთვიურ ნომინალურ ხელფასებს შორის სხვაობა, ლარი



წყარო: მაჩვენებლები გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

ზემოთ მოტანილი გრაფიკიდან გამომდინარე, კაცისა და ქალის ხელფასებს შორის სხვაობა მინიმალური იყო 2015 წელს, რომელიც 381.8 ლარს შეადგენდა, ხოლო მაქსიმალური სხვაობა დაფიქსირდა 2023 წელს - 674.4 ლარი. მიუხედავად ამისა, გენდერული დისბალანსი შემცირებულია. 2015 წელს კაცების საშუალო თვიური ხელფასი 55.1 პროცენტით აღემატებოდა ქალებისას, მაშინ, როდესაც 2023 წელს აღნიშნული სხვაობა 47.3 პროცენტამდე შემცირდა. ზემოაღნიშნული გარკვეულწილად გამოწვეულია იმით, რომ ქალთა ხელფასი 2023 წელს 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 105.8 პროცენტით, ხოლო კაცების - 95.5 პროცენტით. საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასებს შორის სხვაობა 2015-2023 წლებში საშუალოდ წლიურად 7.7 პროცენტით იზრდება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით 2023).

შრომის ანაზღაურების გენდერული უთანასწორობა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი განათლების მიღწეული დონეა, თუმცა, საქართველოს მაგალითზე ვერ ვიტყვით, რომ ქალთა განათლების მიღწეული დონე ჩამორჩება კაცებისას. არანაკლებ მნიშვნელოვანია გამოცდილება, რომელიც როგორც ანაზღაურებაზე, ასევე დასაქმების სტატუსზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს. სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე 2023 წლისათვის გაანგარიშდა ბოლო 8 წლის განმავლობაში სამუშაო გამოცდილების მაჩვენებელი, რომელიც ქალებისათვის 10.2 პროცენტს, ხოლო კაცებისათვის - 11.4 პროცენტს შეადგენდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მონაცემთა ბაზები, სამუშაო ძალის გამოკვლევა 2023). სწორედ აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით მიღებული გენდერული სხვაობისათვის გამოიყენება შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა. 2023 წლისათვის შესწორებული გენდერული სხვაობა ყოველთვიურის შემთხვევაში 20.9 პროცენტს შეადგენდა, რაც გაცილებით ნაკლებია უკვე ზემოთ აღნიშნულ შეუსწორებელ გენდერულ სხვაობაზე. ყოველთვიურ სახელფასო სხვაობასთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებია საათობრივი სახელფასო სხვაობა, რომელიც 13.2 პროცენტს შეადგენდა. აღნიშნული განსხვავება კი, ბუნებრივია, გამოწვეულია იმით რომ ქალების მიერ ნამუშევარი საათები კაცებთან შედარებით უფრო მცირეა, თუმცა, აღნიშნულიც გარკვეულწილად გამოწვეულია სხვადასხვა გენდერული სტერეოტიპის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, დაკავებული პოზიციების/თანამდებობების მიხედვით.

ცხრილი 9: შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, დაკავებული პოზიციების/თანამდებობების მიხედვით, 2023 წელი, %

	საათობრივი სახელფასო სხვაობა	ყოველთვიური სახელფასო სხვაობა
სპეციალისტი-პროფესიონალები	18.7	19.2
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	23.4	25.2
ოფისის დამხმარე პერსონალი	19.3	18.2
მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	5.0	12.9
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	39.3	41.6
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	24.4	37.0

წყარო: საქსტატი.

ზემოაღნიშნული ცხრილის საფუძველზე გენდერული უთანასწორობა დაკავებული პოზიციების/თანამდებობების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია. თვიური სახელფასო სხვაობა უმეტეს პოზიციისა და თანამდებობის დროს აღემატება საათობრივს, რაც, ბუნებრივია, და გამოწვეულია კაცების მიერ უფრო მეტი ნამუშევარი საათით, თუმცა, მაგალითად, ოფისის დამხმარე პერსონალისათვის საათობრივი სახელფასო სხვაობა კიდევ უფრო მაღალია, რასაც უფრო თვალსაჩინო გენდერულ უთანასწორობამდე და დისკრიმინაციამდე მივყავართ. 2023 წელს 2022 წელთან შედარებით მდგომარეობა გაუმჯობესებულია. საათობრივი სახელფასო სხვაობის შემთხვევაში შემცირებულია 2.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო ყოველთვიურის დროს შემცირდა 2.1 პროცენტული პუნქტით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გენდერული სახელფასო სხვაობა 2023).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით.

ცხრილი 10: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით, 2023 წელი, ლარი

	ქალი	კაცი
სულ	**1425.4**	**2099.8**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	926.4	1321.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1661.3	2140.0
დამამუშავებელი მრეწველობა	1184.7	1910.6
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	2048.2	2085.2
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	1057.0	1196.9
მშენებლობა	1831.8	2381.6
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1239.0	1842.9
ტრანსპორტირება და დასაწყობება	1536.2	1937.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1199.8	1577.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	3013.4	4546.4
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	2411.2	4788.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1360.7	1742.4
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2237.5	2790.3
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1186.0	1363.9
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	2065.7	2209.9
განათლება	1046.8	1115.3
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1357.2	1941.9
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1332.0	1950.8
სხვა სახის მომსახურება	1007.9	1851.1

წყარო: საქსტატი.

ზემოაღნიშნული ცხრილის საფუძველზე ყველა საქმიანობაში კაცების ხელფასი აღემატება ქალებისას. ყველაზე მაღალი გენდერული დისბალანსი საფინანსო და

სადაზღვევო საქმიანობებშია, სადაც ორივე სქესისათვის ხელფასები საკმაოდ მაღალანაზღაურებადია, შესაბამისად, ქალებისათვის მოცემული მაჩვენებლის მნიშვნელობა 2 411.2 ლარს, ხოლო კაცებისათვის - 4 788.9 ლარს შეადგენს, ხოლო უთანასწორობა 98.6 პროცენტს. როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის შემდეგი მაღალანაზღაურებადი საქმიანობაა ინფორმაცია და კომუნიკაციებია, სადაც დაქირავებით დასაქმებულ ქალთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 3 013.4 ლარს, ხოლო კაცთა 4 546.4 ლარს შეადგენდა. ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი საქმიანობა განათლებაა, სადაც დასაქმებულთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით 2023).

საქმიანობის სახეების გარდა მნიშვნელოვანია გენდერული დისბალანსი რეგიონების მიხედვით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების და სქესის მიხედვით.

ცხრილი 11: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების და სქესის მიხედვით, 2023 წელი, ლარი

რეგიონის დასახელება	**სულ**	**ქალი**	**კაცი**
საქართველო	**1766.8**	**1425.4**	**2099.8**
ქ. თბილისი	2107.8	1720.0	2478.2
აჭარის ა. რ.	1423.3	1193.3	1645.8
გურია	991.4	852.2	1154.6
იმერეთი	1134.0	906.9	1371.9
კახეთი	1119.5	889.1	1416.0
მცხეთა-მთიანეთი	1515.3	1102.1	1882.0
რაჭა-ლეჩხუმი	881.7	820.2	947.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1133.8	932.4	1329.8
სამცხე-ჯავახეთი	1112.0	915.9	1317.5
ქვემო ქართლი	1411.7	1008.8	1755.0
შიდა ქართლი	1107.6	853.7	1387.1

წყარო: საქსტატი.

ზემოაღნიშნული ცხრილის საფუძველზე ორივე სქესისათვის ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი თბილისშია. აღსანიშნავია, ის ფაქტიც რომ საშუალოზე უფრო მაღალი ხელფასიც მხოლოდ ამ რეგიონშია. ყველაზე დაბალი ხელფასი ორივე სქესისათვის ფიქსირდება რაჭა-ლეჩხუმში, შესაბამისად, ქალებისათვის - 820.2 ლარი, ხოლო კაცებისათვის - 947.4 ლარი. ასევე, გურიაში ქალებისათვის - 852.2 ლარი, ხოლო კაცებისათვის - 1 154.6 ლარი. რაც შეეხება გენდერულ უთანასწორობას, ყველაზე მაღალი ქვემო ქართლშია, სადაც დაქირავებით დასაქმებულ კაცთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 74.0 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს. მცხეთა-მთიანეთში აღნიშნული მაჩვენებელი - 70.8-ს, ხოლო შიდა ქართლში 62.5 პროცენტს შეადგენს. გენდერული უთანასწორობა ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმსა და გურიაში, შესაბამისად, 15.5 და 35.5 პროცენტი, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ამ რეგიონებში ორივე სქესისათვის ხელფასებიც ყველაზე დაბალია.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს 2023 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების, რეგიონებისა და სქესის მიხედვით.

ქ. თბილისში ორივე სქესისათვის მაღალანაზღაურებად საქმიანობებს ინფორმაცია და კომუნიკაცია, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები წარმოადგენს. ხოლო ყველაზე დაბალანაზღაურებადი საქმიანობა ორივე სქესისათვის სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაა. ყველაზე მაღალი უთანასწორობა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებშია, სადაც კაცების ხელფასი 108.0 პროცენტით აღემატება ქალებისას.

აჭარაში ორივე სქესისათვის ყველაზე მაღალანაზღაურებადი საქმიანობა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდებაა. ქალებისათვის ამ სფეროში ხელფასი 5 531.8 ლარი, ხოლო კაცებისათვის 5 381.7 ლარია, აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმიანობაში ქალების ხელფასი აღემატება კაცებისას. დაბალანაზღაურებადი საქმიანობა აქაც სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაა. გენდერული უთანასწორობა ყველაზე მაღალია სამთომოპოვებით მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაში, სადაც კაცების ხელფასი 78.4 პროცენტით აღემატება ქალებისას, ხოლო წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობებში ქალების ხელფასი 13.0 პროცენტით აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს.

გურიაში ყველაზე მაღალანაზღაურებად საქმიანობას ქალებისათვის ტრანსპორტირება და დასაწყობება წარმოადგენს, სადაც საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ქალებისათვის 2 246.3 ლარს შეადგენს. ამ სფეროში ქალთა ხელფასი 163.2 პროცენტით აღემატება, ხოლო კაცებისათვის ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდების საქმიანობებში, შესაბამისად, ხელფასი 3 074.9 ლარია, გენდერული უთანასწორობაც ამ საქმიანობისათვის ყველაზე მაღალია, შესაბამისად, კაცების საშუალო თვიური ხელფასი 177.4 პროცენტით აღემატება ქალებისას.

იმერეთში ქალებისათვის ყველაზე მაღალანაზღაურებადი საქმიანობა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებია, სადაც ქალთა ხელფასი 1 729.4 ლარს შეადგენს. კაცებისათვის ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდების საქმიანობა, სადაც ხელფასი 2 439.5 ლარს შეადგენს. ყველაზე მაღალი გენდერული უთანასწორობა სხვა სახის მომსახურებასა და ტრანსპორტირებასა და დასაწყობებაშია, შესაბამისად, კაცების ხელფასი 155.4 და 111.8 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

კახეთში ქალებისათვის ყველაზე მაღალანაზღაურებად საქმიანობას ინფორმაცია და კომუნიკაცია წარმოადგენს, სადაც საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 3 199.8 ლარია. კაცებისათვის კი ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდებაა - 2 567.5 ლარი. გენდერული უთანასწორობა ყველაზე მაღალია ჯანდაცვასა და სოციალური მომსახურების საქმიანობებში, სადაც კაცთა ხელფასი 184.9 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

მცხეთა-მთიანეთში ქალებისათვის ყველაზე მაღალი ანაზღაურება დამამუშავებელ მრეწველობაშია - 1 838.9 ლარი, ხოლო კაცებისათვის ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდების საქმიანობებში - 2 963.5 ლარი. გენდერული უთანასწორობა მაღალია უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებშია, სადაც კაცთა ხელფასი 230.9 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

რაჭა-ლეჩხუმში ქალებისათვის ყველაზე მაღალანაზღაურებადი საქმიანობა ჯანდაცვა და სოციალური მომსახურებაა, სადაც ანაზღაურება 2 027.8 ლარს შეადგენს, ხოლო კაცებისათვის სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება, ანაზღაურება 1 736.2 ლარს შეადგენს. ყველაზე მაღალი

გენდერული უთანასწორობა ტრანსპორტირებასა და დასაწყობების საქმიანობებშია, სადაც კაცთა ხელფასი 797.8 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობებში ქალთა ხელფასი 168.3 პროცენტით აღემატება.

სამეგრელო-ზემო სვანეთში როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის მაღალანაზღაურებადი საქმიანობაა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება, შესაბამისად, ანაზღაურება 2 582.2 და 1 925.0 ლარს შეადგენს. გენდერული უთანასწორობა ყველაზე მაღალი სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობებშია, სადაც კაცთა ხელფასი 167.6 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო სხვა სახის მომსახურებაში ქალთა ხელფასი 158.0 პროცენტით აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს.

სამცხე-ჯავახეთში როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის მაღალანაზღაურებადი საქმიანობაა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება, შესაბამისად, 2 040.1 და 2 717.0 ლარი. გენდერული უთანასწორობა ყველაზე მაღალია სამთომოპოვებით მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაში, სადაც კაცების ანაზღაურება 137.9 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემო ქართლში ქალებისათვის ყველაზე მაღალანაზღაურებადი საქმიანობაა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება (2 022.1 ლარი), ხოლო კაცებისათვის სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება (2 607.7 ლარი), გენდერული დისბალანსი ყველაზე მაღალია სხვა სახის მომსახურებაში, სადაც კაცთა ხელფასი 275.6 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

შიდა ქართლში ქალებისათვის ყველაზე მაღალანაზღაურებადი საქმიანობაა სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება (2 208.8 ლარი), ხოლო კაცებისათვის ინფორმაცია და კომუნიკაცია (3 873.3 ლარი). გენდერული დისბალანსი ყველაზე მაღალი სხვა სახის მომსახურებასა და ინფორმაცია და კომუნიკაციების საქმიანობებშია, სადაც კაცების ხელფასი 921.3 და 218.7 პროცენტით აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

3.3. საქართველოს მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დროის სტატისტიკური ანალიზი გენდერულ ჭრილში

საქართველოს მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დროის სტატისტიკური ანალიზის მიზნით 2020-2021 წლებში ქვეყანაში პირველად ჩატარდა დროის გამოყენების გამოკვლევა, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორის გაანგარიშება წარმოადგენდა. აღნიშნული კვლევის შედეგებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყანაში არსებული გენდერული სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული გენდერული უთანასწორობის პრობლემის იდენტიფიცირებისათვის, ასევე, ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართულ შესაბამის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკის შემუშავებას.

აღნიშნული გამოკვლევის შედეგებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყანაში წარმოებული გენდერული სტატისტიკა, ამას ცხადყოფს Open Data Watch-ის შედეგები, რომლის თანახმადაც ქვეყანაში წარმოებული გენდერული სტატისტიკა ფასდება 5 ძირითადი კრიტერიუმით, ესენია: ხელმისაწვდომობა, რომელიც განსაზღვრავს 53 ინდიკატორის ხელმისაწვდომობას როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ასევე, სხვა სამთავრობო ვებ-გვერდებზე, მეორე ეს არის ღიაობა, რომელიც განსაზღვრავს გენდერული სტატისტიკის მაჩვენებლებზე წვდომასა და გამოყენების ბარიერებს, მესამე ეს არის - ინსტიტუციური ფონდები, რომლებიც არის სამართლებრივი, პოლიტიკისა და კოორდინაციის ჩარჩოები, ისინი მხარს უჭერენ გენდერული მონაცემების შეგროვებას, გამოქვეყნებასა და გამოყენებას; მეოთხე ეს არის შესაძლებლობები, რომლებიც ასახავს ქვეყნის ტექნიკური და სტატისტიკური შესაძლებლობების დონეს, მართოს და შეინარჩუნოს სტატისტიკური სისტემები, რომლებიც აწარმოებენ გენდერულ მონაცემებს; დაფინანსება განსაზღვრავს თუ რამდენად განიხილავს ეროვნული ბიუჯეტი გენდერული სტატისტიკის განვითარებისათვის სახსრებს, გარდა ეროვნული ბიუჯეტისა მნიშვნელოვანია საერთაშორისო მხარდაჭერა. სწორედ გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდა 2020-2021 წლებში ქვეყანაში დროის გამოყენების გამოკვლევა, რომლის შედეგებიც ხელმისაწვდომი გახდა 2022 წელს.

აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყანაში არსებული გენდერული სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა. სწორედ ამიტომ ამ 5 კრიტერიუმის შეფასებით ქვეყანამ 185 ქვეყნიდან მე-5 ადგილზე გადმოინაცვლა, ამ წინსვლაში კი აღნიშნული გამოკვლევის შედეგებმა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა (OPEN DATA WATCH 2023).

გარდა მდგრადი განვითარების მიზნის 5.4.1 ინდიკატორის - „აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით“ - გაანგარიშებისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია სქესის მიხედვით როგორ ხარჯავს მოსახლეობა დროს სხვადასხვა აქტივობაზე, როგორიცაა, მაგალითად, დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები, პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის, შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება, შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება, სტაჟირება, მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა, სწავლა, სოციალიზაცია და კომუნიკაცია, სათემო და რელიგიურ აქტივობებში მონაწილეობა, კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა, საკუთარ თავზე ზრუნვა და თავის მოვლა და სხვ.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დრო გენდერულ ჭრილში.

დიაგრამა 13: საქართველოს მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დრო, გენდერულ ჭრილში, 2020-2021 წელი



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ დიაგრამაზე წარმოდგენილი მაჩვენებლები ასახავს მთლიანი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯულ საშუალო დროს. ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ აქტივობებზე, რომელთა შემთხვევაშიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მთლიანი მოსახლეობის მიერ დახარჯული საშუალო დრო და აქტივობაში ჩართული მოსახლეობის მიერ დახარჯული საშუალო დრო. შესაბამისად, აღნიშნული აქტივობებიდან ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია დასაქმების და მასთან დაკავშირებული აქტივობებისა და სწავლის გამოყოფა.

დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართული ქალები მოცემულ აქტივობაზე დღეში საშუალოდ 7.7 საათს, ხოლო კაცები - 8.6 საათს ხარჯავენ. რაც შეეხება სწავლას ქალების მსგავსად კაცებიც ამ აქტივობაზე დღეში საშუალოდ 0.3 საათს ხარჯავენ. ქალები, რომლებიც ჩართულნი არიან ამ აქტივობაში

დღეში საშუალოდ 4.5 საათს, ხოლო კაცები 4.7 საათს ხარჯავენ. სწავლასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებში ყველაზე მეტად ჩართულნი არიან 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის როგორც ქალები, ასევე კაცები. შესაბამისად, ამ ასაკობრივი ჯგუფის ქალების 48.7 პროცენტი, რომლებიც საშუალოდ დღეში 4.7 საათს ხარჯავენ და კაცების 37.9 პროცენტი, რომლებიც საშუალოდ 4.9 საათს ხარჯავენ.

საქართველოს მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დრო გენდერულ ჭრილში საკმაოდ განსხვავდება, განსაკუთრებით კი, აუნაზღაურებელ შრომაზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს 24 საათის პროცენტული განაწილება დროის ტიპების მიხედვით, რომელიც შედგება 4 ჯგუფისგან, ესენია: **ვალდებულებებთან დაკავშირებული** დრო, რომელიც მოიცავს შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისათვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის მომსახურებებსა და სტაჟირებას; **ხელშეკრულებასთან დაკავშირებული,** შესაბამისად, მოიცავს დასაქმებას, საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის პროდუქციის წარმოებასა და სწავლას; **თავისუფალი დრო** შედგება დასვენებისა და სოციალიზაციის კომპონენტებისაგან, ხოლო **აუცილებლობასთან დაკავშირებული** არის საკუთარ თავზე ზრუნვისა და თავის მოვლის აქტივობები, რომლის დიდ წილსაც, როგორც კვლევამ აჩვენა, ძილი წარმოადგენს.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია ქალებისათვის დროის ტიპების მიხედვით 24 საათის პროცენტული განაწილება.

დიაგრამა 14: 24 საათის პროცენტული განაწილება დროის ტიპების მიხედვით ქალებისათვის, %



წყარო: საქსტატი, დროის გამოყენების გამოკვლევა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, აუცილებლობასთან დაკავშირებულ აქტივობებზე და თავისუფალ დროზე ყველაზე მეტ დროს 65 წლისა და უფროსი ასაკის ქალები ხარჯავენ, შესაბამისად, 51.7 და 26.9 პროცენტს, ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე 15-24 წლის ქალები (14.8 %), ხოლო ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე - 25-44 წლის ქალები (23.4 %).

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია კაცებისათვის დროის ტიპების მიხედვით 24 საათის პროცენტული განაწილება.

დიაგრამა 15: 24 საათის პროცენტული განაწილება დროის ტიპების მიხედვით კაცებისათვის, %



წყარო: საქსტატი, დროის გამოყენების გამოკვლევა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით აუცილებლობასთან დაკავშირებულ აქტივობებზე ყველაზე მეტ დროს 15-24 წლის კაცები ხარჯავენ, შესაბამისად, დროის 50.6 პროცენტს, ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე - 25-44 წლის კაცები (23.4 %), ხოლო ვალდებულებებთან და თავისუფალ დროსთან დაკავშირებულ აქტივობებზე - 65 წლისა და უფროსი ასაკის კაცები, შესაბამისად, დღის 5.0 და 30.9 პროცენტს.

მაშასადამე, გენდერული უთანასწორობა ყველაზე მაღალია ვალდებულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე დახარჯული დროის მიხედვით, რაც ძირითადად განპირობებულია ქალთა მაღალი ჩართულობით აუნაზღაურებელ საქმიანობებში, თუმცა, ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ აქტივობებზე კაცების მიერ დახარჯული დრო საკმაოდ აღემატება ქალების მიერ ამავე აქტივობებზე დახარჯულ დროს. აღნიშნული კი ძირითადად გამოწვეულია კაცთა დასაქმების აქტივობებში მაღალი ჩართულობით.

აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის მომსახურებაზე გაწეული დრო ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით კიდევ უფრო განსხვავებულია. საქართველოში მცხოვრები არაქართველი ეთნიკური წარმომავლობის ქალებისათვის აუნაზღაურებელ შრომაზე დახარჯული დრო კიდევ უფრო მაღალია და ქართველი

ქალების მიერ დახარჯულ დროს აღემატება 9.9 პროცენტით, ხოლო რაც შეეხება ეთნიკურად ქართველ კაცებს, ისინი ამ აქტივობებზე 15.4 პროცენტით მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე ეთნიკურად არაქართველი კაცები. ეს გარკვეულწილად გამოწვეულია ეთნიკურად არაქართველი ქალების კიდევ უფრო ნაკლები ჩართულობით შრომის ბაზარზე და ძირითადად აუნაზღაურებელი შრომის შესრულებით. აღსანიშნავია, რომ დასაქმებასთან დაკავშირებულ აქტივობებში ეთნიკურად ქართველი ქალები უფრო მეტად არიან ჩართულნი, ხოლო რაც შეეხება კაცებს, მდგომარეობა საპირისპიროა და ეთნიკურად არაქართველი კაცების ჩართულობა უფრო მაღალია.

ქალებისთვის აუნაზღაურებელი შრომის შემცირება გენდერული უთანასწორობის შემცირების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია. აუნაზღაურებელი შრომის შესამცირებლად საკმაოდ აქტუალური და ნაყოფიერია საოჯახო მოწყობილობებისა და მომსახურებების გამოყენება. აღნიშნულის გამოყენება ძირითადად ამცირებს აუნაზღაურებელ შრომაზე ქალთა გაწეულ დროს. საოჯახო მოწყობილობებიდან ყველაზე ეფექტური სარეცხის მანქანა და ჭურჭლის სარეცხი მანქანაა, რომელიც აუნაზღაურებელ შრომას, შესაბამისად, 14.7 და 14.4 პროცენტით ამცირებს, ხოლო ინტერნეტის გამოყენება საქონლის ან მომსახურების შესაძენად აუნაზღაურებელ შრომას ყველაზე მეტად, ანუ 15.7 პროცენტით ამცირებს (საქსტატი, დროის გამოყენების გამოკვლევა 2020-2021).

რაც შეეხება მდგრადი განვითარების მიზნის ინდიკატორს SDG 5.4.1: აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განისაზღვრება შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის მომსახურებებზე გაწეული დროის მიხედვით. საოჯახო მომსახურება მოიცავს შემდეგ აქტივობებს, ესენია: საჭმლის მომზადება და საკვებთან დაკავშირებული საკითხების მართვა; საკუთარი საცხოვრებლის და მიმდებარე ტერიტორიის დალაგება და მოვლა; საკუთარი ხელით დეკორირება, მოვლა და შეკეთება; ტექსტილის და ფეხსაცმლის მოვლა და შენარჩუნება; შინამეურნეობის მართვა საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის; შინაური ცხოველების მოვლა; საკუთარი შინამეურნეობისათვის და ოჯახის წევრებისთვის საყიდლებზე სიარული; შინამეურნეობისთვის ან ოჯახის წევრებისთვის გაწეულ აუნაზღაურებელ საოჯახო

მომსახურებასთან დაკავშირებული მგზავრობა, პროდუქციის გადაზიდვა ან პირების თანხლება; შინამეურნეობისათვის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული სხვა აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება, ხოლო რაც შეეხება ზრუნვის მომსახურებას ის მოიცავს შემდეგ აქტივობებს: ბავშვზე ზრუნვა და სწავლება; კმაყოფაზე მყოფი ზრდასრულების მოვლა; კმაყოფაზე არმყოფი ზრდასრულების და ოჯახის წევრების დახმარება; შინამეურნეობის ან ოჯახის წევრების აუნაზღაურებელ ზრუნვის მომსახურებასთან დაკავშირებული მგზავრობა, პროდუქციის გადაზიდვა ან პირების თანხლება; შინამეურნეობის ან ოჯახის წევრების აუნაზღაურებელ ზრუნვის მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს მოსახლეობის მიერ აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა 16: საქართველოს მოსახლეობის მიერ აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი, დასახლების ტიპისა და სქესის მიხედვით, 2020-2021 წელი, %



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

საქართველოში მცხოვრები ქალები დღე-ღამის განმავლობაში დროის 17.8 პროცენტს, ხოლო კაცები 3.7 პროცენტს ხარჯავენ აუნაზღაურებელ შრომაზე, შესაბამისად, ქალები დღეში საშუალოდ 4.3 საათს ხარჯავენ აუნაზღაურებელ შრომაზე, რაც 4.8-ჯერ აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (0.9 საათი).

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით აუნაზღაურებელ შრომაზე ყველაზე მეტ დროს 25-44 წლის ქალები ხარჯავენ - 5.5 საათს დღეში, ხოლო ამავე ასაკობრივი ჯგუფის კაცები - 0.9 საათს.

თბილისში მცხოვრები ქალები დღე-ღამის განმავლობაში დროის 17.5 პროცენტს, ხოლო კაცები 3.8 პროცენტს ხარჯავენ აუნაზღაურებელ შრომაზე, შესაბამისად, ქალები დღეში საშუალოდ 4.2 საათს, რაც 4.6-ჯერ აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (0.9 საათი). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით აუნაზღაურებელ შრომაზე ყველაზე მეტ დროს 25-44 წლის ქალები ხარჯავენ 5.3 საათს დღეში, ხოლო ამავე ასაკობრივი ჯგუფის კაცები 1.0 საათს.

სხვა ქალაქებში მცხოვრები ქალები დღე-ღამის განმავლობაში დროის 18.5 პროცენტს, ხოლო კაცები 3.6 პროცენტს ხარჯავენ აუნაზღაურებელ შრომაზე. შესაბამისად, ქალები დღეში საშუალოდ 4.1 საათს ხარჯავენ აუნაზღაურებელ შრომაზე, რაც 4.5-ჯერ აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (0.9 საათი). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით აუნაზღაურებელ შრომაზე ყველაზე მეტ დროს ამ შემთხვევაშიც 25-44 წლის ქალები ხარჯავენ 5.2 საათს დღეში, ხოლო ამავე ასაკობრივი ჯგუფის კაცები 1.0 საათს.

სოფლებში მცხოვრები ქალები დღე-ღამის განმავლობაში დროის 17.2-ს, ხოლო კაცები 3.8 პროცენტს ხარჯავენ აუნაზღაურებელ შრომაზე, შესაბამისად, ქალები დღეში საშუალოდ 4.4 საათს, რაც 5.1-ჯერ აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (0.9 საათი). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით აუნაზღაურებელ შრომაზე ყველაზე მეტ დროს ამ შემთხვევაშიც 25-44 წლის ქალები ხარჯავენ - 6.0 საათს დღეში, ხოლო ამავე ასაკობრივი ჯგუფის კაცები 0.9 საათს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დროის გამოყენების გამოკვლევა, აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი 2020-2021).

ზემოაღნიშნულის საფუძველზე საკმაოდ მაღალია გენდერული უთანასწორობა როგორც ანაზღაურებად საქმიანობებში, რაზეც კაცები დღეში საშუალოდ 1.9-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ, ხოლო აუნაზღაურებელ საქმიანობებზე, პირიქით, ქალების მიერ დახარჯული დრო 4.8-ჯერ აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მუშაობა-დასვენების ბალანსის განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ მუშაობაში მოისაზრება როგორც დასაქმება და მასთან დაკავშირებული აქტივობები, ასევე, პროდუქციის წარმოება საკუთარი საბოლოო

მოხმარებისთვის, შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება, შინამეურნეობის და ოჯახის წევრებისთვის გაწეული აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება, სტაჟირება, მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა, ხოლო დასვენების დროში - კულტურულ, დასვენების, სპორტულ და მასმედიასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა, შესაბამისად, მათი ფარდობა გვიჩვენებს მუშაობა - დასვენების ბალანსს. მუშაობა-დასვენების ბალანსის მნიშვნელობა, როდესაც 1-ს უტოლდება არის იდეალური ბალანსი, ხოლო მნიშვნელობის მატება განაპირობებს დროის ზეწოლის ზრდას (მარგარიტა ფ. გუერერო 2020-2021).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე მოცემულია მუშაობა-დასვენების ბალანსი სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

დიაგრამა 17: საქართველოში მუშაობა-დასვენების ბალანსი, 2020-2021 წელი



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

ზემოთ მოტანილი დიაგრამის საფუძველზე მუშაობა-დასვენების ბალანსი ქალებისათვის ნაკლებად დაცულია, ქალები დღეში საშუალოდ 1.8-ჯერ მეტ დროს უთმობენ მუშაობას, ხოლო კაცები 1.2-ჯერ. აღნიშნული უთანასწორობა ყველაზე მაღალია 25-44 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის, ბალანსის მნიშვნელობა ქალებისათვის 3.0-ს, ხოლო კაცებისათვის 1.7-ს შეადგენს, რაც შეეხება 65 წლისა და

უფროსი ასაკის მოსახლეობას, ორივე სქესისათვის 1-ზე ნაკლებია, რაც გულისხმობს ამ ასაკობრივი ჯგუფის მიერ დასვენებაზე უფრო მეტი დროის ხარჯვას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე მოცემულია ქ. თბილისში მუშაობა-დასვენების ბალანსი სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

დიაგრამა 18: თბილისში მუშაობა-დასვენების ბალანსი, 2020-2021 წელი



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

თბილისში მუშაობა-დასვენების ბალანსი კიდევ უფრო ნაკლებადაა დაცული, განსაკუთრებით 25-44 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის, რაც ძირითადად განპირობებულია ამ ასაკობრივი ჯგუფის დასაქმების აქტივობებში მაღალი ჩართულობით. კაცებისათვის დასახლების ტიპის მიხედვით თბილისში მუშაობა-დასვენების ბალანსის მნიშვნელობა ყველაზე მაღალია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე მოცემულია სხვა ქალაქებში მუშაობა-დასვენების ბალანსი სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

დიაგრამა 19: სხვა ქალაქებში მუშაობა-დასვენების ბალანსი, 2020-2021 წელი



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

მუშაობა-დასვენების ბალანსი ორივე სქესისათვის ყველაზე მეტად დაცულია სხვა ქალაქებში. ასევე, გაუმჯობესებულია მდგომარეობა 25-44 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოცემული ჯგუფისათვის გენდერული უთანასწორობა ყველაზე მაღალია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე მოცემულია სასოფლო ტიპის დასახლებებში მუშაობა-დასვენების ბალანსი სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

დიაგრამა 20: სოფლებში მუშაობა-დასვენების ბალანსი, 2020-2021 წელი



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

სასოფლო ტიპის დასახლებებში ქალებისათვის მუშაობა-დასვენების ბალანსი ყველაზე ნაკლებადაა მიღწეული. 25-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის ორივე სქესი ყველაზე დიდ დროით წნეხს განიცდის, თუმცა გენდერული უთანასწორობა ყველაზე მაღალია 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის, სადაც ქალებისათვის მუშაობა-დასვენების ბალანსის მნიშვნელობა 2.1-ჯერ აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დროის გამოყენების გამოკვლევა, ძირითად აქტივობებზე დღეში დახარჯული საშუალო დრო (საათი) და აქტივობებში ჩართული მოსახლეობის წილი (მონაწილეობის დონე, პროცენტი), დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2020-2021).

აუნაზღაურებელი შრომის უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის აგებულია რეგრესიის მოდელი ორი დამოუკიდებელი ცვლადით. შედეგობრივ ცვლადად აღებულია აუნაზღაურებელ შრომაზე, რომელიც მოიცავს როგორც საოჯახო, ასევე ზრუნვის საქმიანობებს, დახარჯული დრო, ხოლო ფაქტორულ ცვლადებად განათლების მიღწეული დონე და ამჟამინდელი ფორმალური განათლების საფეხური. აღსანიშნავია, რომ აუნაზღაურებელ შრომაზე განათლების გარდა მნიშვნელოვან ზეგავლენას დასაქმება ახდენს. თუმცა, რეგრესიის მოდელში ამ სამი ცვლადის ერთდროულად ჩართვა მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან განათლებასა და დასაქმებას შორის არსებობს ძლიერი კორელაციური კავშირი, რაც შემდგომ მულტიკოლინეარობის პრობლემამდე მიგვიყვანს.

ქალების შემთხვევაში რეგრესიის მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$Y = 524.1 + 4.8X_1 - 45.7X_2$$

აღნიშნული მოდელის საფუძველზე აუნაზღაურებელ შრომაზე გაწეული დრო და განათლების მიღწეული დონე ზრდად, ხოლო ამჟამინდელი ფორმალური განათლების საფეხურთან უარყოფით დამოკიდებულებაშია. ერთი შეხედვით, გასაკვირია, თუმცა, რაც მეტად იზრდება განათლების მიღწეული დონე, მით უფრო მეტ დროს უთმობენ ქალები აუნაზღაურებელ შრომას, ვინაიდან განათლება, რომელიც მათ მიიღეს, სულაც არ ამცირებს მათ ჩართულობას საოჯახო და ზრუნვის საქმიანობებში, შეიძლება ითქვას, რომ, პირიქით, უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან აღნიშნულ საქმიანობებს. ამ ფაქტორზე მნიშვნელოვან გავლენას, ასევე, ახდენს მოცემულ პერიოდში პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები. თუმცა,

როდესაც ქალები ამჟამად ჩართულნი არიან ფორმალურ განათლებაში, ეს ამცირებს აუნაზღაურებელ შრომაზე გაწეულ დროს, რაც განპირობებულია მიმდინარე პერიოდში უფრო მაღალი დროითი სიღარიბით, რასაც ქალები საკმაოდ მწვავედ განიცდიან.

აღსანიშნავია, რომ სამივე კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშნელოვანია 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის, ვინაიდან $|t_b| > t_{კრ}$, სადაც $t_{კრ}$ =1.96-ის, ხოლო $|t_{b_0}| = 28.3$, $|t_{b_1}| = 2.1$, ხოლო $|t_{b_2}| = 12.0$ ტოლია.

B_0, B_1 და B_2 კოეფიციენტებისათვის 95 %-იანი ნდობის ინტერვალის საზღვრები შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$487.7 < B_0 < 560.4$$

$$0.3 < B_1 < 9.3$$

$$-53.2 < B_2 < -38.2$$

როგორც მოსალოდნელი იყო, მიღებული სამი შუალედიდან რიცხვთა ღერძზე არცერთი არ ფარავს ნულს, რაც კიდევ ერთხელ უარყოფს სამივე შემთხვევაში ნულოვან ჰიპოთეზას კოეფიციენტების არამნიშვნელოვნებასთან დაკავშირებით და კოეფიციენტების მნიშვნელოვნებაზე მიგვითითებს. აღსანიშნავია, რომ სტანდარტიზებულ მასშტაბში გამოსახული კოეფიციენტები, რომლებიც, შესაბამისად, 0.04-ისა და -0.22-ის ტოლია, გვიჩვენებს რომ ზემოქმედება რეალურად კიდევ უფრო მცირეა. გარდა ამისა, ფიშერის ტესტი აკმაყოფილებს პირობას $|F| > F_{კრ}$ ($81.9 > 3.0$), რაც მიგვითითებს იმაზე, რომ აღნიშნული რეგრესიის მოდელი ვარგისია გარკვეული დასკვნების გამოსატანად (დანართი 4). გარდა ამისა, მოდელში არ შეინიშნება ნარჩენობით წევრებში ჰეტეროსკედასტურობის პრობლემა, უაიტის ტესტის საფუძველზე მიიღება 5%-იანი მნიშვნელოვნების დონით ჰიპოთეზა ჰომოსკედასტურობის შესახებ. ამასთან ერთად, მოდელში ნარჩენობითი წევრებიც ნორმალურად არის განაწილებული, რასაც ადასტურებს ჯაკ-ბერას ტესტის საფუძველზე მიღებული შედეგი 10%-იანი მნიშვნელოვნების დონით.

კაცების შემთხვევაში რეგრესიის მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$Y = 154.4 + 3.8X_1 - 10.2X_2$$

აღნიშნული მოდელის საფუძველზეც აუნაზღაურებელ შრომაზე გაწეულ დროსთან, განათლების მიღწეული დონე ზრდად, ხოლო ამჟამინდელი ფორმალური განათლების საფეხური უარყოფით დამოკიდებულებაშია.

აღსანიშნავია, რომ სამივე კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშნელოვანია 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის, ვინაიდან $|t_b| > t_{კრ}$, სადაც $t_{კრ} = 1.96$, ხოლო $|t_{b_0}| = 13.0$, $|t_{b_1}| = 2.5$, $|t_{b_2}| = 3.5$ - ის ტოლია.

B_0, B_1 და B_2 კოეფიციენტებისათვის 95 %-იანი ნდობის ინტერვალების საზღვრები შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$131.1 < B_0 < 177.8$$

$$0.8 < B_1 < 6.8$$

$$-15.9 < B_2 < -4.4$$

როგორც მოსალოდნელი იყო კაცების შემთხვევაში აგებული რეგრესიის მოდელისთვისაც, სამივე კოეფიციენტის შემთხვევაში მიღებული სამი შუალედიდან რიცხვთა ღერძზე არცერთი არ ფარავს ნულს, რაც კიდევ ერთხელ უარყოფს სამივე შემთხვევაში ნულოვან ჰიპოთეზას კოეფიციენტების არამნიშვნელოვნებასთან დაკავშირებით და სამივე კოეფიციენტის მნიშვნელოვნებაზე მიგვითითებს. თუმცა, როგორც ქალების შემთხვევაში სტანდარტიზებულ მასშტაბში გამოხატული კოეფიციენტები, რომლებიც შესაბამისად 0.07-ისა და -0.09-ის ტოლია, ზემოქმედება რეალურად კაცების შემთხვევაშიც გაცილებით მცირეა. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქალების შემთხვევაში მიმდინარე ფორმალურ განათლებაში ჩართულობა აუნაზღაურებელ შრომას უფრო მეტად ამცირებს, კაცებთან შედარებით. გარდა ამისა, ფიშერის ტესტი აკმაყოფილებს პირობას, $|F| > F_{კრ}$ $(11.2 > 3.0)$, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ აღნიშნული რეგრესიის მოდელი ვარგისია გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად (დანართი 5). გარდა ამისა, მოდელში ამ შემთხვევაშიც არ შეინიშნება ნარჩენობით წევრებში ჰეტეროსკედასტურობის პრობლემა, უაიტის ტესტის საფუძველზე მიიღება 5%-იანი მნიშვნელოვნების დონით ჰიპოთეზა ჰომოსკედასტურობის შესახებ. ამასთან ერთად, მოდელში ნარჩენობითი წევრებიც ნორმალურად არის განაწილებული, რასაც ადასტურებს ჯაკ-ბერას ტესტის საფუძველზე მიღებული შედეგი 10%-იანი მნიშვნელოვნების დონით.

კვლევის ფარგლებში გაანგარიშდა მდგრადი განვითარების მიზნების SDG 5.4.1 ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილს, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. აღნიშნული კვლევის შედეგები უმნიშვნელოვანესია რეგიონულ ჭრილში, სწორედ ამიტომ დროის გამოყენების გამოკვლევის ანონიმიზირებული მონაცემთა

ბაზის საფუძველზე გაანგარიშდა აღნიშნული ინდიკატორი რეგიონებისა და სქესის მიხედვით, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგიის საფუძველზე:

$$\frac{5}{7} \times \frac{\text{ყველა სამუშაო დღის დღიურში შესაბამის ძირითად აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო}}{\text{სამუშაო დღის დღიურების ჯამური რაოდენობა}} + \frac{2}{7} \times \frac{\text{ყველა უქმე დღის დღიურში შესაბამის ძირითად აქტივობაზე დახარჯული ჯამური დრო}}{\text{უქმე დღის დღიურების ჯამური რაოდენობა}}$$

აღნიშნულ აქტივობებზე დახარჯული საათების რაოდენობის ფარდობა 24 საათთან, გამოსახული პროცენტებში გამოსახავს აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილს. იგი გვიჩვენებს დღე-ღამის განმავლობაში დროის რამდენ პროცენტს ხარჯავს მთლიანი მოსახლეობა (მიუხედავად იმისა, ჩართულია თუ არა აღნიშნულ აქტივობებში) აუნაზღაურებელ შრომაზე. აუნაზღაურებელ ზრუნვისა და საოჯახო მომსახურებაზე გაწეული დროის წილის უფრო თვალსაჩინო ანალიზისათვის, აღნიშნული მაჩვენებლები რეგიონებისა და სქესის მიხედვით დავიტანეთ საქართველოს რუკაზე.

რუკა 1: აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო მომსახურებაზე გაწეული დროის წილი რეგიონებისა და სქესის მიხედვით, %



შენიშვნა: ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი) მცხოვრები მოსახლეობისათვის.

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, დროის გამოყენების გამოკვლევის ანონიმიზირებული მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

მოტანილი რუკის საფუძველზე შესაძლებელია რეგიონების დაჯგუფება გენდერულ ჭრილში აუნაზღაურებელ შრომაზე დახარჯული დროის მიხედვით. ქალების შემთხვევაში აუნაზღაურებელ შრომაზე ყველაზე მეტ დროს ხარჯავენ შიდა ქართლში - დღეში 5.0 საათს, რაც დღე-ღამის 20.7 პროცენტს შეადგენს. შემდეგი არის სამცხე-ჯავახეთი - 4.4 საათი, შესაბამისად 18.5 პროცენტი, მის მსგავსად ქვემო ქართლშიც ქალები დაახლოებით 4.4 საათს ხარჯავენ აუნაზღაურებელ შრომაზე, რაც დღე-ღამის 18.4 პროცენტს შეადგენს. რაც შეეხება ამ რეგიონებში მცხოვრებ კაცებს - შიდა ქართლში კაცები დღეში აუნაზღაურებელ შრომაზე 0.7 საათს ხარჯავენ, ხოლო ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, შესაბამისად, 0.8 საათს. ზემოაღნიშნულის

საფუძველზე უთანასწორობაც ამ რეგიონებში საკმაოდ მაღალია. შიდა ქართლში ქალების მიერ გაწეული აუნაზღაურებელი შრომა 7.2-ჯერ აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში შესაბამისად, 5.3-ჯერ და 5.6-ჯერ. აღნიშნული გარკვეულწილად გამოწვეულია რეგიონში ფართოდ დასახლებული ეთნიკური უმცირესობებით, ხოლო რაც შეეხება შიდა ქართლს, სადაც უთანასწორობა ყველაზე მაღალია, გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ რეგიონში აქტიურად მისდევენ სოფლის მეურნეობას და, შესაბამისად, საკუთარი მოხმარებისთვის პროდუქციის წარმოებაზე კაცები ქალებთან შედარებით 56.9 %-ით მეტ დროს ხარჯავენ, აღნიშნული სხვაობა დღეში დაახლოებით 0.23 საათს შეადგენს (Gelashvili and Okruashvili, Statistical analyses of gender disparities in unpaid work in Georgia 2024), თუმცა, აღნიშნულის გათვალისწინებითაც გენდერული უთანასწორობა გაწეულ აუნაზღაურებელ შრომაზე მაინც საკმაოდ მაღალია (National Statistics Office of Georgia 2020-2021).

დასკვნა და რეკომენდაციები

გენდერული მულტიუთანასწორობის ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის პროცესში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ამ პრობლემის მრავალი ასპექტი. შრომის ბაზარზე არსებული უთანასწორობა არა მარტო სოციალურ, არამედ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს. ის მნიშვნელოვნად ზემოქმედებს როგორც ცალკეული ინდივიდის, ასევე მთელი ქვეყნის ეკონომიკის კეთილდღეობაზე. შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობა შესაძლოა სხვადასხვა ასპექტით შეფასდეს. თუმცა, უმნიშვნელოვანესია, ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობაში და შრომის ანაზღაურებაში არსებული უთანასწორობა. სამუშაო ძალის გარეთ მყოფ მოსახლეობაში ქალთა მაღალი რიცხოვნობა გამოწვეულია სხვადასხვა გენდერული სტერეოტიპის გამო, რომელთაგანაც უმთავრესს აუნაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის მომსახურება წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება შრომის ანაზღაურების გენდერულ უთანასწორობას, შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი განათლების მიღწეული დონეა, თუმცა, საქართველოს მაგალითზე ქალთა განათლების მიღწეული დონე არ ჩამორჩება კაცებისას. არანაკლებ მნიშვნელოვანია გამოცდილება, რომელიც როგორც ანაზღაურებაზე, ასევე, დასაქმების სტატუსზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს. სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე გაანგარიშდა ბოლო 8 წლის განმავლობაში დაუსაქმებელთა სამუშაო გამოცდილების მაჩვენებელი, რომელიც კაცებისათვის უფრო მაღალია. სწორედ აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით მიღებული გენდერული სხვაობისათვის გამოიყენება შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, რომელიც გაცილებით ნაკლებია შეუსწორებელ გენდერულ სხვაობაზე. თვიური სახელფასო სხვაობა უმეტეს პოზიციისა და თანამდებობის დროს აღემატება საათობრივს, რაც აიხსნება კაცების მიერ უფრო მეტი ნამუშევარი საათით. თუმცა, მაგალითად, ოფისის დამხმარე სპეციალისტებისათვის საათობრივი სახელფასო სხვაობა კიდევ უფრო მაღალია, რასაც უფრო თვალსაჩინო გენდერულ უთანასწორობამდე და დისკრიმინაციამდე მივყავართ. აღნიშნული პრობლემა კი რეგიონების მიხედვით კიდევ უფრო მწვავეა. ამას ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ შრომის ანაზღაურებით სასურველ რეგიონს ფაქტობრივად მხოლოდ თბილისი წარმოადგენს.

სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე გაანგარიშდა საშუალო თვიური, მედიანური და მოდალური შრომის ანაზღაურება. ორივე სქესისათვის ძირითადი საქმიანობიდან ბოლო ნამუშევარ თვეში მიღებული შრომის ანაზღაურება ყველაზე მცირეა მედიანური შრომის ანაზღაურების დროს. გენდერული თანაფარდობა სამივე შემთხვევაში საკმაოდ მაღალია. საშუალო შრომის ანაზღაურების დროს კაცის ანაზღაურება 34.4 პროცენტით, მოდალური მნიშვნელობის დროს 56.4 პროცენტით, ხოლო მედიანურის დროს 44.7 პროცენტით აღემატება.

ადამიანისეული კაპიტალის რაციონალურად გამოყენება ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს, შესაბამისად, სამუშაო ძალის გამოკვლევისა და დროის გამოყენების გამოკვლევის მონაცემთა ბაზების საშუალებით შეფასდა მოსახლეობის დანაკარგები, რაც გამოწვეულია აუნაზღაურებელი შრომითა და დაუსაქმებელი მოსახლეობით. სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საშუალებით გაანგარიშდა მედიანური შრომის ანაზღაურება 2021 წლისათვის, შესაბამისად, მედიანური შრომის ანაზღაურების გათვალისწინებით ეკონომიკურად არააქტიური ქალები თვეში დაახლოებით 431.4 მლნ ლარით, ხოლო კაცები 328.7 მლნ ლარით ზარალდებიან. მიუხედავად იმისა, რომ კაცთა მედიანური შრომის ანაზღაურება 40.3 პროცენტით აღემატება ქალებისას, დაკარგული შემოსავლები ქალების შემთხვევაში 31.2 პროცენტით მეტია. რაც შეეხება არადასაქმებული მოსახლეობით გამოწვეულ დანაკარგებს, ქალების შემთხვევაში აღნიშნული 483.7 მლნ ლარს, ხოლო კაცების - 455.4 მლნ ლარს შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზარზე კაცთა ჩართულობა უფრო მაღალია, მეტია მათი როგორც ნამუშევარი საათები, ასევე ანაზღაურება, ქალების ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა კვირაში 57.1 საათია, რაც დაახლოებით 20.2 პროცენტით აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (47.5 საათი).

მედიანური შრომის ანაზღაურების გათვალისწინებით სრული დროით დასაქმებული ქალი აუნაზღაურებელი შრომის გამო, თვეში დაახლოებით 223.3 ლარის ოდენობის შემოსავალს კარგავდა, ხოლო კაცებისათვის ანალოგიური მაჩვენებელი 50.3 ლარს შეადგენს. დასაქმებულთა რიცხოვნობის გათვალისწინებით ქალების მიერ დაკარგული შემოსავალი თვეში 119.8 მლნ ლარს, ხოლო კაცებისათვის - 34.3 მლნ ლარს წარმოადგენდა. აღნიშნული გენდერული დისბალანსი აქაც მკაფიოდ

ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურება კაცების შემთხვევაში გაცილებით მაღალია, ქალების დანაკარგი 249.6 პროცენტით აღემატებოდა კაცებისას.

ანაზღაურებადი საქმიანობების გარდა, ყურადღებას იპყრობს აუნაზღაურებელ საქმიანობებში არსებული გენდერული უთანასწორობა, რომელიც რეგიონებში კიდევ უფრო მწვავეა, განსაკუთრებით კი შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ აუნაზღაურებელი შრომა ზრდად დამოკიდებულებაშია განათლების მიღწეულ დონესთან, თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კვლევა განხორციელებულია კორონავირუსის პერიოდში.

გენდერული უთანასწორობის მინიმიზაციისათვის და ქალთა კეთილდღეობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირება და მისი შესრულების გაკონტროლება, რათა პირდაპირ თუ ირიბად, არ მოხდეს სამუშაო ადგილებზე სქესის მიხედვით დისკრიმინაცია;
- გენდერული თანასწორობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა;
- უნდა შეიქმნას ზრუნვის სერვისები, რომელიც ხელს შეუწყობს, განსაკუთრებით კი, საბავშვო ბაღის ასაკამდე ბავშვების დედებს. აღნიშნული კი, რა თქმა უნდა, ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს;
- მსგავსი პრობლემის მქონე ქალებს სამსახურებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი დისტანციურად მუშაობაში, თუ ამით საწარმოს/ორგანიზაციის ფუნქციონირებას ხელი არ ეშლება და არ ზარალდება;
- უნდა შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, რომელიც ორიენტირებული იქნება განსაკუთრებით ქალთა დასაქმებაზე;
- უნდა შეიქმნას მოქნილი გრაფიკის მქონე სამუშაო ადგილები, სადაც უფრო მეტად დასაქმდებიან დედები, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი, საბავშვო ბაღის ასაკის შვილი;

- რეგიონებში უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს მოსახლეობის და, განსაკუთრებით კი, ქალების შრომას;
- მიზანშეწონილია ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და საოჯახო მოწყობილობებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვნად ამცირებენ აუნაზღაურებელ შრომაზე დახარჯულ დროს;
- რეგიონებში პროფესიული განათლების კიდევ უფრო მეტად ხელშეწყობა და ამ მიმართულებით ქალთა ცნობიერების გაზრდა;
- მაღალანაზღაურებად საქმიანობებში ქალთა უფრო მეტი ჩართულობისა და ამ მიმართულებით მათი სწავლების ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეამცირებს შრომის ბაზარზე არსებულ გენდერულ დისბალანსს, რაც წარმატებული ეკონომიკისა და ადამიანთა, განსაკუთრებით კი, ქალთა კეთილდღეობის ზრდის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა

ანანიაშვილი, იური. 2012. *ეკონომეტრიკა.* თბილისი: მერიდიანი.

ანდერსენი, დევიდ, დენის სვინი, და თომას უილიამსი. 2014. *სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისათვის.* მე-11 განახლებული გამოცემა.

ბედიანაშვილი, გივი, მურმან ცარციძე, ნინო მიქელაძე, და ზვიად გაბროშვილი. 2023. „გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა: თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები.“ *VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომების კრებული.* თბილისი.

ბენდელიანი, ნანი. 2012. „გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით.“ თბილისი.

ბერიშვილი, ხათუნა. 2017. „გენდერული დისბალანსისა და ფემინიზმის როლი გლობალურ ბიზნესში.“ *II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში"* https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 2018. „გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები.“

გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 2020. „გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე.“ თბილისი.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 2021. „ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო.“

გაეროს ქალთა ორგანიზაცია, იუნისეფი. 2021. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები და ბავშვები საქართველოში, მონაცემთა მიმოხილვა.“

გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქსტატი. 2020-2021. „დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში.“

გელაშვილი, სიმონ, და გოგიტა თოდრაძე. 2020. „დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით.“ *V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.* თბილისი.

გელაშვილი, სიმონ, და მარიამ ოქრუაშვილი. 2022. „გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.“ *ეკონომიკა და ბიზნესი, N4.*

გელაშვილი, სიმონ, და მარიამ ოქრუაშვილი. 2022. „გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში და მისი გავლენა საქართველოს მაგალითზე.“ *ეკონომიკა და ბიზნესი.*

—. 2024. „გენდერული უთანასწორობის პრობლემა და მისი სტატისტიკური შესწავლის დონე საქართველოში.“ *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 13 სექტემბერს გამართულ VI ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები.* ქუთაისი. 141-153.

—. 2020. „შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით.“ *V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.* თბილისი.

გელაშვილი, სიმონ, ირაკლი მაკალათია, და გიორგი მიქელაძე. 2022. *ცხოვრების დონის სტატისტიკა.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გელაშვილი, სიმონ, ლია ჩარექიშვილი, ნინო აბესაძე, და მარიამ ოქრუაშვილი. 2022. *გენდერული სტატისტიკა.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭო. 2017. "გენდერული თანასწორობა საქართველში - ბარიერები და რეკომენდაციები."

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2013. "საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში."

მარგარიტა ფ. გუერერო. 2020-2021. "დროის გამოყენების გამოკვლევა საქართველოში."

მდგრადი განვითარების მიზნები. 2015. *https://sdg.gov.ge/text-page/35.*

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. 2010. 26 მარტი. https://matsne.gov.ge/ka/document/download/91624/9/ge/pdf.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2006. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.“ *https://matsne.gov.ge/ka.* 16 მაისი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/26152?publication=17.

—. 2006. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“ 09 ივნისი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=21.

—. 2017. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია.“ 1 სექტემბერი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2023. *გენდერული სახელფასო სხვაობა.* https://geostat.ge/media/66154/GPG_Geo.xlsx.

—. 2023. *დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით.* https://geostat.ge/media/66063/03_xelpasi_wliuri_sqesi.xls.

—. 2020-2021. *დროის გამოყენების გამოკვლევა, აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი.* https://geostat.ge/media/50289/05_SDG_5_4_1.xlsx.

—. 2020-2021. *დროის გამოყენების გამოკვლევა, ძირითად აქტივობებზე დღეში დახარჯული საშუალო დრო (საათი) და აქტივობებში ჩართული მოსახლეობის წილი (მონაწილეობის დონე, პროცენტი), დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.* https://geostat.ge/media/50119/01_Ziritadi_aktivobebi.xlsx.

—. 2023. *მონაცემთა ბაზები, სამუშაო ძალის გამოკვლევა.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/130/samushao-dzalis-gamokvlevis-monatsemta-bazebi.

—. 2023. *სამუშაო ძალის მაჩვენებლები სქესის მიხედვით.* https://geostat.ge/media/62272/02-samushao-dzalis-machveneblebi-sqesis-mixedvit.xlsx.

საქსტატი. 2021-2023. „გენდერული სტატისტიკის სტრატეგია.“ https://www.geostat.ge/media/41397/Gender_Strategy-Geostat.pdf.

—. თ. გ. *დასაქმება და უმუშევრობა.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba.

—. 2021. *დასაქმება და უმუშევრობა.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba.

—. 2023. *დასაქმება და უმუშევრობა.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba.

—. 2020-2021. *დროის გამოყენების გამოკვლევა.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/784/gamokvlevis-shedegebi.

—. 1998-დღემდე. *ზოგადი განმარტებები სამუშაო ძალის სტატისტიკის მეთოდოლოგიაზე.* https://www.geostat.ge/media/39910/სამუშაო-ძალის-გამოკვლევა.pdf.

საქსტატი. 2021. „მომხმარებელთა კმაყოფილება გენდერული სტატისტიკით.“

საქსტატი. 2018. „მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა.“

საქსტატი. 2018. „პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე.“

—. 2023. *საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi.

საქსტატი, and გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 2022. "ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში."

საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 2017. „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში.“

საჯარო სამსახურის ბიურო. 2022. "საჯარო სამსახურის ბიუროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ." http://www.csb.gov.ge/media/3368/7896546.pdf.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ანა გუნია. 2016. *ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში.* http://dictionary.css.ge/content/gender.

ცხვარიაშვილი, ელენე. 2022. "ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში და მათი გაძლიერებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა."

Abesadze, Nino, Nino Paresashvili, and Rusudan Kinkladze. 2019. "VIOLENCE AGAINST WOMEN: STEREOTYPED OR NEW CHALLENGE OF SOCIETY." *CONTEMPORARY ISSUES IN BUSINESS, MANAGEMENT AND ECONOMICS ENGINEERING.* Vilnius, Lithuania.

Abesadze, Nino, Nino Paresashvili, Rusudan Kinkladze, and Ketevan Chitaladze. 2022. "GENDER IMBALANCES IN THE GEORGIAN LABOR MARKET AND PECULIARITIES OF THE IMPACT OF THE COVID-19 PANDEMIC." *12th International Scientific Conference BUSINESS AND MANAGEMENT 2022.* Vilnius, Lithuania.

Abesadze, Nino, Otar Abesadze, Rusudan Kinkladze, Nino Paresashvili, and Manana Ebanoidze. 2024. "STATISTICAL INDICATORS FOR THE EVALUATION OF VIOLENCE AGAINST WOMEN." *14th International Scientific Conference "Business and Management 2024".* Vilnius, Lithunia.

Antonopoulos, Rania. 2009. *The unpaid care work - paid work connection.* Geneva: International Labour Organization.

Babych, Yaroslava, Giorgi Mzhavanadze, and Davit Keshelava. 2021. *ISET Economist Blog.* Accessed April 5, 2021. https://iset-pi.ge/en/blog/2937-a-georgian-womans-burden-how-pandemic-affected-distribution-of-household-work-between-men-and-women-and-why-it-matters.

Cantillon, Sara , and Nina Teasdale. 2021. *Empowering Women Through Reducing Unpaid Work: A Regional Analysis of Europe and Central Asia.* UN Women, UNECE.

Charekishvili, Lia. 2015. "STATISTICAL ANALYSIS OF EDUCATIONAL SYSTEM OF GEORGIA." *16th International Academic Conference.* Amsterdam.

Ferrant, Gaëlle , Luca Maria Pesando, and Keiko Nowacka. 2014. *Unpaid Care Work: The missing link in the analysis of gender gaps in labour outcomes.* OECD Development Centre.

Gelashvili, Simon, and Mariam Okruashvili. 2024. "Statistical analyses of gender disparities in unpaid work in Georgia." *Edelweiss Applied Science and Technology* 1144-1156.

Guerrero, Margarita F. 2020-2021. "Time Use Survey."

International Labour Organization. 2010. *Women and the Economy in Azerbaijan.* Moscow: Work and family relations in Azerbaijan.

Jashi, Charita. 2004. "DEVELOPMENT OF WOMEN'S ENTREPRENEURSHIP: THE CASE OF GEORGIA." In *ACCESS TO FINANCING AND ICT FOR WOMEN ENTREPRENEURS IN THE UNECE REGION*, by UNITED NATIONS.

National Statistics Office of Georgia. 2020-2021. *Time Use Survey, Database.* https://www.geostat.ge/en/modules/categories/858/database.

OPEN DATA WATCH. 2023. *GENDER DATA COMPASS.* https://gdc.opendatawatch.com/.

Paresashvili, Nino, Nino Abesadze, Rusudan Kinkladze, Ketevan Chitaladze, and Teona Edzgveradze. 2020. "Georgian Labour Market during the Coronavirus Pandemic." *Globalization and its Socio-Economic Consequences 2020.*

Sepashvili, Eka. 2019. "Gender Dimension of Economic Decision-Making: Women on Top Management." *Business and Management Sciences International Quarterly Review.*

UN Women. n.d. *The 17 Goals: Sustainable Development Goals.* https://www.un.org/sustainabledevelopment/gender-equality/.

UN Women. 2022. "Unpaid care work in Georgia."

UN Women. 2022. "UNPAID CARE WORK IN GEORGIA."

UNICEF. 2023. "Multiple Indicator Cluster Survey." THE REPUBLIC OF AZERBAIJAN.

Unicef, Geostat. 2020. *https://www.geostat.ge/ka/modules/categories/705/ojakhebisa-da-bavshvebis-ketildgheobaze-covid-19-is-gavlenis-realur-droshi-gamokvlevis-shedegebi.*

United Nations. n.d. *Sustainable Developmend Goals, SDG Indicators.* https://unstats.un.org/sdgs/metadata/.

დანართები:

დანართი 1: ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შეფასების კითხვარი

1. ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოები და საზოგადოებრივი ცხოვრება;
2. ქალთა მიმართ ძალადობა;
3. დასაქმება და ეკონომიკური სარგებელი;
4. ქორწინება და ოჯახი.

თითოეული ნაწილის შეფასება ხდება გარკვეული კითხვების საფუძველზე. ჯამში კითხვარი შედგება 42 კითხვისგან.

ნაწილი 1: ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოები და საზოგადოებრივი ცხოვრება

პირველი ნაწილის შეფასება ხდება 12 კითხვის საშუალებით, ესენია:

1. თუ ჩვეულებითი სამართალი კონსტიტუციით არის კანონის მოქმედი წყარო, ძალადაკარგულია თუ არა ის, როდესაც არღვევს კონსტიტუციურ დებულებებს თანასწორობის ან არადისკრიმინაციის შესახებ?

2. თუ პირადი კანონი კონსტიტუციით არის კანონის მოქმედი წყარო, ძალადაკარგულია თუ არა ის, როდესაც არღვევს კონსტიტუციურ დებულებებს თანასწორობის ან არადისკრიმინაციის შესახებ?

3. არსებობს თუ არა კანონი დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც კრძალავს ქალების პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას?

4. სარგებლობენ თუ არა ქალები და კაცები თანაბარი უფლებებით და ხელმისაწვდომობით საჯარო და პოლიტიკური თანამდებობების დასაკავებლად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება)?

5. არის თუ არა ქალთა კვოტები (რეზერვირებული ადგილები) ეროვნულ პარლამენტში, ან კვოტები ქალ კანდიდატთა სიებში?

6. აქვთ თუ არა თანაბარი უფლებები ქალებსა და კაცებს, მიანიჭონ მოქალაქეობა მეუღლეებსა და შვილებს?

7. ადგენს თუ არა კანონი სპეციალიზებულ დამოუკიდებელ ორგანოს, რომელსაც დაევალება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის საჩივრების მიღება (მაგ., ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი, ქალთა კომისია, ომბუდსმენი)?

8. სავალდებულოა თუ არა სისხლის სამართლის საქმეებში იურიდიული დახმარება?

9. სავალდებულოა თუ არა სამოქალაქო/საოჯახო საქმეებში იურიდიული დახმარება?

10. აქვს თუ არა ქალის ჩვენებას სასამართლოში ისეთივე მტკიცებულების წონა, როგორც კაცის?

11. არსებობს თუ არა კანონები, რომლებიც მოითხოვს გენდერული სტატისტიკის წარმოებას ან/და გავრცელებას?

12. არის თუ არა სანქციები კანდიდატთა მანდატიური სიის კვოტების შეუსრულებლობისთვის, ან პოლიტიკური პარტიების წახალისება, რომ წარმოადგინონ ქალი კანდიდატები ეროვნულ საპარლამენტო არჩევნებში?

ნაწილი 2: ქალთა მიმართ ძალადობა

13. არსებობს თუ არა კანონმდებლობა, რომელიც ეხება კონკრეტულად ოჯახში ძალადობას?

14. არსებობს თუ არა კანონმდებლობაში დებულებები, რომლებიც ათავისუფლებს დამნაშავეებს გაუპატიურების ბრალდებით, თუ დამნაშავე დაქორწინდება მსხვერპლზე დანაშაულის მოხსნის შემდეგ?

15. მოიხსნა ან საერთოდ არ არსებობდა კანონმდებლობაში ე.წ. პატივისცემის დანაშაულის შემთხვევებზე სასჯელის შემცირების დებულებები?

16. არის თუ არა კანონი გაუპატიურების შესახებ დაფუძნებული თანხმობის არარსებობაზე, გამოყენებული ფიზიკური ძალის დამადასტურებელი მოთხოვნის გარეშე?

17. ადანაშაულებს თუ არა კანონმდებლობა ცალსახად ქორწინებაში ყოფნის დროს გაუპატიურებას მეუღლის/პარტნიორის მხრიდან, აძლევს თუ არა კანონმდებლობა ქალს უფლებას შეიტანოს საჩივარი გაუპატიურების შესახებ ქმრის ან პარტნიორის წინააღმდეგ?

18. არსებობს თუ არა კანონმდებლობა, რომელიც ეხება კონკრეტულად სექსუალურ შევიწროებას?

19. არის თუ არა უზრუნველყოფილი საბიუჯეტო ვალდებულებები სამთავრობო უწყებების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის, რომელიც ითვალისწინებს ბიუჯეტის გამოყოფას ან

შესაბამისი პროგრამების ან აქტივობების განხორციელებისთვის დაფინანსების გამოყოფის ვალდებულებას?

20. არსებობს თუ არა საბიუჯეტო ვალდებულებები სამთავრობო უწყებების მიერ, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის განსახორციელებლად კონკრეტული ბიუჯეტის, დაფინანსების ან/და წახალისების გამოყოფით, არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდასაჭერად, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის?

21. არსებობს თუ არა ეროვნული სამოქმედო გეგმა ან პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად, რომელსაც ზედამხედველობს ეროვნული მექანიზმი, რომელსაც აქვს მანდატი მონიტორინგისა და განხორციელების განხილვის მიზნით?

ნაწილი 3: დასაქმება და ეკონომიკური სარგებელი

22. ავალდებულებს თუ არა კანონი დასაქმების დროს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის არ არსებობას?

23. ავალდებულებს თუ არა კანონი თანასწორი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარ ანაზღაურებას?

24. შეუძლიათ თუ არა ქალებს, კაცების მსგავსად იმუშაონ სახიფათო, რთულ ან მორალურად შეუფერებელ სამსახურებში?

25. შეუძლიათ თუ არა ქალებს მუშაობა იმავე ინდუსტრიებში, როგორც კაცებს?

26. შეუძლიათ თუ არა ქალებს იგივე დავალებების შესრულება, რაც კაცებს?

27. აძლევს თუ არა კანონი უფლებას ქალებს, კაცების მსგავსად იმუშაონ ღამის საათებში?

28. ითვალისწინებს თუ არა კანონი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად დედებისთვის დეკრეტულ ან მშობლის შვებულებას?

29. ითვალისწინებს თუ არა კანონი მამობის ან მშობლის ანაზღაურებად შვებულებას მამების ან პარტნიორებისთვის?

30. არის თუ არა საჯარო დაწესებულება, რომელსაც შეუძლია მიიღოს საჩივრები, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებისას გენდერული დისკრიმინაციის შესახებ?

31. არის თუ არა საჯაროდ უზრუნველყოფილი ან სუბსიდირებული ბავშვზე ზრუნვა?

ნაწილი 4: ქორწინება და ოჯახი

32. არის თუ არა ქორწინების მინიმალური ასაკი 18 წელი, კანონიერი გამონაკლისის გარეშე, როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის?

33. აქვთ თუ არა თანაბარი უფლებები დაქორწინებისა (ანუ თანხმობის) და განქორწინების ინიცირებაზე ქალებსა და კაცებს?

34. აქვთ თუ არა თანაბარი უფლებები ქალებსა და კაცებს, იყვნენ თავიანთი შვილების კანონიერი მეურვეები როგორც ქორწინების დროს, ასევე მის შემდეგ?

35. აქვთ თუ არა თანაბარი უფლებები ქალებსა და კაცებს შინამეურნეობის უფროსად ან ოჯახის უფროსად აღიარების შესახებ?

36. აქვთ თუ არა თანაბარი უფლებები ქალებსა და კაცებს აირჩიონ თუ სად იცხოვრონ?

37. აქვთ თუ არა პროფესიის არჩევის თანაბარი უფლებები ქალებსა და კაცებს?

38. აქვთ თუ არა პირადობის მოწმობის აღების თანაბარი უფლებები ქალებსა და კაცებს?

39. აქვთ თუ არა თანაბარი უფლებები ქალებსა და კაცებს პასპორტის მისაღებად?

40. აქვთ თუ არა ქალებსა და კაცებს თანაბარი უფლებები საკუთრების, წვდომისა და გაკონტროლების, როგორც ქორწინების, ასევე განქორწინების შემთხვევაში?

41. გამართლებულია თუ არა ქორწინება კანონიერ ასაკამდე?

42. არსებობს თუ არა სპეციალური და სპეციალიზებული საოჯახო სასამართლოები? (United Nations n.d.)

დანართი 2: მთლიანი სამამულო პროდუქტის რეგრესია ხელფასებისა და არააქტიურობის დონის მიმართ (ქალები)

Model Summary

Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.921[a]	.849	.806	589.9938

a. Predictors: (Constant), ხელფასი, არააქტიურობის_დონე

ANOVA[a]

Model		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	13678991.156	2	6839495.578	19.648	.001[b]
	Residual	2436648.468	7	348092.638		
	Total	16115639.625	9			

a. Dependent Variable: მშპ

b. Predictors: (Constant), ხელფასი, არააქტიურობის_დონე

Coefficients[a]

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	T	Sig.	95.0% Confidence Interval for B	
		B	Std. Error	Beta			Lower Bound	Upper Bound
1	(Constant)	10475.252	6009.080		1.743	.125	-3733.965	24684.469
	არააქტიურობის_დონე	-183.405	114.100	-.289	-1.607	.152	-453.208	86.398
	ხელფასი	5.496	.934	1.056	5.882	.001	3.287	7.706

a. Dependent Variable: მშპ

დანართი 3: მთლიანი სამამულო პროდუქტის რეგრესია ხელფასებისა და არააქტიურობის დონის მიმართ (კაცები)

Model Summary

Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.939[a]	.881	.847	522.7180

a. Predictors: (Constant), ხელფასი, არააქტიურობის_დონე

ANOVA[a]

Model		Sum of Squares	Df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	14203000.814	2	7101500.407	25.991	.001[b]
	Residual	1912638.811	7	273234.116		
	Total	16115639.625	9			

a. Dependent Variable: მშპ

b. Predictors: (Constant), ხელფასი, არააქტიურობის_დონე

Coefficients[a]

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	T	Sig.	95.0% Confidence Interval for B	
		B	Std. Error	Beta			Lower Bound	Upper Bound
1	(Constant)	7179.019	3587.723		2.001	.085	-1304.597	15662.635
	არააქტიურობის_დონე	-198.166	102.175	-.259	-1.939	.094	-439.772	43.439
	ხელფასი	3.658	.508	.960	7.199	.000	2.457	4.860

a. Dependent Variable: მშპ

დანართი 4: აუნაზღაურებელ შრომაზე დახარჯული დროის რეგრესია განათლების მიღწეული დონისა და ამჟამინდელი ფორმალური განათლების საფეხურის მიმართ (ქალები)

ANOVA[a]

Model		Sum of Squares	Df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	17489554.980	2	8744777.490	81.920	.000[b]
	Residual	322377359.674	3020	106747.470		
	Total	339866914.654	3022			

a. Dependent Variable: Duration

b. Predictors: (Constant), Current_Education, Education

Coefficients[a]

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	T	Sig.	95.0% Confidence Interval for B	
		B	Std. Error	Beta			Lower Bound	Upper Bound
1	(Constant)	524.083	18.546		28.259	.000	487.719	560.447
	Education	4.774	2.298	.038	2.077	.038	.268	9.279
	Current_Education	-45.663	3.821	-.216	-11.951	.000	-53.154	-38.172

a. Dependent Variable: Duration

დანართი 5: აუნაზღაურებელ შრომაზე დახარჯული დროის რეგრესია განათლების მიღწეული დონისა და ამჟამინდელი ფორმალური განათლების საფეხურის მიმართ (კაცები)

ANOVA[a]

Model		Sum of Squares	Df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	559344.135	2	279672.067	11.216	.000[b]
	Residual	38152188.155	1530	24936.071		
	Total	38711532.290	1532			

a. Dependent Variable: Duration

b. Predictors: (Constant), Current_Education, Education

Coefficients[a]

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	T	Sig.	95.0% Confidence Interval for B	
		B	Std. Error	Beta			Lower Bound	Upper Bound
1	(Constant)	154.444	11.924		12.953	.000	131.056	177.832
	Education	3.817	1.520	.065	2.511	.012	.835	6.799
	Current_Education	-10.183	2.928	-.090	-3.477	.001	-15.928	-4.439

a. Dependent Variable: Duration